



სრულიყოფილებასთან ანლოს –
ასეთი იყო
ქეთევან ძოწენიძე

ჟუჟუნა ფეიქრიშვილი — რედაქტორ-შემდგენელი

სრულყოფილებასთან ახლოს —
ასეთი იყო
ქეთევან ძოწენიძე



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი - 2013

„მე ისეთი ბუნება მაქვს, ვინმე უნდა მწამდეს, ვინმე უნდა მიყვარდეს, თორემ არაფრის გაკეთება არ შემეძლია.“

ე. ძონიძე

ქეთევან ძონიძის არქივი დაამუშავა (დამატებითი მასალებით შეავსო), დაურთო წინასიტყვა, შესავალი, შენიშვნები და წიგნად გამოსცა პროფესორმა ჟუჟუნა ფეიქრიშვილმა.

© ჟ. ფეიქრიშვილი, 2013

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2013

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-957-0

წინასიტყვა

ორი წლის წინ ქეთევან ძონენიძის დისწულის – ქალბატონი ლეილა კვანტალიანის ხსოვნასთან დაკავშირებით ვაპირებდი სტატიის დანერას. ინფორმაციებისათვის გადავათვალიერე მისი ბიბლიოთეკა და ხელნაწერები. მათ შორის აღმოჩნდა მოზრდილი საქალაქე ნარწერი „ქეთევან ძონენიძის პირადი არქივიდან“.

ქ-ნი ქეთევანი გახლდათ ჩემი უსაყვარლესი მასწავლებელი, რომელმაც სტუდენტობის დროს არა მხოლოდ ქართული ენის გრამატიკა მასწავლა, არამედ მაზიარა ენათმეცნიერული აზროვნების საფუძვლებს, პირადი მაგალითით შემაცნობინა ადამიანთა სიტბო და სიყვარული და, რაც მთავარია, დიდი ამაგი დასდო ჩემი სამომავლო ცხოვრების გზის დასაწყისს.

მართალია, აქამდეც არაერთგზის გამოვხატე უდიდესი მადლიერება ძვირფასი მასწავლებლის მიმართ, როგორც ფართო აუდიტორიის წინაშე სპეციალური მოხსენებით, ისე წიგნებში გამოქვეყნებული მასალებით (იხ. „ქართული ენის მოამაგენი“, თბ., 2006; „ცხოვრების გზა – მასწავლებლის მოგონებანი“, თბ., 2008). გარდა ამისა, ქ-ნი ქეთევანის ხსოვნას მივუძღვენი ჩემი სტატიების კრებული „ენათმეცნიერული ძიებანი“ (თბ., 2009), რომელიც იწყება ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მისივე ხელმძღვანელობით დამუშავებული მოხსენებით (ნაკითხული იყო 1964 წელს ქუთაისის პედაგოგიკური სტუდენტთა XXIV სამეცნიერო სესიაზე).

ვთვლიდი, რომ თითქოს ერთგვარად უკვე მივაგე ვარკვეული პატივი მართლაც გამორჩეული, მართლაც არა ჩვეულებრივი ქალბატონის – ჩემთვის კი სათაყვანო პიროვნების – ნათელ ხსოვნას, თუმცა იმავდროულად რაღაც უკმარისობის გრძნობა მაინც მანუხებდა: გული მწყდებოდა, რომ დღეს, როცა არნახული სისწრაფით იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო და, შესაბამისად, განსხვავებულია პიროვნებათა სულიერი მისწრაფებანი, მათი დამოკიდებულება წარსულის კულტურული თუ მეცნიერული მემკვიდრეობისადმი, ახალი თაობისათვის ცნობილი ენათმეცნიერი ქეთევან ძონენიძე თითქმის უცნობია თავისი გამორჩეული ბუნება-ხასიათით, ნიჭიერებით, პრინციპულობით, უანგარობით, უსაზღვრო კეთილშობილებით, პოეტური ამაღლებულობით...

ქ-ნი ქეთევანს არ უყვარდა თვითრეკლამა; ცხოვრობდა სუფთა, ხალასი ბუნებრივი ცხოვრებით და საქმიანობდა ისე, როგორც მისი შინაგანი ბუნება კარნახობდა, როგორც უნდა ეცხოვრა, მისი

აზრით, ყოველ ადამიანს ყველა შემთხვევაში და არა სიტუაციების მიხედვით – „დრო და ჟამის შესაფერად“.

და როცა ქეთევან ძონენიძის არქივს გავეცანი, ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ თანამედროვე საზოგადოებამაც უნდა გაიცნოს ერთი მშვენიერი ქალბატონის ხანმოკლე, მაგრამ საინტერესო ცხოვრების ეპიზოდები, მისი სულის ნუხილი... გაიცნოს და, ალბათ, ბევრი რამაც უნდა გაითავისოს...

დიახ, აუცილებლობად მივიჩნიე, ეს მასალები (დღიურები, მიმონერა ცნობილ მეცნიერებთან, ახლობლებთან, სიტყვა-მოგონებები... დათარიღებული 1939 წლიდან, თუმცა არასრული სახით მოღწეული) ერთი მთლიანი ნიგნის სახით მიმწოდებინა მკითხველისათვის.

ნიგნის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, მართებულად ჩათვალე, საარქივო მასალები შემევესო ქ-ნი ქეთევანის ხსოვნისადმი მიძღვნილი სხვა წყაროებითაც (საგაზეთო სტატიებით, მოგონებებით... მისი ცხოვრება-მოღვაწეობის ძირითადი თარიღებისა და ნაშრომების ბიბლიოგრაფიის ნუსხით...); ვარდა ამისა, გადავამოწმე და გამოვიყენე თბილისის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების ცნობარები; ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგები; გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურისა და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმების, ქუთაისის ი. ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის უნიკალური ნიგნების განყოფილების მასალები...

წარმოდგენილ ნიგნს, ცხადია, არა აქვს სისრულის პრეტენზია. ეს ბუნებრივიცაა: ამქვეყნად აღარ არიან ქეთევანის კოლეგები, მასწავლებლები, ახლო მეგობრები, უახლოეს ნათესავთა თუ მოწაფეთა ნაწილი... ამ მხრივ ჩემთვის განსაკუთრებული სამსახური შეეძლო გაენია ქალბატონ ლეილა კვანტალიანს.

ძვირფასო მკითხველო, გაეცანით ქ-ნი ქეთევანის თვალით აღქმულ სინამდვილეს, შეიგრძენით მისი სულის სიფაქიზე, მისეული ფრაზის მოქნილობა, ხიბლი და პოეტურობა...

P.S. ნიგნის სტრუქტურა-ხასიათის გამო მოსალოდნელი მსგავსი ინფორმაციების ხშირი განმეორების ასაცილებლად ქ-ნი ქეთევანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ზოგიერთი სტატია და ზოგი ვრცელი საარქივო მასალაც იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით ან ამონარიდების სახით.

წიგნი ეძღვნება ქეთევან ძონენიძისა და
ლეილა ჯვანთალიანის ნათელ ხსოვნას.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქეთევან ძონენიძე (მშობლები, და-ძმები)

ქეთევან ძონენიძე დაიბადა 1916 წლის 23 დეკემბერს ქალაქ ქუთაისში, სამსონ იოსების ძე ძონენიძის მრავალსულიან ოჯახში.

სამსონი წარმოშობით წყალტუბოს რაიონის სოფელ ზართიდან იყო. იქაური ღარიბი გლეხის, იოსებ ძონენიძის, ვაჟები: სამსონი, პავლე და სერგო აღრიდანვე წამოსულან სოფლიდან და ქუთაისში დასახლებულან. იქ ძმებს გაუხსნიათ საერთო პატარა დუქანი, სადაც ძირითადად ვაჭრობდნენ მატყლითა და თევზით. ძმები იმხანად საშუალო შეძლების მქონეებად ითვლებოდნენ თურმე.

სამსონს ცოლად შეურთავს გურული ქალი ივლიტა ახალაძე, შესძენიათ 4 შვილი (ანტონინა, ელენე, რომანი, გიორგი). სამწუხაროდ, ივლიტა მალე გარდაცვლილა (მეხუთე მშობიარობას გადაჰყოლია) და დაობლებული ბავშვები ერთხანს იზრდებოდნენ დედის მშობლების ოჯახში.

დაქვრივებულ სამსონს სამი წლის შემდეგ შეურთავს მეორე ცოლი – ჭიათურელი დეკანოზის ქალიშვილი ფოტინე დევიძე. საოცრად სათნოსა და უაღრესად კეთილშობილ ფოტინეს იმთავითვე არ გასჭირვებია დიდი ოჯახის გაძლოლა, ბავშვების მოვლა-მზრუნველობა; საკუთარი შვილებივით შეიყვარა და შეითბო დაობლებული გერები და ეს გრძნობა მათდამი მთელი სიცოცხლის მანძილზე არ განელებია.

ქეთევანი სამსონის მეხუთე შვილი იყო. ორი წლის შემდეგ შეეძინათ მეექვსე – ალექსანდრე (ბუჭა).

მართალია, სამსონის ოჯახი ეკონომიურად ხელმოკლედ ცხოვრობდა (პატარა, ოროთახიან ბინაში), მაგრამ ოჯახში ყოველთვის სიტბო და სიმშვიდე სუფევდა. ბავშვებს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, ასევე უსაზღვრო სიყვარულით პასუხობდნენ ამავდარ მშობლებს. „განგების უსამართლობა იქნებოდა უთუოდ, ქალბატონი ფოტინესათვის ვინმეს დედინაცვალი რომ ეწოდებინა. იგი იყო დიდი ოჯახის დედაბოძი, დედა, ბებია-ალერსიანი და მოსიყვარულე, მოამაგე და მზრუნველი“ (ვ. ბუზიაშვილი, „ქუთაისი“, 2003, 23 მარტი).

ქალბატონი ფოტინე ყოფილა არა მხოლოდ საუკეთესო დედა, არამედ შვილების სულიერი მეგობარიც: „რა უბედურად გათენდა ჩვენთვის ორი მაისი. აღარ მყავს ჩემი სიცოცხლის თანამგზავრი ჩემი დედა, რომლის დამჭკნარი სახის შეხედვა ჩემთვის უძვირფასესი იყო, მისი სიკვდილი კი მწვავე ობლობას განმაცდევინებს.

რა მარტოობა ვიგრძენი და რა სიმწარე განვიცადე... რა მძიმე ყოფილა დედის დაკარგვა, დედისა, რომლის სიცოცხლის ყოველი წუთი ჩვენზე ფიქრსა და ვარაშში მიდიოდა. ჩვენზე ჯავრმა და სიხარულმა გააღლო მისი გული, გული - დიდბუნებოვანი და კეთილი მოხუცი უსწავლელი ქალისა, რომელსაც ოჯახის სიყვარული და პატივისცემა კანონად ჰქონდა გადაქცეული და ყველას დარდი თავის საკუთარ დარდად მიაჩნდა....

როცა დედა ცუდად შეიქმნა, თავის გადარჩენაში დაეჭვებული, მაგრამ არა დარწმუნებული, მაინც ყველას ამხნეებდა, ყველაზე ზრუნავდა, მაინც ჩვენზე ფიქრობდა, რადგან ის იყო ნამდვილი დედა, ოჯახის ფუძე, რომლის დაკარგვამაც ჩვენს კეთილ, პატიოსან ოჯახს საფუძველი შეურყია, გაბზარა ჩვენი ოჯახი, დაგვაობლა და დაგვადარდიანა, აგვაცრემლა და მუდამ სატირალი ხსოვნა დატოვა ჩვენში.

ოხ, რა სიმწრით, რა ტკივილით, რა გულით განვიცადე ჩემი დამჭკნარი დედის დაკარგვა, რომლის ყოველდღიურად ლოყაზე ხელის შეხება მეც და მასაც სიმხნევეს გვინერგავდა და შვებას გვაძლევდა“ (ბუჭა ძონენიძე, 1962, 2 მაისი, ამონარიდი დღიურიდან)...

„...დედა იყო ჩემთვის მთელი სამყარო, იგი, უბრალო ქალი, სხვებისთვის უჩინარი, ნამდვილი ადამიანი იყო. ფიზიკურად საშინლად სუსტსა და ავადმყოფს, შეეძლო ყველა შემოფოთებული გულისათვის შესაფერისი ნუგეში ეცა...“

ახლა მე თითქოს გულის დიდი ნაწილი ჩამომკვეთეს და სრულ აპათიაში ჩავარდნილს აღარაფერი მაინტერესებს, საშინელ სიცარიელეს ვგრძნობ“ (ქეთევან ძონენიძე, 1962 წლის მაისი, ამონარიდი აკ. შანიძისადმი გაგზავნილი წერილიდან).

„ბებიჩემს ბედნიერი სიბერე ჰქონდა, რადგან თავს მზრუნველი და მოსიყვარულე შვილები ეხვია...“

გიორგი ბიძია დედაშვილური მადლიერების ნიშნად ყოველთვიურად უგზავნიდა დედამისს ფულს, რომელიც მოხუცებულს საკუთარი სურვილისამებრ უნდა დაეხარჯა. გამოგზავნილ თანხას თურმე თან ერთვოდა შემდეგი შინაარსის ბარათი: „დედა, გიგზავნი მორიგე გზავნილს, გკოცნი. გიორგი“ (შვილიშვილი ნანა ძონენიძე).

„ოჯახის თავკაცი ბატონი სამსონი, მეზობლობაში პატიოსნებითა და სამართლიანობით გამორჩეული, ტკბილმოუბარი კაცი გახლდათ. შვილებს წიგნის სიყვარულისა და მაღალზნობრიობის მაგალითს აძლევდა“ (გიორგი მჭედლიძე, უანგაროთა ოჯახი, „ქუთაისი“, 22 მარტი, 2003).

როგორც ჩანს, სამსონისა და ფოტინეს პიროვნული თვისებებისა და კეთილი ბუნების წყალობით, ძონენიძეების დიდ ოჯახში ტრადიციად დამკვიდრებული სხვათა პატივისცემა, სიტბო, გულისხმიერება და მადლის გაღება მომდევნო თაობის შთამომავლებისთვისაც დაუწერელ კანონად იყო ქცეული: „მამაჩემი, ერემო ძონენიძე, ხშირად ამბობდა: „რამდენი სიკეთე და ყურადღება მახსოვს სამსონ ბიძიასაგან... რამდენჯერ მოუცია შაურიანი საჩუქრად, ეს შენ კარგი სწავლისთვისო.“ მე სამსონ ბაბუას არ მოვსწრებოვარ, მაგრამ იმ ნათესაურ ჯაჭვს, რომელიც გიორგი ბიძიასთან (იგულისხმება გიორგი ძონენიძე – ჟ.ფ.) და მის დიდ ოჯახთან მაკავშირებდა, სამსონ ბაბუას... მაღალი ზნეობა, სიყვარული და ყურადღება სდევდა თან“ (ნუნუ ძონენიძე, „ქუთაისი“, 2003, 26 მარტი).

მრავალსულიან ოჯახში (ყოფილან 17 დედმამიშვილი) აღზრდილი ფოტინე შვილებს ბავშვობიდანვე აჩვენებდა შრომა-საქმიანობას: უფროსები დედას ეხმარებოდნენ უმცროსების მოვლაში, ასრულებდნენ მსუბუქ საოჯახო საქმეებს. ასე უნერგავდნენ მშობლები შვილებს შრომის სიყვარულსა და საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობას. ამასთან დაკავშირებით მკითხველს ვთავაზობთ გიორგი ძონენიძის (ქეთევანის ძმის) მოგონებას: „ოჯახში ექვსი ბავშვი ვიზრდებოდით. ყველას ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა და დიდი მეგობრები ვიყავით... ერთხელ დედამ ერთ ხელში ნავთის ბოთლი მომცა, მეორეში ხურდა ფული ჩამიდვა და ნავთის საყიდლად გამგ ზავნა. ჩემმა პატარა დამ ქეთინომ მარტო არ გამიშვა, ატირდა და იძულებული ვიყავი წამეყვანა. ნავთის სავაჭრო ჩვენი სახლიდან შორს არ იყო, მაგრამ ამ დროს ქუთაისის ქუჩები კარგად არ იყო მოვლილი და განსაკუთრებით ზამთარში ჭირდა სიარული. ნავთი ვიყიდეთ და გახარებულები, რომ ოჯახის დავალება შევასრულეთ, შინ ხელი-ხელჩაკიდებულები ვბრუნდებოდით. ის-ის იყო, სახლთან მივედით, რომ რალაცას ფეხი წამოვდე და ორივენი დავეცით. ბოთლი ხელიდან გამივარდა, გატყდა და ნავთი მთლიანად დაიღვარა. ჩვენი დიდი სიხარული უდიდესი მწუხარებით შეიცვალა. ვიჯექით ორივენი ქვაფენილზე და ხმამაღლა ვტიროდით. გამვლელები ვაკვირვებით გვიყურებდნენ, დაღვრილ ნავთს ასე ენერგიულად რომ დავტიროდით. არ ვიცი, რით ვათავდებოდა ეს ჩვენი მოთქმა, რომ ერთი ღვთისწიერი კაცი არ მოსულიყო ჩვენთან. ის ჯერ მოგვეფერა და შემდეგ აღვვითქვა, რომ დედასთან წამოგვეყვებოდა, აუხსნიდა: ყველაფერი ჩემი ბრალია, ბავშვებს შემთხვევით მე დავეჯახეო. ჩემი და გაჯავრდა: ძია, ტყუილი როგორ შეიძლება, ჩვენ განა ცემის გვეშინია, დედიკო არაფერს არ გვეტყვის. ჩვენ ის გვწყინს, რომ ოჯახის პირველი დავალება ვერ შევასრულეთო. ჩვენმა ახალმა მეგობარმა გაიცინა, ორივენი აგვაყენა, უკანვე ნავთის გამყიდველთან მიგვიყვანა, ნავთით სავსე ბოთლის ღირებულება გადაიხადა, ერთ ხელში ნავთი დაიკავა, მეორე კი ჩვენ ჩაგვკიდა და სახლამდე მიგვაცილა.

ჩემი და მთელს ჩვენს თავგადასავალს დანვრილებით მოუყვა დედას. უფროსებმა მე დამტუქეს: შენ ხომ დიდი ხარ (გიორგი ქეთევანზე ექვსი წლით უფროსი იყო – ჟ.ფ.), ვაჟკაცმა კაცმა ერთი ბოთლი ნავთისთვის როგორ იტირეო“ (იხ. ს. დურმიშიძე, მოგონების რამდენიმე ფურცელი: ჟურნ. „მნათობი“, 1980, №2, გვ. 179-180).

ქ-ნი ფოტინეს დამსახურება იყო თურმე ისიც, რომ სამსონის ყველა შვილმა მაშინდელ პირობებში კარგი განათლება მიიღო. როცა უფროს დებს ოთხი კლასი დაუმთავრებიათ, მამას უთქვამს: ქალისთვის მეტი სწავლა საჭირო არ არისო, მაგრამ დედას, რომელმაც კარგად უწყოდა ცოდნის ფასი (მისი ერთი ძმა ექიმი ყოფილა, მეორე – იურისტი, მესამე – ეკონომისტი), განუცხადებია: ჩვენ მდიდარი ხალხი არა ვართ. ჩვენი შვილები ცოდნამ უნდა აცხოვროსო. უთქვამს და აუსრულებია კიდეც: ანტონინას და ელენეს წმ. ნინოს სახელობის გიმნაზია დაამთავრებინეს. გოგონები ნიჭიერი და ბეჯითი მოსწავლეები ყოფილან. **ანტონინას** ჰუმანიტარული საგნები უფრო იზიდავდა თურმე, წერდა ლექსებს, საუკეთესოდ თარგმნიდა რუსულიდან ქართულად; **ელენე** (ლოლა) კი გამოირჩეოდა ანალიზური აზროვნებითა და მათემატიკური დისციპლინების საუცხოო ცოდნით. ელენეს გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მათემატიკის მასწავლებლად დაუნყია მუშაობა სოფელ სიმონეთში, მერე კი ქუთაისში საბავშვო ბაღის მასწავლებელი იყო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სამსონ ძონენიძე „გაუკუულაკებიათ“ და ყველაფერი ჩამოურთმევიათ. კიდეც უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილა მრავალსულიანი ოჯახი. გარდა ამისა, „შავსიელობის“ მიზეზით, მათ სხვა ბარიერებსაც უქმნიდნენ, მაგრამ, მიუხედავად უკიდურესი გაჭირვებისა, მშობლების მთავარი საზრუნავი მაინც შვილების განათლება იყო.

განსაკუთრებული ნიჭიერებისა და გასაოცარი ბეჯითობა- შრომისმოყვარეობის წყალობით ქეთევანის ძმები საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები იყვნენ: უფროსი ძმა **გიორგი** (1910-1976) – გამოჩენილი მეცნიერი, საბჭოთა კავშირისა და საქარ-

თველოს მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, სტალინური და ლენინური პრემიების ლაურეატი, ქართული გეოლოგიური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, გახლდათ ცნობილი საზოგადო მოღვაწეც (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე). უმცროსი ძმა **ალექსანდრე (ბუჭა) (1918-1991)** იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, გულისხმიერებითა და პროფესიონალიზმით გამორჩეული პიროვნება, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, ჯანმრთელობის სფეროს შესანიშნავი (უნარიანი) ორგანიზატორი, ქუთაისში რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს დამფუძნებელი და მისი პირველი მთავარი ექიმი (ყველაზე უფროსი ძმა რომანი 32 წლის ასაკში ტუბერკულოზით გარდაცვლილა).

„ქეთევანი და მისი ძმები... აღნაგობით, განსაკუთრებით კი ხასიათით ჰგვანდნენ ერთმანეთს, მათ განსაკუთრებული უანგარობა გამოარჩევდათ“ (გ. მჭედლიძე).

დიახ, სამსონ ძონენიძის შვილები მართლაც გამორჩეულები იყვნენ ნიჭიერებით, უმნიკვლო საქმიანობით, პრინციპულობით, კეთილშობილებითა და მაღალი ზნეობით.

ჟუჟუნა ფეიქრიშვილი



ქეთევან ქონენიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები

- 1916 წლის 23 დეკემბერს დაიბადა ქალაქ ქუთაისში.
- 1922-1930 წლებში სწავლობდა ქუთაისის შვიდწლიან სკოლაში.
- 1933 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ტექნიკუმი.
- 1933 წელს შევიდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.
- 1937 წელს წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და იმავე წელს იქვე დაინიშნა ქართული ენის კათედრის ლაბორანტად.
- 1938-1941 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში ენათმეცნიერების განხრით.
- 1941 წლიდან ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის უფროსი მასწავლებელია.
- 1946 წლიდან სკკპ წევრი იყო.
- 1950 წლის 28 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით დაიცვა **საკანდიდატო დისერტაცია** თემაზე „სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით“.
- 1951 წლიდან ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის დოცენტი.
- 1958-1969 წლებში განაგებდა ქართული ენის კათედრას.
- 1969 წლის 4 სექტემბერს გარდაიცვალა. დაკრძალულია ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე.
- 1973-1974 წლებში გამოქვეყნდა მისი მონოგრაფია **„ზემოიმერული კილოკავი“** ორ ტომად.
- 1974 წელს ქეთევან ქონენიძისა და კ. დანელიას ავტორობით გამოიცა ნიგნი **„პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული ვერსიები“**. დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით, რამდენიმე მედალით, სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“...

ქეთევან ქონენიძის შრომების პიბლიოგრაფია

გამოქვეყნებული შრომები

1. – **გან** თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში: იბ.-კავკ. ენათმეცნიერება, I., 1946.
2. ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში: თსუ, შრ. ტ. XXXIB (გადაბეჭდილია კრებულში „სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, წიგნი I, 1956), 1947.
3. ქვემოიმერულის უხუთური მეტყველება: ქუთაისის პედინსტიტუტის შრ., ტ. VIII, 1948.
4. სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი რუსულ ენაზე); თსუ, თბილისი, 1950.
5. **ევ** სუფიქსისათვის ზემოიმერულ კილოკავში: ქუთ. პედინსტიტ., შრ., ტ. X, 1951.
6. ზემოიმერული კილოკავი: ქუთ. პედინსტიტ. შრ., ტ. XI, 1953.
7. ქართლურ-კახური ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებანი ილია ჭავჭავაძის ენაში: ქუთ. პედინსტიტ. შრ., ტ. XIII, 1955.
8. ზემოიმერული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი (ორჯონიკიძის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით): ქუთ. პედინსტიტ. შრ., ტ. XVII, 1957.
9. არქაიზმები ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებთა ენაში: ქუთ. პედინსტიტ. შრ., ტ. XVIII, 1958.
10. თურმეობითი მეორის ერთი თავისებურება ზემოიმერულში: ქუთ. პედინსტიტ. შრ., ტ. XXII, 1960.
11. ზემოიმერული კილოკავი (ჭიათურის მიმდებარე სოფლების მეტყველების მიხედვით): ქუთ. პედინსტიტ. შრ., ტ. XXIII, 1961.
12. იმერული ტექსტები: შეტანილია წიგნში ქართული დიალექტოლოგია, I, 1961 (გვ. №344-345; 349-350; 356-357; 363-366).
13. დავიცვათ სალიტერატურო ქართული ენის სინმიწინდე: გაზ. „სტალინელი“, 16.VII. 1961.

14. Прославленный ученый (А.С.Чикобава): газ. „Кутайсская правда“, 5. III. 1963.
15. „სიყვარულით გამთბარი“ (სიტყვა, წარმოთქმული ქუთაისის პედინსტიტუტში გიორგი ლეონიძის იუბილეზე – პუბლიკაცია მ. ალავიძისა): გაზ. „ქუთაისი“, 1969, 22.XI.
16. უნიფორმაციის ტენდენციის მოქმედების ერთი ნიმუში ზემოიმერულ კილოკავში: იბ.-კავკ. ენათმ. ტ. XIV, 1964.
17. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: გაზ. „ქუთაისი“, 25.IV. 1965.
18. ვაჟა-ფშაველა და სალიტერატურო ენის საკითხები: გაზ. „ქუთაისი“, 10.VIII. 1965.
19. პროფესორი ვარლამ თოფურია (დაბადების 65 წლისთავი): „ქუთაისი“, 28.VIII. 1966.
20. ზემოიმერულ და ქვემოიმერულ კილოკავებთან მიმართებით შუაიმერულის საკითხისათვის: „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), №3, 1967.
21. ერის დიდი მოჭირნახულე (აკად. აკ. შანიძე): გაზ. „ქუთაისი“, 26.II. 1967.
22. მეცნიერი მსოფლიო სახელით (აკად. არნ. ჩიქობავა): გაზ. „ქუთაისი“, 27.III. 1968.
23. დავით გურამიშვილის ენა: ქუთაისის პედინსტიტ. შრ., ტ. XXXIII, 1970.
24. ზემოიმერული კილოკავი (გამოკვლევა და ტექსტები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა (564 გვერდი), თბ., 1973.
25. ზემოიმერული კილოკავი (საჩხერის რაიონის მცხოვრებთა მიხედვით): იხ. წიგნში „ზემოიმერული კილოკავი“, თბ., 1973.
26. ზემოიმერული კილოკავი (ზესტაფონის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით): იხ. წიგნში „ზემოიმერული კილოკავი“.
27. ზემოიმერული კილოკავი ქვემოიმერულთან მიმართებით: იხ. წიგნში „ზემოიმერული კილოკავი“.
28. აკაკი წერეთლის ენა: იხ. წიგნში „ზემოიმერული კილოკავი“.
29. დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა მეტყველება: იხ. წიგნში „ზემოიმერული კილოკავი“.

30. ზემოიმერული ლექსიკონი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, (646 გვერდი), თბ., 1974.
31. პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული ვერსიები (თანაავტორია კ. დანელია), თბ., 1974.

გამოუქვეყნებელი შრომები

32. სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით (საკანდიდატო დისერტაცია).
33. ზემოიმერულის დარგობლივი ლექსიკა (მასალები).
34. გარდამავალ ზმნათა თურმეობითის წარმოება.
35. მიცემითი ბრუნვის ფუნქციები ქართულში.
36. ვაჟა-ფშაველა და სალიტერატურო ენის საკითხები.
37. ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკის ენა.

ნაკითხული მოხსენებები

- ა) ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციებსა და სესიებზე
1. თანდებულიანი სახელები ძველ ქართულში პავლეს ეპისტოლეების მიხედვით. 1943.
 2. მიცემითი ბრუნვის ფუნქციები ქართულში. 1944.
 3. –**გან** თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში. 1945.
 4. ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში. 1946.
 5. გარდამავალ ზმნათა თურმეობითის წარმოება. 1947.
 6. ქვემოიმერულის უხუთური მეტყველება. 1948.
 7. ი.ბ. სტალინის მომავლის ერთიანი ენის შესახებ. 1950.
 8. **ვე** სუფიქსისათვის ზემოიმერულ კილოკავში. 1951.
 9. ი.ბ. სტალინის ნაშრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხების“ ძირითადი დებულებები. 1951.
 10. ი.ბ. სტალინის შრომები ენათმეცნიერების საკითხებზე ბაზისისა და ზედნაშენის შესახებ. 1952.
 11. ილია ჭავჭავაძის ენა. 1952.
 12. ილია ჭავჭავაძის პროზის ენა გრამატიკული წყობის თვალსაზრისით. 1952.

13. აკაკი წერეთლის ენა. 1953.
14. დავით გურამიშვილის ენა. 1955.
15. ზემოიმერული კილოკავი. 1956.
16. ორჯონიკიძის რაიონის ქართლის მოსაზღვრე სოფლების მეტყველების თავისებურებანი. 1957.
17. არქაიზმები ილია ჭავჭავაძის ენაში. 1957.
18. ზემოიმერული კილოკავი (საჩხერის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით). 1959.
19. ზემოიმერული კილოკავი (ჭიათურის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით). 1960.
20. ზემოიმერული კილოკავი (ქალაქ ჭიათურის მიმდებარე სოფლების მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით), 1961.
21. ვაჟა-ფშაველა და სალიტერატურო ენის საკითხები, 1961.
22. ზემოიმერული კილოკავი (ზესტაფონის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით). 1962.
23. ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკის ენა. 1962.
24. დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა მეტყველება. 1962.
25. ზემოიმერული კილოკავი (ზესტაფონის რაიონის ზოგიერთი სოფლის მეტყველების მიხედვით). 1963.
26. უნიფორმაციის ტენდენციის მოქმედების ერთი ნიმუში ზემოიმერულ კილოკავში (საქართ. სსრ. მეცნ. აკად. ენათმეც. ინსტიტუტისა და ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გაერთიანებული სამეცნ. სესია). 1964.
27. ზემოიმერული კილოკავის ლექსიკონი. 1966.
28. ზემოიმერული კერამიკა. 1968.
 - ბ) საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციებსა და სესიებზე, აგრეთვე, საქალაქო ღონისძიებებზე
29. ქართული ენის სწავლების მდგომარეობა ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (საქართ. სსრ უმაღლესი სასწ.-ის ქართული ენის კათედრათა III სამეცნიერო-მეთოდური სესია). 1955.

30. ზემოიმერული კილოკავი ქვემოიმერულთან მიმართებით (ქუთ. პედინსტიტუტის 28-ე სამეცნიერო სესია, ქუთაისი, 1964; საქართ. სსრ უმაღლესი სასწ-ის ქართული ენის კათედრათა VI რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია). 1965.
31. აკაკი შანიძე – ქართული ენათმეცნიერების პატრიარქი (აკაკი შანიძის დაბადების 70 წლის იუბილეზე ქუთაისის პედინსტიტუტში). 1957, 1 ივნისი.
32. ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოს შესახებ (მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის, განათლების განყოფილების ქართული ენისა და ლიტერატურის სექციის.... მიერ მოწყობილ საჯარო ღონისძიებაზე), 1965, 15 მაისი.



**ქეთევან ქონენიძის ცხოვრების აღრეული წლები
(1939-1941)**

დღიურები

6 ნოემბერი (1940 წელი)

ახლა მე უკვე ქუთაისში ვარ. აქ ცხელა. ჩვენს ეზოში მდგარ ცაცხვებს რომ ფოთლები არ ცვიოდეს, ვიფიქრებდი, გაზაფხულია-თქო. ყვითელი ნოემბერი მაისივით კოპნიობს, თუმცა ფერმკრთალი, გაცრეცილი ფოთლების ცვენა ჩემზე საშინლად მოქმედებს. ამ ფოთლებს ჰგავს ადამიანის სიცოცხლეც.

რომანის ავადმყოფობა კიდევ უფრო მიათკეცებს სევდას. მუზეუმში სამუშაოდ წავედი, მაგრამ გული არ მიდგება ერთ ადგილზე, რაღაც გარინდება მიუფლებს და ჩემ თავს ვერ ვცნობ. გალიამ გამომიარა და მუშაობა შევწყვიტე, რომანის სანახავად წავედი დისპანსერში. ექიმმა (კოკოჩაშვილმა) მითხრა: ეს მძიმე ავადმყოფია, აქ მისი გაჩერება არ შეიძლება, საავადმყოფოში უნდა გადაიყვანოთო.

ვნახე რომანი. ნეტა არ მენახა! სახე სრულიად გაცრეცოდა და სანთელივით გაყვითლებოდა. მაღალ, სპეტაკ შუბლს შავი, ნახშირივით შავი ხუჭუჭი თმა უმშვენებდა. წვერები წამოზრდოდა და დიდი წამწამების ჩრდილში ცრემლები უსხდა. მას ეძინა და ისე მძიმედ სუნთქავდა, რომ თავი ვერ შევიკავე, გარეთ გამოვვარდი და საშინლად ავტირდი. დავტიროდი რომანის უდროოდ დამსხვრეულ ახალგაზრდულ სიცოცხლეს, მის დაკარგულ ვაჟკაცობას, მოხუცი მშობლების განანამებ დღეებს, ახალგაზრდა ცოლის გაძარცვულ იმედებს...

სალამოს მე და ტონია წავედით მის სანახავად. უჩიოდა საშინელ დაღლილობას და მოშლილობას. თვალებში ცრემლები უბრწყინავდა და მე მომკლა ამ ცრემლებმა, მისმა სიცხისაგან დამწვარმა ფართე თვალებმა.

საწყალი ბიჭი! ოხ! მან იცოცხლოს და არაფერს დავიშურებ მისთვის. როგორ მენანება, როგორ მეცოდება!

8 ნოემბერი

რომანი დღეს დილით დედამ ნახა. მერე მე, თინა და ტონია ვიყავით. რომანს მხოლოდ ალიოშა ენატრება, სხვა არავინ. თვალებში დღესაც ცრემლები ჩადგომია. საშინლად უჭირს სუნთქვა. 7-ში ამდგარა, პალტო ჩაუცვამს და მეორე ოთახში გასულა. ვერ შეუძლია და გული შენუხებია.

საშინელებაა, გიყვარდეს და გეშინოდეს... გული მტკივა, გული... რომანის საცოდავობა მკლავს.

ჩვენ ექვსი ვართ და ვაჟებში სულ უფროსი რომანია. სანყალი ბიჭი! მისთვის ცხოვრება რა ორგული აღმოჩნდა; ოხ! ის გახდეს უკეთ და საჭირო რომ იქნეს, სულს გავყიდი.

სალამოსაც ვნახეთ. ლოლაც იყო. ლოლამ რომანის ცრემლებს ვერ გაუძლო, უთხრა: ბიჭო, ვაჟკაცს რა გატირებს, არ გრცხვენიაო?

სიცხე მწვავს, ლოლა, „ლედნიკი“ თუ მიშველისო...

9 ნოემბერი

რომანი ღამე ვინახულეთ მე და თინამ. ლაპარაკი უჭირს, ხმა ჩახლენია. ცრემლები ყელში მითრთის, მაგრამ თავს ვიკავებ. ვამხნევებ რომანს. ვეუბნები, რომ მან ბევრი უნდა ჭამოს, ცოტა მოკეთდეს, რომ ჩვენ გავიჭირებთ, მას კი არაფერს გავუჭირებთ.

რა უსინდისო ხარ, ცხოვრებავ, რა საძაგელი!

17 ნოემბერი

რომანი აღარ არის, ჩვენი ბიჭი, ჩვენი ვაჟკაცი. 10-ში დილით გარდაიცვალა. მწუხარების ბურუსმა დაფარა ჩვენი ოჯახი. მოხუცი მამის ცრემლები ქვას აატირებს.

...

დღის პირველ საათზე მოვიყვანეთ რომანი სახლში. მას „ლედნიკი“ ენატრებოდა და „ლედნიკშია“ ახლა. მწუხარებას არ ჰქონდა კიდე. სიმძიმე ნაპირამდე აგვივსო სული.

12-ში ჟორჟიკა და დარეჯანი ჩამოვიდნენ. მასპინძლობაც ასეთი უნდა. ჩვენ მას 32 წლის მკვდარი ვაჟკაცი დავახვედრეთ.

ჟორჟიკას ტირილი გულს მიკლავს. ის იგონებს ერთად გატარებულ ბავშვობის დღეებს, მხიარულსა და უდარდელს, იგონებს რომანის უზომოდ კეთილ გულს და ტირის, ვერ ვაკავებთ.

...

14-ში დილით რომანი უკვე კუბოში წევს. რა ლამაზია, რა ფერმიხდილი, რა წამება ახატია სახეზე! სად ჰქონდა ამდენი დარდი, ამდენი ტანჯვა?

მოდინ და მოდიან... ვინ იქნება გულქვა ისეთი, რომ რომანის სახის დანახვამ არ აატიროს?

დღემდის თითქოს არც კი მეგონა რომანი მკვდარი. დღეს კი... უკანასკნელი დღეა რომანის აქ ყოფნისა. 6 საათის შემდეგ ის ჩვენთან აღარ იქნება, არა. რა საშინელებაა!

მას სიცოცხლე სწყუროდა და სიკვდილმა დაამარცხა, სიცოცხლე სწყუროდა და ჩვენ უძლური ვიყავით ეს წყურვილი მოგვეკლა მისთვის. ამაზე მეტი საშინელება იქნება განა?!

რომანი აღარასოდეს აღარ მოვა ჩვენთან, არასოდეს არ დააკაკუნებს მორცხვად, ხათრიანად. ფანჯრიდან არასოდეს დაიძახებს ჩვენს სახელებს.

არასოდეს არ შეგვანუხებს. ნუთუ ის მიწად და მტვრად უნდა იქცეს? განა ადამიანის ბოლო ესაა მხოლოდ? მიწა და მტვერი? ტყუილია! რომანი გრძნობაა და აზრი, ის სიყვარულია, მეგობრობა, სიკეთე, ვაჟკაცის სათნოება, სიჯიუტე და კდემამოსილება ერთად.

ჩემო ბიჭო, ჩემო ძვირფასო, ჩემო ძამიკო, რა უნდოდა, რომან, შენთან ჭლექს, ყველაზე ჯანსაღთან, ყველაზე მხნესთან?

ნაცნობ-მეგობრები მოდიან და ჩვენს მწუხარებას ინანილებენ, მაგრამ მე ვერავის ვამჩნევ, ვერავის ვხედავ...

მოგონებები მოგონებებს ცვლიან. რომანის მთელი ცხოვრება თვალწინ მიდგება და ცრემლებიც მოდის ნიაღვარივით, გული მტკივა, მტკივა გული.

მართლა მხეცია ადამიანი. აი საყვარელი ძმა გამოასვენეს სახლიდან, ამის შემდეგ ის აქ აღარ მოვა და რად გამეყინა გული? ცივი ნაკადი მივლის მთელ სხეულში. მუხლები მეკეცება. თითქოს მთელი სამყარო ინგრევა ჩემთვის.

თინასა და ზინა ესაძეს მივყავარ. როგორ ჩქარა მივდივარ, სად მივიჩქარი, სად?

აი სასაფლაოც. მუსიკის მრავალმეტყველი ჰანგები აცილებენ ჩემ დამიკოს საფლავის კარამდე.

ვკოცნი რომანის გაციებულ მარმარილოს შუბლს და ოი, გული! მე აღარ შემიძლია...

2 აპრილი (1941 წელი)

რამდენი ხანი გავიდა, დღიური აღარ დამინერია.

დღეს საშინელ ხასიათზე ვარ. დილიდანვე განწყობილება მომეშხამა. ფეხსაცმელებისათვის ვიყავი ნახალოვკაში. იქედან ნათესავთან გამოვიარე. ძაღლმა მიკბინა და პალტოც დამიხია.

წერვები, ისედაც მოშლილი, მთლად დამეფულითა.

საღამოს ანტონთან წავედი, წამალი წავუღე. მზექალა შანიძე შემხვდა და სახლში შემიყვანა. პროფ. აკაკი შინ არ იყო. რა კარგი ცოლი ჰყავს აკაკის, რა კარგი გოგონა! მზექალას ცოტახანს ვესაუბრე, მთხოვა მომეცადა, მაგრამ არ შემეძლო. დავკოცნეთ ერთმანეთი და სახლში წამოვედი. ლილო შემხვდა. ორივეს სევდა გვკლავდა.

რატომ მომბეზრდა ყველაფერი?

მე რომ დღეს მეტად დათალხული მაქვს გული, რა ვქნა?

3 აპრილი...

ისევ მარტო ვარ, სულ მარტო ჩემი სიბოროტითა და სიკეთით, ოცნებითა და სევდით.

რა მინდა, რას ვეძებ მე? ჩემ წინაშე დიდი, გრძელი გზაა – მიზანი კი? რა ცუდია ასე ცხოვრება!

ბიცოლამ დამიძახა და დამანახა ბიძის კაბინეტის წინ მდგარი აკაციის ხე. მას კვირტები გამოელო. მეო, მეუბნებოდა ბიცოლა, მიყვარს ასეთ დროს მცენარეები, ამ კვირტების გამოსვლით ახალი სიცოცხლე იწყება. რამდენი სიხარული და რამდენი მწუხარებაც იშლება ჩემთვის ამ კვირტებითო.

ყოველთვის მომიგონე, როცა მოვკვდე, ამ დროსაო. თვალები ცრემლებით ამევსო...

23 ივნისი, 1941 წელი

დღიდანვე ვტირი, გული მიკვნესის. შაბათს ბატონმა აკაკიმ (შანიძემ – ჟ.ფ.) დამიბარა: უნივერსიტეტში მოდი, ენის კაბინეტი იხსნება და იქ უნდა იმუშავო.

11 საათზე წავედი, მაგრამ მე ვიცოდი, რომ შექმნილ პირობებში კაბინეტის მონყოლაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. ასეც მოხდა.

უნივერსიტეტმა კიდევ უფრო მომიშხამა ისედაც დათალხული გული. ყველას ნაშლია სახეზე უდარდებლობის ღიმილი, ყველას მონყენილობა ღრღნის.

მითხრეს, ჟორჟიკა ჩამოვიდაო. ავედი დეკანატში. არ იყო მოსული. არც მინერალოგიის კაბინეტში ჩანდა.

მე ვიცი, რომ განსაცდელში ჩავარდნილ სამშობლოს დაცვა უნდა. მე მშიშარაც არა ვარ. მზად ვარ მე თვით ყოველგვარ მტერს შევებრძოლო, ჩემი შესაძლებლობები არ დავზოგო, მაგრამ ჟორჟიკა რომ ჯარში უნდა წაიყვანონ, ეს მანუხებს, საშინლად მანუხებს.

მე ხომ ის ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარს. მე ხომ მის ღრმა თვალებში ჩაღვენთილი სევდა ტკივილებს მიშლის გულში ყოველთვის.

მას 3 ბავშვი ჰყავს... რა ქნას? ბუჭა – ჩემი „ჩორნა“ ბიჭიც უნდა წაიყვანონ ალბათ. დედას მწუხარება უნაპირო იქნება და მე ვიცი კიდევ...

მთელი ღამე ქვითინში გავატარე. ათას წყევლა-კრულვას ვუგზავნი მას, ვინც გვაიძულა ომი დაგვეწყო. მძვინვარე მხეცები, საძაგლები, ერთი მუჭა ფაშისტების ძაღლები!

რა ვქნა? რა?

შენიშვნა: ამ დღიურიით მთავრდება ბლოკნოტის ჩანაწერები, რომელთა უმრავლესობა არის წიგნებიდან ამონერილი საინტერესო ფრაზები, ციტატები თუ ცალკეული წინადადებები.

ქეთევანისადმი მიძღვნილი ლექსები

აკროსტიხი ქეთოს

I ვარიანტი

ქარზე ქნარი დავარხიე! ქარმა ქნარი ამიჟღერა!

ქლვის ცეცხლში რომ გამხვიე – ეხლა განცდა აღარ გჯერა?!

თვალციმციმა მთვარეს გევახარ, თუ ცხოვრების ბედისწერას,

ოდეს გიცქერ, თითქოს მზე ხარ... თვალს ახარებს შენი მზერა!

– მაგრამ მე რა?! მაგრამ მე რა?!

დადიხარ თუ ზიხარ, წევხარ... მესმის შენი გულის ძგერა...

თითქოს განცდად გულს მანევხარ, რომ დავიწყებ ლექსის წერას.

აღარ ვიცი, სად გექებო ანთებული ცეცხლის ფერად.

დედამინის სამოთხე ხარ, თუ ოცნების ცეცხლის კერა!

– მაგრამ მე რა?! მაგრამ მე რა?!

ოდეს სულში ძეგლად დგეხარ, ჩამოქნილი ლერწმის ლერად!

თითქოს ჩემი გულის ტყვე ხარ, გადავიქცე მსურს სიმღერად...

ანგელოზთა სინაზე ხარ, თუ „ემმაკთა პირჯვრის წერა“?!

სინყვდიადეს სინათლე ხარ! გაშვებული დენის ჩქერად!

– მაგრამ მე რა?! მაგრამ მე რა?!

და თუ შენი ბაგე მწველი

ამბორს მიძღვნის ანგელოსურს,

მაშინ მომეც შენი ხელი

და მეც მოგცემ ჩემ გულს მგოსნურს.

ვიქტორი

1939 წელი, ოზურგეთი



შენიშვნა: ეს ლექსი ახლავს ავტორის მიერ იულიასადმი მიწერილ წერილს. მასში ქეთევანის შესახებაცაა საუბარი, ამიტომ აქვე წარმოვადგენთ ჩვენთვის საინტერესო ადგილებს.

სალამი

უნდა სცნობდეს სულსა სული, ივლიანე! (ჭუჭულებით...)
 განიცდიდეს გულსა გული, გუგულიკა! (დამჯავშნელით...)
 რომ შეიქმნას განცდა სრული ქეთევან! (იდვალებით...)
 და აშენდეს სიყვარული! მოკითხვა დანარჩენებს.

...იულია, მე შევადგინე ლექსთა კრებული „სამეგობროს ალბომი“ ერთ-ერთი მეგობრის თხოვნის საფუძველზე წარსულის სამახსოვრო დოკუმენტად. ჩემი ტექსტი საერთო ხასიათისა იქნება, ხოლო თითოეული გადამწერი გადამწერს მასზე მიძღვნილს და სასურველს დანარჩენს ან მთლიან ტექსტს. შენ ყველაზე ძველი ხარ მათ შორის...

ცხოვრებაში ათასობით შემხვედრი ადამიანები მიუყვებიან დავინწყების მდინარეს და მეხსიერებაში რჩებიან მხოლოდ ზოგიერთები. ამ ზოგიერთებთაგანაც ზოგი ძლიერ ფერმკრთალად და მხოლოდ თითო-ოროლები – მკვეთრად. ჩემი კრებული კი მხოლოდ ზოგიერთს ითავსებს, იმათგან, რომლებიც მკვეთრად აღბეჭდილან მეხსიერებაში და ამავე დროს სულის სიღრმეშიც დამკვიდრებულან. ამიტომ მას ბევრი წევრი არ გააჩნია, მაგრამ მით უკეთესი მისი ღირსებისათვის. ვისაც „ყველა პირობებში“ არ შეუძლია მეგობრად დარჩეს, იგი არც მიმაჩნია მე მეგობრად და არც შემიძლია შევიტანო კრებულში. სიკვდილიც რომ ვერ სთიშავს მეგობრობას და დაკარგული მატერია სულიერ მოგონებათა პატივისცემა-სიყვარულის შუქში იშლება... ასეთი მეგობრობა მწამს, მე ასეთ მეგობარს ვეტრფი...

ქეთოს გადაეცით, მართალია, შენ ბევრი ქალიშვილი გამაცანი, მაგრამ მე მაინც შენ მირჩევნიხარ ყველას-თქო. მიუხედავად ჩვენი დიამეტრიულად სანინაალმდეგო ტემპერამენტისა, მე მგონია, მაინც შესაბამისი სულიერი მონაცემების ვიქნებით.

თუმცა მასთან ამ საკითხზე საუბარი ჯერ არ შემიძლიან, საამისოდ მას ჯერ კიდევ არ ვიცნობ. მე კი შინაგანი რაობის და ამ რაობის თვისებრივ თავისებურებების გარეშე ადამიანებს ვერ დავეუკავშირდები მეგობრული პრინციპების თვალსაზრისით.

კარგი გოგოა ქეთო, მაგრამ ეს სიკარგე სრულყოფილი იქნება, თუ მისი სულიც განათებულია სიკეთის თბილი გრძნობით და არ თავდება მარტოოდენ სხეულებრივი ფორმების გარეგანი გარშემონერილობით. რამდენადაც „სახე სულის სარკეა“ — კი, იგი კარგი გოგო უნდა იყოს. მე მასაც დავუწერე აკროსტიხი...
ვუგზავნი ეხლა ერთ ვარიანტს.

ვიქტორი

აქა წიგნი ფარნაოზისა ქეთევანთან მიწერილი (ლექსი ფარნაული)

1. ულიცაში დაგინახე,
მოდიოდი, ქეთო,
გამიბრწყინდა ნდომით სახე,
მსურდა რაცხა მეთქო.
2. არ მომხედე, ჩაიქროლე
როგორც პარაოზმა,
ჩემი გული გაიყოლე,
რა ვქნა ფარნაოზმა?
3. მთელ დუნიას მირჩევნია
შენი სახე ნაზი!

მეგობრად ამირჩევინარ,
არ მითხრა ატკაზი!
4. პადიეზდო ჩემი გრძნობის,
სულის კორიდორო,
წყაროვ ცკუისა და ბრძნობის,
უყნოსელო კოკორო!
5. ჯვრის წერიზა ვნახოთ როდის
მამა კალისტრატე?
ვაჰ! ვიქცევი... ეს რა მომდის!
ჩქარა ამიტატე!

შენი ფარნაოზი
თფილისი, მუზეუმის კარები
(რეიზა არ მეკარები?)

3.II.41

აქა წიგნი ქეთევანისა პასუხად ფარნაოზს

- | | |
|--|---|
| <p>1. შენმა წიგნმა სიხარულის
ფრთა შემასხა მეო.
გამიმრთელა წყლული გულის
შენი კვნესა მეო!</p> <p>2. დაგასწრებდი, მაგრამ, იცი,
ასეთია წესი...
გამოგყვები როგორც კვიცი,
ვინვი ჩანაკვესი!</p> | <p>3. გაუმხილე ეს ამბავი
ნადიას და ლილოს,
მიშას მოარიდე თავი,
რომ არ შეგეცვილოს!</p> <p>4. ამ წერილთან მოგიძღვენი
ერთი ცხელი „პაჩი“.
დიდებულ არს ბედი ჩვენი,
მალე წავალთ მამაჩში!</p> |
|--|---|

შენი ქეთინო
თბილისი, 4.11.41

ეპილოგის მაგიერ

წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება.
თუ ხანდახან არ ვიანგლებთ,
ამის მეტი რა შეგვრჩება!

ხალხური

შენიშვნა: 1. ფარნაოზისა და ქეთევანის „წიგნები“ დაწერილია ერთი ხელით. ორივეს ავტორი ფარნაოზია. გარდა ამისა, არქივში ინახება ქეთევანისადმი მიძღვნილი კიდევ ორი სახუმარო ლექსი ფარნაოზისა, მაგრამ მათში ზოგი ადგილის ნაკითხვა არ მოხერხდა, ამიტომ აღარ იბეჭდება.

2. ლექსებში ნახსენები პიროვნებანი იყვნენ ასპირანტობის-დროინდელი ნაცნობ-მეგობრები.

**ქეთევან ქონენიძის
ცხოვრება და მოღვაწეობა
1941-1969 წლებში**

1941 წლიდან, ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, ქ. ქონენიძემ მუშაობა დაიწყო ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენის კათედრის მასწავლებლად, კითხულობდა ენათმეცნიერების სხვადასხვა კურსს...

იგი სრულიად ახალგაზრდა ჩადგა პედაგოგიური ინსტიტუტის რჩეულ ლექტორთა რიგებში.

„პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. რიგ დისციპლინებში ლექციები ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტებთან ერთად გვიტარებოდა... მაშინ ქუთაისში სალექციო კურსის წასაკითხავად ჯერ კიდევ ჩამოდრიოდნენ სახელოვანი მეცნიერები და ამ მხრივ განებივრებული ვიყავით, მაგრამ ჩვენი ფილოლოგი თანაკურსელები პროფესორ-მასწავლებელთა ამ ბრწყინვალე კოჰორტაში მაინც გამოარჩევდნენ ქეთევან ქონენიძეს, რომელსაც მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული სამეცნიერო ხარისხი და წოდება, მაგრამ თავისი ერუდიციით, გადაცემის უნარითა და სტუდენტებთან დამოკიდებულებით უდიდეს პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა.

საკვირველი მხოლოდ ის იყო, რომ თავის ასაკთან შედარებით უმკაცრესი ქალი გახლდათ, გარეგნულ გულთბილობას არ იჩენდა, მაგრამ უბადლო უშუალობისა და სამართლიანობის გამო ხუთოსან და ოროსან სტუდენტებს თითქმის თანაბრად უყვარდათ“ (გიორგი მჭედლიძე).

პოეზია, მწერლობა მუდამ იყო ქეთევანის სულიერი საზრდო, რა ზედაც მეტყველებს მის მიერ ჩანერილი უამრავი ლამაზი ფრაზა თუ ბრძნული გამონათქვამი... ზეპირად იცოდა მისი თანამედროვე

პოეტების ლექსები, რომლებიც ახალგაზრდა ლექტორის ლექციებზე ხშირ-ხშირად გახშიანდებოდა ხოლმე.¹

თავადაც წერდა, ფურცელს ანდობდა საკუთარი სულის ფორიას, რომელიც ზოგჯერ საცნაურდებოდა ახლობლებისა და მეგობრების წერილებში.²

საქვირიან ისიანის ფრონტული წერილები

ქეთევან ძონენიძის თანაკურსელი გახლდათ პოეტი სევერიან ისიანი (დაიღუპა 1943 წელს ფრონტზე. დაკრძალულია ბრიანსკის ძმათა სასაფლაოზე).

ქეთო!

გულითადი სალამი!

გუშინ გადმომცეს შენი წერილი. უცბად დავხედე კონვერტის კიდეს და შენი გვარი ამოვიკითხე. ერთად ვიგრძენი გაცემა და სიხარული. გაცემა – რადგან ამ წერილს არ მოველოდი, სიხარული კი გასაგებია. ჩემს ცხოვრებას ბევრი არ ახსოვს დღე ისეთი სასიხარულო, ვით გუშინდელი.

გუშინ გადმომცეს შენი წერილი და მოგონებანი დღესაც არ მშორდებიან, მოგონებანი ჩემი ცხოვრების ოქროს დღეებზე: მშობლიური ქალაქის ინსტიტუტი... მეგობრები... ალუბლის ბაღი... ვენერას სასთუმალთან გასული საათები...

¹ არქივში ინახება თორმეტფურცლიან რვეულში ქეთევანის ლამაზი კალიგრაფიით გადანერილი ანა კალანდაძის, ალბათ, ჯერ კიდევ წიგნად დაუსტამბავი ლექსები: „თქვი, ჭია-მაია!“, „მე მზეს ვუმღერებ“, „არაბი ხარ?“, „მამ, ვინა ხარ?“, „თათრის გოგონავ!“, „რა ვარ? სტვირი ვარ!“, „თუთა“, „სასაფლაოზე ქარი დაძრწის“, „კალანდა“, „ბომა ქალი“, „მოდიოდა ნინო მთებით“ და რამდენიმე უსათაურო ლექსი.

² „სამწუხაროდ“, არქივში აღმოჩნდა ამ წერილების მცირე ნაწილის შავი პირები (მათ შორის ზოგი არასრულია), დანარჩენების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის ადრესატების პასუხები.

ვენერა! ჩემს ხსოვნაში იგი ყოველთვის თქვენთან არის.

ვენერა — ვარსკვლავი ფერმიხდილი და უცნაური სინაზით გამომზირალი. ვენერა — ვარსკვლავი ჩამქრალი უდროოდ.

უნებურად მაგონდება სტრიქონები შენზე, მისი დალუპვის შემდეგ დაწერილი. ის სტრიქონები არავინ იცის. იცის მხოლოდ ჩემი მცირე ხელნაწერების უჯრამ.

გუშინ გადმომცეს შენი წერილი და დღესაც რამდენჯერმე გადავიკითხე მე იგი. ისევ ის ხელნაწერი, ასოები სათუთად მიჯრილი, თავისებური და საყვარელი, როგორც ბუნება შენი.

ვამბობ: რამდენჯერმე გადავიკითხე, რა სათქმელია, თუმცა ან რატომ არ არის სათქმელი?

მე არა მიშავს.

ფრონტი, სადაც ერთად დადიან სიკვდილი და უკვდავებაც. გერმანული ყუმბარის ნამსხვრევი მარჯვენა ფეხში. ჰოსპიტლის კედლები მოსაწყენი, მოსაწყენი... კვლავ ფრონტი, დღეს კი აზერბაიჯანის მზისქვეშეთი. ცხადია, დროებით.

მახსოვს დანტეს დახატული ჯოჯოხეთი, და რა უფერული გამოჩნდა იგი ჯოჯოხეთთან, რომელიც მე არაერთხელ მინახავს. მინახავს: ულამაზესი ქალაქების ცხელი ნაცარი, მშვიდობიან მოქალაქეთა დასახიჩრებული გვამებით სავსე ორმოები, დედა თვალებდათხრილი და ნაწნავებისხლიანი (ხელები რომ ნაქცეული აკვნისაკენ გაუშვერია), სისხლიანი მიწა სახრჩობელების შავი ჩრდილებით და ყველაფერი ის, რაც დასაწერადაც ძნელია და წარმოსადგენად კიდევ უფრო ძნელი.

ამ ჯოჯოხეთის ავტორები მე ადამიანებად არასოდეს წარმომიდგენია და მახარებდა ყოველი მოკლული გერმანელი.

ბრძოლა უფრო გამძაფრდა. მტერმა თერგის ხეობაში შემოდგა სისხლიანი თათები. თუნდაც მოგვიკლან თავისუფლება და სიტყვა ქართული, მაგრამ არა! ჭალარა კავკასიის კლდეკარს ვერ შემოაღებენ ჰიტლერელი ურჩხულები. რუსთაველისა და ჯუღაშვილის ხალხს არ უწერია გადაშენება.

მეც მალე იქ ვიქნები, სადაც „მტარვალს აღუდგა ქართველის ქველობა“. მემახსოვრება შენი სიტყვები: „წყევლა და

რისხვა საზიზღარ ჰიტლერელებს ამდენი სისხლისა და ამდენი ცრემლისათვის“.

გუშინ გადმომცეს შენი წერილი და მოგონებანი კვლავ არ მასვენებენ, უფრო და უფრო ცოცხლდებიან გარდასული ფერადები „ცხოვრების გაზაფხულისა“.

თუმცა არა მარტო დღეს. ბრძოლის ველს ყოველთვის ცეცხლის ენები როდი ჰფარავენ. ხომ წარმოგიდგენია სიჩუმე გრიგალის შემდეგ, სამარული სიჩუმე? მსგავსი სიჩუმე, ხანდახან, ფრონტზედაც ჩამოვარდება ხოლმე და, აი, მაშინ შემოიჭრება სულში სულ სხვა გრიგალი. გრიგალი უცნაური, რომელსაც მე მოგონებებს ვეძახი.

ამ გრიგალში ხშირად ვხედავდი ქეთოს (შენ), ვენერას, თინას, ლილოს, ლუბას, გალიას, ანტონს... ვხედავდი ვაჟაზე გაგიჟებულ ზანდუკელს, ვარლამ თოფურიას თმის ვერცხლსა და მესმოდა ანგია ბოჭორიშვილის უცნაურად მოჭრილი მსჯელობა. მანასესაც ვხედავდი (კონტრასტები ყოველთვის მიყვარდა) წინ ხელებგაშვერილსა და ფეხის ცერებზე შემდგარს.

ასეთი ყოფილა ადამიანი: ყველგან გაჰყვება თურმე გული თავისი და საყვარელი გარემო.

დაიკო, შენს წერილში რალაც „მოკითხვის ბარათს“ ახსენებ, სცდები. პოეზიაა ჩემთვის მოგონებაც თქვენი. პოეზიაა ჩემთვის, რომ მწერ: სულ, სულ, სულ კარგად იყავიო. პოეზიაა ჩემთვის (მრისხანე და მომწოდებელი) ნყევლა და რისხვა, ჰიტლერელებს რომ უგზავნი, და პოეზიაა ჩემთვის ერთგული დის სიტყვები თავის ძმა ბუჭაზე.

გუშინ გადმომცეს შენი წერილი და მას ჩემს საველე ჩანთაში ჯერ არ ჩაუხედავს, ჩანთაში, რომელიც ყველაფერს ინახავს: ლექსის ხელნაწერსაც და პოლიტიმეცადინეობის კონსპექტებსაც, მარიკას ბარათებსაც და საარტილერიო სროლის სქემასაც. შენს წერილს მარცხენა გულისჯიბე მივუჩინე. იგი წერილია ჩემი ბავშვობისა და სიჭაბუკის მარადსახსოვარი მეგობრისა.

აუ! რამდენი, რამდენი მიწერია!... მე არ ვიცი რა დამიწერია. „მოკითხვის ბარათი“ თუ სხვა რამ, ვიცი მხოლოდ


ერთი: გუშინ გადმომცეს შენი წერილი და დღეს მშვიდად ყოფნა არ შემეძლია.

გისურვებ ჯანმრთელობას. დარწმუნებული იყავი, რომ ყოველთვის წინ გამიძღვება თქვენი მეგობრობა, სამშობლოს სიყვარულთან შეერთებული.

საბრძოლო სალამით მარად და მარადის
იქითაც შენი პატივისმცემელი სევერიან ისიანი

14.10.42

ქ. კაზახი



მოქმედი არმია, 31.5.43

შენიშვნა: ისიანის პირველი წერილისა და ღია ბარათის დედნები ამჟამად ინახება გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში.

ქათო!

ამ სახელს ეპითეტი რად უნდა, რადგან მას შენ ატარებ. იგი ყოველგვარ ეპითეტზე დიდი და ლამაზია.

მაგრამ ეგ ახლა საჭირო არ არის, დროც არ არის.

სშირია: გული წერს, შემდეგ გონების თვალი გადახედავს და გაასწორებს ხოლმე. ჩემთან ასეთი რამ იშვიათია: ვწერ მთელი უშუალობით და რასაც ვწერ, სიყვარული მანერინებს.

მაგრამ ეგ ახლა საჭირო არ არის, დროც არ არის.

არსებობს მეგობრობა დაუფინყარი. მას უწერილობა ვერ გააფერმკრთალებს, ვერც დროთა ავდარი გადაშლის ფერადებს მისას, ასეთია მეგობრობა ჩვენი.

მაგრამ ეგ ახლა საჭირო არ არის, დროც არ არის ვთქვათ, ყველაფერი დავიფინყე, იმ დღეებს მაინც რა დამავინყებს, როცა...

მე ისევ ველირსე მიმელო მეგობრების წერილი, მიმელო შენი წერილი და ისე დიდია ჩემი სიხარული, რომ ჩემსავე სიტყვებში ველარ ეტევა იგი. ვწერ ამ სტრიქონებს და ფიქრით თქვენთან ვარ, „ნეტარ დღეების ტკბილ მეგობრებთან“.

ს. ისიანი.¹

„ფიქრები და წარმოსახვანი“

29.12.48

ძილის წინ სინათლეს ვაქრობ. ვცდილობ არაფერზე ვიფიქრო, არაფერი წარმოვიდგინო, განგებ არ გამოვიწვიო საგნები.

ჯერ სიბნელის მეტს არაფერს აღიქვამს თვალი. თანდათან ბნელს ნათელი ემატება და ვხედავ უსაგნოდ მხოლოდ მტრედისფერ სივრცეს, რომელსაც ოდნავ მონაცრისფერო ელფერი დაჰკრავს. მერე ბუნდოვანი სურათები, რომელთა შორის გამოიკვეთა: მთის გამობურცულ წინა კალთაზე ფარას მოწყვეტილი

¹ მის. ალავიძე სავაზეთო სტატიაში „შინმოუსვლელი მეომარი პოეტები“ (გაზ. „ქუთაისი“, 1965, 25.IV) წერდა: „დოცენტი ქეთევან ძონენიძე სათუთად ინახავს მეგობარი პოეტის სევერიან ისიანის ორ ლირიკულ ლექსს და ორ საფრონტო წერილს... მკითხველი მოელის ქ. ძონენიძის საინტერესო მოგონებას პოეტის უცნობ ნაწერებთან ერთად.“ მ. ალავიძე სხვა სტატიაშიც აღნიშნავდა: ქ. ძონენიძის არქივში ინახება მოგონება პოეტ სევერიან ისიანზეო. სამწუხაროდ, გარდა ზემოთ წარმოდგენილი მასალებისა, დღეს მეტი აღარაფერია შემონახული.

ცხვრების ჯგუფი, ყველანი თეთრი შეჭუჭყიანებული ბენვით, შემკრთალნი, აბუზულნი, უძრავნი. მთის იქით ბუჩქების კონტურები, რომლებიც იკარგებიან ნისლში, უცბათ. ამ სანახაობას ცვლის მეორე: ნარინჯის ველები და შორს, ამ ველების ბოლოს, გზის გადაღმა, ზღვა ლურჯი და ლივლივა. ჩამავალი მზის ელვარებით ციმციმებს დიდი ფართო ზოლი ზღვის ზედაპირზე, მზის გასწვრივ. მენამული ცა ზღვას მიჰკვრია. მზეს ნელინელ ელვარება აკლდება და ბინდში იძირება ეს ზღვაც, ეს ნარინჯებიც, ეს მზეც.

მზის ადგილას, თითქოს ზღვის ქაფიდან ამოდისო, აღიქმება მთელი თავის მბრწყინავი სილამაზით ქალის სახე: მოშვილდულ წარბებს შორის ხალი, დიდი წამწამებით მოჩრდილულ ნაცრისფერ თვალეებში განუზომელი კაეშანი (ეს სახე მე ვნახე „ინდოეთის აკლდამებში“). მინდა არ ვხედავდე ამ მშვენიერ, მოღლილ, დატანჯულ სახეს, მაგრამ ვერ ვახერხებ. ახლა იგი მოჩანს ეკრანზე. ნაცრისფერი ფონიდან იყურება თვალეები დიდი და მწუხარე. თოვს, თოვს ხვავიანად. ფიფქები დაფარფატებენ და ეკვრიან ამ სახეს, ზოგჯერ ფიფქებში იმალება სახის რომელიმე ნაწილი, მაგრამ ყოველთვის ვხედავ ნაღვლიან თვალეებს და წარბებს შორის ხალს. ათოვს სახეს, მაგრამ მასზე ერთი კუნთიც არ იძვრის. ჩამოდგა რძისფერი ნისლი, მას სახე ჯერ არ დაუფარავს. ფიფქები აღარ იხედება, ნათლად აღიქმება რძისფერ ნისლში ხორბლისფერი სახე და მე ფერებს-ლა ვარჩევ და უცნაურია: ვხედავ გაუნმენდელი ფიცრის ნამტვრევებს, უთავბოლოდ მიყრილს, სადღაც ძველი სახლის კუთხეში, ჩემს ახლოს. ფიცრის ნამტვრევები ფართო არაა, სიგრძე განზე ცოტა მეტი ექნება. მოჩანს კიდევ რაღაც საგნები, მაგრამ ისე სწრაფად იცვლებიან ისინი, ერთმანეთში მერევიან და თვალი მათ აღქმას ვეღარ ასწრებს.

5.1.49


გვიან ვწვები. ისე მეძინება, რომ სურვილიც არ მაქვს რამეს ვხედავდე (მე მაინც მიჭირს, რომ განგებ გამოვიწვიო სურათები. როცა ვცაადე, წარმოდგენებს ან ფანტაზიას თავი ვერ და-

ვალნიე) და აი, სრულიად მოულოდნელად, ძალიან ნათლად აღიქვამს თვალი ასეთ სურათს: ორსართულიანი აგურის შენობა, დროთა ავდრისაგან აგურს თავისი ფერი უცვლია, რატომღაც, თითქოს წყლითაა გაჟღენთილიო, უფრო მუქი გამხდარა. ალაგ-ალაგ ხავსის ფერი დაჰკრავს, განსაკუთრებით შენობის ძირა ნაწილს. შესავალი თალისებური აქვს. კიბე არ მოჩანს. სახლის წინ პატარა ეზოა. ეზოს შუა ნაწილში ერთადერთი ხეა მაგნოლისაა: მალალი, ტოტებგაშლილი, ამაყად ამართული. მწვანედ ახავერდებულ ფოთლებში აქა-იქ მოჩანს ყვითელი ფოთლებიც. ზოგ მათგანს ყავისფერი დაჰკრავს.

ეზოს რკინის მოაჯირი აქვს შეუხანგებული.

ქუჩა ვინროა, ეტყობა, რომელიღაც ქუჩის შესახვევია. მარცხნიდან სულ ახლოს მას ჰკვეთს მთავარი ქუჩა. ქუჩის განი მთლიანად ჩანს. მე მას აღვიქვამ შენობის მოპირდაპირე მხრიდან. იხედება ქვასობილთა შორის ბალახიც.

გასაოცარი მდუმარება და ნაცრისფერი დღის ჯვანდი იგრძნობა.



4 საათია. საშინელ დაღლილობას ვგრძნობ. კითხვას თავი დავანებუ და მაგიდას დავეყრდნე თვალდახუჭული: ცოტა ხნით შევისვენებ-მეთქი. არც ვცდილვარ, რამე დამენახა. ვცდილვარ კი არა, არც კი გამხსენებია, რომ მე მაინტერესებდა საგნების დანახვა და მაინც დავინახე ასეთი სურათი: უსახელურო ბონდის ხიდთან ვდგავარ. ნიაღვარივით მოვარდნილ გაცოფებულ მდინარეს შუაში გაუტეხია ხიდი, მაგრამ ჩაზნექილი კი არ არის, ფიცრები ზევით ამონეულა და სამკუთხედის ფორმა მიუღია. ურჩხულივით დაგრაგნილი გაბოროტებული ტალღები ეხეთქება

განსაკუთრებით ხიდის ამ ნაწილს. ხიდის ბოლოს პატარა ხის ქოხია, რომელიც ადიდებულ მდინარეს ისე გადაუხრია, რომ შიშს იწვევს, მალე სულ არ წაღეკოს-თქო. თვალი წვდება მხოლოდ ამ ქოხამდე: დამტვრეული ბონდის ხიდი, ეს ქოხი და ამღვრეული ცოფმორეული მდინარე, რომელსაც საკმაოდ ფართო (რიონზე გაცილებით მეტი) კალაპოტი აქვს.

ეს სურათი მე დასვენებას მიშლის და ვბრაზობ, მაგრამ მისი სიჯიუტე მაკვირვებს; სანამ თვალი არ გავახილე და ხელახლა კითხვა არ დავიწყე, მისი მოცილება კი არა, სხვა სურათით შეცვლაც კი ვერ შევძელი.

საკანდიდატო დისერტაცია

1950 წელს ქეთევან ძონენიძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე „სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით“ და მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

„... მან დანვრილებით შეისწავლა ამ ძეგლის აქაური (თბილისისა და ქუთაისის) ხელნაწერები და გამოარკვია მათი რედაქციული სახე... დისერტაცია ჩინებული გამოვიდა“.

აკაკი შანიძე, მეცნიერ-ხელმძღვანელი

„სადისერტაციო ნაშრომში მის ავტორს გამოვლინებული აქვს ახალი მომენტებიც. მაგალითად, -**გან** თანდებულისანი მოქმედებითის ფუნქცია. ნაჩვენებია ამ მოვლენის ჩასახვისა და განვითარების სურათი არა მარტო პავლეს ეპისტოლეების მიხედვით, არამედ ძველი ქართული ენის სხვა თარგმნილი თუ ორიგინალური ძეგლების მიხედვითაც. ასე იქცევა სხვა შემთხვევაშიც ავტორი, როცა კი საგულისხმო რაიმე მომენტს შენიშნავს კვლევის დროს მისი ძეგლის მიხედვით დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით. ამრიგად, სადისერტაციო ნაშრომში არა მარტო უბრალო აღნუსხვა მოგვეპოვება სახელთა ბრუნებისა, რომელიც ადასტურებს იმას, რაც დღემდის გამოთქმულა მეცნიერე-

ბაში მის შესახებ, არამედ მასში ცდაცაა, ზოგიერთი კორექტივი იქნეს შეტანილი ამა თუ იმ მომენტის შეფასებაში, ისე რომ აღინიშნოს ახალიც და ამით საკუთარი სიტყვა ითქვას საკითხის კვლევის დარგში.

ავტორის ენა კარგია. მისი ნაწერი ყოველმხრივ გამართულია, სტილი ნათელია. “

ილია აბულაძე, ოფიციალური ოპონენტი

„დისერტანტიმა სულ ცოტა სამი მნიშვნელოვანი საკითხი გაარკვია და ამდენად ჩვენი ცოდნა გაამდიდრა. ეს საკითხებია: 1. ემფატიკური ხმოვნის უხმარებლობა ბრუნვებში; 2. – **გან** დებულებიანი მოქმედებითის ფუნქცია; 3. ნაწევრის ადგილის განსაზღვრა.

ამ მთავარი მიღწევების გარეშეც შრომის ყოველი თავი, გამოუკლებლივ, რაიმე ახალს და ამდენად დადებითს შეიცავს, იქნება ეს მოვლენის დადგენა თუ მისი ახსნა. ძველ ქართულთან საერთო თუ განსხვავებული მოვლენები ისე რელიეფურად არის წარმოდგენილი და საკითხები ისე მკვეთრად და ნათლად დასმული, რომ **მკაფიოდ ჩანს ავტორის ძალა და შესაძლებლობა, როგორც მკვლევარისა, საფუძვლიანი ცოდნა მასალისა და სამეცნიერო ლიტერატურისა, უნარი უზადო ანალიზისა და შედეგთა განზოგადოებისა და, რაც ხაზგასასმელია, უნარი მისაბაძი წერისა.**

ავტორის განკარგულებაში არსებული მასალა იმდენად ერთფეროვანი და საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ შეიძლებოდა მიგვეღო ფაქტებით აღსავსე საკმაოდ უგემურად დაწერილი ნაშრომი.

დისერტანტის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მასალა ისე ზომიერად და შერჩევითაა მოწოდებული, ისე მოხდენილად და დალაგებული და გაუცვეთელი წინადადებებითაა გადმოცემული, იმდენი ცოცხალი აზრი ახლავს, რომ გამოკვლევა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს“...

ვარლამ თოფურია, ოფიციალური ოპონენტი

ქეთევანისადმი მიძღვნილი ლექსები და ნარკვევი

პატ. ქ. ძონენიძეს

ო, ლამის არის თქვენგან ნამებამ
 არ ამიტეხოს გულის ფრიალი,
 საკვირველია, მაინც რად მიყვარს
 „გულის გამხეთქი“ ადამიანი.

თუმცა რად მიკვირს, სიტყვას მაგიერს
 სხვა ლექტორს ათასს ვეტყვი ელვიანს,
 ათასს ვინ ჩივის, თქვენთვის ერთიც კი, -
 ერთი სიტყვაც ვერ გამიბედნია...

რამდენჯერ „ლანძღვით“ შემამკეთ სრულად,
 ვიჯექ ბავშვივით თავჩალუნული,
 სხვებთან ამაყს და სხვებთან დიდგულას
 თქვენთან დამწვია სიტყვის ბულული.

თქვენი დანახვაც მოქმედებს რამდენს,
 მაინც გადარებთ ღამეს მთვარიანს,
 თავში დამკრავს და ფეხის გულამდე
 ელექტროდენის მსგავსად გამიარს.

და მაინც ვერსად ვერ გაგექცევი,
 ვერ გეტყვით მაინც სიტყვას სხვა ხმაზე
 ვიცი, რომ ცუდი არ გინდათ ჩემთვის,
 დღესაც მოვედი თქვენთან ჩათვლაზე.

და ვიცი ახლაც, რომ არ ჩამითვლით,
 მერხზე ვარ როგორც მთვრალი მაყარი,
 ლექსად გადმომაქვს გულის ნაფიქრი,
 ვამბობ, თავს ზევით ძალა არ არი.

მაინც დავდივარ, სახემლიმარი,
 მომაგონდებით, ვარ ნალვლიანი...

ვფიქრობ: - მანვალებს და რაღად მიყვარს
 ეს „მწვალებელი“ ადამიანი?!

და მაინც მე ცუდს ვერ ვიტყვი თქვენზე,
 ვერ გეტყვით სიტყვას მაინც სხვა ხმაზე...
 ვიცი „არ ჩათვლას“ გამატანთ სახლში,
 მაინც მოვედი თქვენთან ჩათვლაზე.

ვ. ყურაშვილი
 11.04.56

P.S.

არ ჩაგეთვალათ, გიძღვნიდით ამ ლექსს,
 ახლა კი მზიურ ხმაზე ვმღეროვარ,
 ეს წინათგრძნობა არ გამიმართლეთ
 და მეც უზომოდ მადლობელი ვარ.

ვ.ყ.

საყვარელ ადამიანს

(ბოდიში შენობით მომართვისათვის)

მეც დავდივარ ქვეყნად როგორც დედისერთა,
 გულიც ამ ცხოვრების ტალღებს მინდობია,
 საქართველოს ზეცა მიაღერსებს მეცა
 და მეც საქართველოს ძუძუ მინოვია.

ძუძუ გამირქალების, ძუძუ გამირკაცების,
 ამ პატარა ქვეყნის, მთვარისა და მზის,
 ქვეყნის ნარინჯების, ქვეყნის ზღვის ტალღების,
 ცხრაჯერ მონათლული მიწისა და ცის;
 აჰა, სადაცაა უკვე დაგკაცდები,
 მეც ხომ საქართველოს მზე და ზეცა მზრდის.

მიყვარს იავნანა „წმინდა ქართული და
 მიყვარს საქართველოს ბარიცა და მთაც,
 მე ხომ საქართველოს ძველი წარსულიდან
 ბევრი რამე ვიცი, ბევრი რამე მწვავს.

და მე არ ვინვები, თუმცა ცეცხლით ვინვი,
 ეს ერთი სახელი – მზეში გავლებული
 მინიდანაც ვიცი, ზეციდანაც ვიცი
 გმირი ქეთევანი ტანჯულ-ნამებული.

ის ხომ საქართველოს შეენირა მსხვერპლად,
 მან ხომ ცრემლიც არ უჩვენა შაჰს...
 დარჩა საქართველოს გმირ დედათა დედად
 და ეს მოკვდაობაც უკვდავებას ჰგავს.

ახარებდა აზრი ნათელი და ნმინდა,
 აღაპყრობდა მალლა სალოცავად ხელებს,
 ის ხომ ჩემისთანა ყმანვილკაცებს ზრდიდა
 საქართველოს მინის, მზის და ზეცის მცველებს.

და მეც ეს წარსული მიტომ მოგაგონე,
 რომ შენც ქართველი ხარ და ქართველი გწამს,
 როგორც მზის კოცონი, - ანთებული თორნე
 ამ პატარა მინის სიყვარული გწავს.

როგორც აღმზრდელ დედას, ყველგან გითვალთვალე,
 როგორც დედას, ისე გაგიცხადებ იმედს...
 თითქოს ჩამოვიდა ციდან მზე და მთვარე,
 როცა წარბს გახსნი და როცა გაიღიმებ...

ო, თუ იცი ნეტა, შეუყვარდი რამდენს...
 ჩვენ შენს სადღეგრძელოს მილიონჯერ დავლევთ.
 რა ცუდია, როცა ემონები დარდებს,
 როცა გიყვარს ვინმე და მას ვერ უმუღავენებ.
 განა ამ სიყვარულს გადმოგცემდა ენა?
 თუგინდ ლაპარაკის გვექონებოდა ნება.
 მუნჯი სიყვარულით შემოგყურებთ ყველა,
 თუ გრძნობ?... ალბათ გრძნობ და მიტომ გელიმება.

და მე ის წარსული მიტომ მოგაგონე,
რომ შენც ქართველი ხარ და ქართველი გნამს.
როგორც მზის ცეცხლი ან ანთებული თორნე
ამ პატარა მიწის სიყვარული გწვავს.
გულში ქეთევანი მეორეც შესახლდა,
ამ უბრალო ლექსში ჩუმად ანამლერი...
პირველი ის იყო, მეორე შენა ხარ,
იგი წამებული და შენ ბედნიერი.

შენც მასავით ჩვენთვის ეწამები ტკბილად
და დაზრდილებს ტკბილად გადაგვაფრენ ბუდით,
გაგვისტუმრებ სხვაგან, გაგვისტუმრებ შინა,
ქალებს მანდილებით, ჩვენ კაცური ქუდით.
ეჰ, რამდენჯერ შენზე მიფიქრია ასე:
ოთარაანთ ქვრივის გულით შესადარი,
ეს „მტანჯველი“ ქალი კეთილ გრძნობით სავსე,
ნეტავ იყოს ჩემი სისხლით ნათესავი.
თუმცა რაა ფიქრი კეთილი და წმინდა,
განა ნათესავზე რამით ნაკლები ხარ?
სხვა რა მინდა შენგან, აბა სხვა რა მინდა,
შენ ხომ ჩემი ტკბილი, „ავი“ აღმზრდელი ხარ.
და თუ ლექციებზე არმოსული ხშირად
ვუყვებოდი ვინმეს ზღაპარსა თუ იგავს, -
ვიგონებდი მუდამ, ვიგონებდი ტკბილად
შენს მხურვალე გულსა და მშობლიურ სიტყვას.
არ მგონია არა, დაავიწყდე ამ გულს,
ლადო ასათიანს გავაგრძელებ მთიდან,
სალამს გეტყვი კეთილს, სალამს გეტყვი კაცურს
ლადოს მამულიდან, ლადოს ცხენისწყლიდან.
და თუ მეც ლექსებში არ ვიქენი სუსტი
მეც თუ ლადოსავით დავიმკვიდრებ სახელს,
უფრო კარგი ლექსით და პოეტის ქუდით
გესტუმრები მთიდან საოცნებო აღმზრდელს.
ახლა ნუ დამცინებ, თუკი ამ ლექსს აკლდეს

რიტმი მჟღერი მუდამ და რითმები წმინდა.
 ეგ ხომ იცი: წლები, ბრძოლა უნდა სახელს.
 ჯერ სუსტი ვარ კიდევ, კიდევ აღზრდა მინდა.
 მე ერთი ვარ ლექსში ანთებული სანთლად,
 ასე მღერის ყველას წმინდა გულთა ძგერა,
 რომ შეეძლოთ მათაც ჩემებრ ლექსის გათლა,
 ყველა გიმღერებდა, გიმღერებდა ყველა.

და მე ის წარსული მიტომ მოგაგონე,
 რომ შენც წმინდა სიტყვა, წმინდა აზრი გწამს,
 როგორც მზის კოცონი, ანთებული თორნე
 აღზრდილების წმინდა სიყვარული გწავს.

გულში ქეთევანი სხვაც იყო შენს გარდა,
 ამ უბრალო ლექსში ჩუმად ანამღერი...
 პირველი ის იყო, მეორე შენა ხარ
 იგი წამებული და შენ – ბედნიერი.
 თუმც მასავით ჩვენთვის ეწამები შენც,
 სანამ გადაგვაფრენ იქით-აქეთ ბუდით,
 დაგვეფრქვევა თავზე მთვარეცა და მზეც,
 გავიღიმებთ შენთვის შენებური გულით.

როგორც აღმზრდელ დედას, ყველგან გითვალთვალე,
 როგორც დედას, ისე გადაგიშლი ფიქრებს.
 თითქოს ჩამოვიდა ციდან მზე და მთვარე,
 როცა წარბს გახსნი და როცა გაიღიმებ.
 ო, მე ის წარსული მიტომ მოგაგონე,
 რომ დღეს მხოლოდ ორი ქეთევანი მწამს...

როგორც მზის კოცონი და წითელი თორნე
 შენი მშობლიური სიყვარული მწავს.

ვ. ყურაშვილი
 12.07.56

მე მიწვამ...

მეფისავე უნდა ნა მიწვამ
 ნაუბ ნაუბი და ვაბნ მიწვამ...
 მიწვამი უნდა, ჩემივე მიწვამ
 უნდა მიწვამი.

მე ვაბნ ვაბნ მიწვამ
 მიწვამ მიწვამ მიწვამ...
 მიწვამი მიწვამ მიწვამ
 მიწვამი მიწვამ მიწვამ.

მე მიწვამ მიწვამ მიწვამ
 (მიწვამ მიწვამ მიწვამ)
 მე მიწვამ მიწვამ მიწვამ,
 მიწვამი მიწვამ მიწვამ.

მიწვამ მიწვამ მიწვამ
 მიწვამ მიწვამ მიწვამ...
 მიწვამ მიწვამ მიწვამ
 მიწვამ მიწვამ მიწვამ.

მე მიწვამ მიწვამ მიწვამ
 მიწვამ მიწვამ მიწვამ...
 მიწვამ მიწვამ მიწვამ
 მიწვამ მიწვამ მიწვამ.

მე მიწვამ
 მიწვამ



ჩვენი შიგნით ვეგონობა,
 შიგნით ხეობი ზედა,
 ვიძინებ ბიჭი მჭიდრ
 მოყვარულ ბიჭურა.
 ვნახავთ მისი შიგნით
 მომდევნო ბიჭურა,
 სხვების ბიჭურა
 ყველამ ვეგონობა.
 ბიჭურა სხვების
 ბიჭურა ბიჭურა.
 ბიჭურა ბიჭურა
 ბიჭურა ბიჭურა.

ნ ა ნ უ ლ ი ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი

მართალი ქალი

(მხატვრული ნარკვევი)

ისე მოულოდნელად შეწყდა ხმაური, თითქოს უხილავმა ხელმა ადუგდუგებული მანქანა გამოართო.

კარებში საშუალო ტანის ქალი იდგა და ბაგეში ძუნწი ღიმილი ჩაემალა. უყვარდათ ეს ძლივს გამეტებული ღიმილი მათ, ვინც ასე უცბად მიყურდა. უყვარდათ იმიტომ, რომ იგი უნებლედ ამხელდა შენიღბულ გრძნობას, რომლის გამომჟღავნებასაც, რატომღაც, ასე უფრთხის ხოლმე პედაგოგი.

შიში რა შუაშია: თითქოს დამაგნიტებულია თითები, რომლებსაც დაფაზე ლამაზად გამოჰყავს სიტყვები:

„სად იცის მიწამ ასე სუნთქვა, ცამ ლაჟვარდები
და გაზაფხულმა ახავერდება?!

რომელი მზის ქვეშ იცინიან ასე ვარდები,
ლალობს გული და აღარ ბერდება?!“

მერე ხმამაღლა კითხულობს. მიუხედავად იმისა, რომ ტაეპი ახლა შინაარსის მიხედვით მოიყვანა და კილოს ომახიანობა უნდა ჰქონდეს, ხმაში, რატომღაც ყრუ ტონები ეპარება.

სტუდენტები ამას არ არიან მიჩვეული. ქეთევანი გრძნობს ამას, გრძნობს და ხედავს კიდეც მათ გაგანიერებულ თვალებში. ეს სიტყვები პოეტ სევერიან ისიანს, მისი ბავშვობის მეგობარს ეკუთვნის. იგი კავკასიონის მისადგომებთან შეერწყა მშობლიური მიწის სუნთქვას, იქ, სადაც სიკვდილი და უკვდავება ხელი-ხელგადახვეულნი დააბიჯებდნენ.

რა დაავინყებთ კითხვა-ძახილის წინადადების სახეებს მათ, ვინც ახლა ღრმა ამოსუნთქვასაც კი უფრთხის, რომ არ დაარღვიოს ეს არაჩვეულებრივად პოეტური და თანაც საქმიანი განწყობილება.

„დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს,
გაისარჯოს და ბრძოლებში დაიხარჯოს!
დაუკარით!“...

რამდენი უნდა იფიქროს კაცმა, რომ ძახილის წინადადების ნიმუშად ამაზე უკეთესი მაგალითი მოიყვანოს! სტუდენტებს აღარ სჭირდებათ ამ სიტყვების ავტორის შესხენება.

მოსწავლის ბუნების საწინააღმდეგოდ, არავის არ უხარია ზარის ხმის გაგონება. ყველანი გაუნძრევლად სხედან და თვალით აცილებენ პედაგოგს, რომელმაც სამუდამოდ დაუმსხვრია მათ აზრი, რომ გრამატიკა მშრალი მეცნიერებაა. ახლა ბევრ მათგანს, ალბათ, სწორედ გრამატიკის მასწავლებლად წარმოუდგენია თავი. პირველსავე გაკვეთილზე შესვლისას, კარებში შეჩერდებიან, ბაგეში ძუნწ ლიმის ჩამალავენ, ეცდებიან შენიღბონ გრძნობა, რომლის გამოძვლავნებასაც ასე უფროთხის პედაგოგი.

გამოცდების მოახლოებისას კი საშინლად ღელავენ სტუდენტები, იციან, რომ ქეთევან ძონენიძეს ლიმის ნასახიც აღარ შერჩება, ყალბი პასუხის გაგონებაზე წარბებს გაკვირვებით აძგიბავს, მერე აუღელვებლად დახურავს ჩათვლის წიგნაკს და შემდეგ სტუდენტს გამოუძახებს. იციან ეს და დღე-ღამეს ასწორებენ. „მკაცრი ლექტორი“, „მართალი ქალი“, ჩურჩულებენ დერეფნის ფანჯრებთან შეჯგუფულნი და, როგორც რალაც საზეიმო მომენტს, ისე მოელიან მასთან გამოცდაზე შესვლას.

ასეა, უფროსი თაობა ყოველთვის ნიმუშია მისი მომდევნო თაობისათვის. ქეთევანსაც ბევრი რამ გამოჰყვია თავისი მასწავლებლისაგან. მისი ლიტერატურის პირველი მასწავლებელი დია ჩიანელი იყო, ეს სევდიანი სალამური, რომელიც, რა თქმა უნდა, აღზრდილებს მემკვიდრეობად დაუტოვებდა თავისი გამჭვირვალე სულის ანარეკლს.

ქეთევანს ქიმიურ ფაკულტეტზე შესვლა გადაუნყვეტიაო – გაიგო დიამ და მაშინვე კაცი აფრინა მასთან: „რა შენი საქმეა ტუტეები და მჟავები, არ გაბედო!“ და ქეთევანმაც დაუჯერა.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ქეთევანმა ქუთაისში დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. მისმა აღმზრდელმა პროფესორებმა: კორნელი კეკელიძემ, აკაკი შანიძემ, ვარლამ თოფურიამ, მიხეილ ზანდუკელმა, რომელთა სახელების გაგონებაზეც ქეთევანს უდიდესი მოწინებისა და თაყვანისცემის გრძნობა უნათებს სახეს, ვერაფრით ვერ დაიყოლიეს გაჯიუტებული ქე-

თევანი თბილისში დარჩენილიყო. დაბრუნდა თავის ქუთაისში, სადაც დედის თბილი ხელები მოელოდა.

ფოსტას სისტემატურად მოაქვს ქეთევანთან წერილები თბილისიდან. თითქოს პირი შეუკრავთ, ჩამოდიო ეხვეწებიან, ენანებათ „ჭკვიანი ქალი“, რომ მათთან არაა გვერდით.

მაგრამ ქეთევანს უყვარს ქუთაისი, თავისი „ზარმაცი“ სტუდენტები, რომლებსაც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ღიმილით გააცილებს და თავის გულის ნაწილს გაატანს. ერთი წლის შემდეგ კი სათითაოდ ჩამოუვლის, სახელმძღვანელოებს ჩაუტანს შორს, სოფლებში ჩასულთ, უკვე „ავტორიტეტიან“ მასწავლებლებს, გაკვეთილებზეც დაესწრება და თუ საჭირო იქნება, ძველებურადაც „შეახურებს“.

როცა მანქანა ქუთაისისკენ გზას დაადგება, ქეთევანი დაჟინებით, მაგრამ უჩინო მზერით გზის დასალიერს დააცქერდება და ისევ „მათზე“ დაიწყებს ფიქრს, ფიქრს იმაზე, თუ რა უცნაურია ცხოვრება. ეს ყველაზე მკაცრი მასწავლებელი, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასე დაუზრდია „ბავშვები“, მშიშარა მოსწავლეები თავში დარწმუნებულ, ბეჯით პედაგოგებად უქცევია. მერე რაღაც შეუცნობელი მსუბუქი სევდა მოერევა. უკვირს, რა მალე მიჰქრის დრო, რა მალე ვაჟკაცდებიან გოგო-ბიჭები!

ეს მოგზაურობანი ქეთევანს თავისი საკვალიფიკაციო თემის დამუშავებაშიც ეხმარება. იგი მალე დაიცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე „ზემოიმერული კილოკავი“.

... მაგიდასთან სამნი სხედან. ერთი მათგანი – სტუმარი გრძნობს, როგორი სიყვარულითა და სიფაქიზით სუნთქავს ამ სახლში ყოველივე, დიასახლისის ბეჯითი ხელი ეტყობა ყველაფერს. დიასახლისი ხუმრობს:

„გვიან ვიკისრე დიასახლისის მოვალეობა!“

დაბლა ტროტუარზე ახალგაზრდა წყვილი გაივლის, ალბათ, ღიმილით ახედავს გაჩახჩახებულ ფანჯრებს, სადაც „მართალი ქალი“ მარტო აღარ ცხოვრობს.

იოსებ გრიშაშვილის იუბილე ქუთაისში და ქუთაისის კონცერტი

1960 წლის გაზაფხულზე ქუთაისში ფართოდ აღინიშნა დიდებული მგოსნის იოსებ გრიშაშვილის იუბილე. თანამედროვეთა მოგონებებით, პოეტს საოცრად შთამბეჭდავი, მის პოეზიასთან მისადაგებული, ამაღლებელი შეხვედრა მოუხდინა პედაგოგიურმა ინსტიტუტმა. ამ ღამეებში ღონისძიების შემოქმედი გახლდათ ქეთევან ძონენიძე, რომელმაც თავისი მგრძობიარე სიტყვითაც მოხუც მგოსანს მადლიერების ცრემლი მოჰგვარა. სამწუხაროდ, ქ-ნი ქეთევანის არქივში არ აღმოჩნდა არც ეს სიტყვა და არც ამ ფაქტის ამსახველი მასალები.

ამ იუბილესთან დაკავშირებით მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდებს დავით ბრეგაძის მოგონებიდან და რუთა ბეროძის საგაზეთო პუბლიკაციიდან.

და ვ ი თ ბ რ ე გ ა ძ ე

1960 წელს ქალაქ ქუთაისის ხელმძღვანელობამ საიუბილეო საღამო გაუმართა პოეტ იოსებ გრიშაშვილს... 16 მაისს მესხიშვილის სახელობის ქუთაისის დრამატული თეატრის შენობაში გაიმართებოდა საქალაქო საიუბილეო საღამო, 17 მაისს პოეტი ესტუმრებოდა პედაგოგიურ ინსტიტუტს. ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის მოსამზადებელ საქმიანობას სათავეში ქეთევან ძონენიძე ჩაუდგა. საჩუქრებისათვის ქეთომ სვანები სვანეთისაკენ აფრინა და თან „ხარკი შეანერა“: ჯიხვის ტყავი, ოთხი რქა და ჭიანური; ახალგაზრდა პოეტებს ლექსების შექმნა დაავალა, სტუდენტთა გუნდი - „ცხრაკაცა“ აახმიანა... ერთი სიტყვით, გაჩაღდა სამზადისი...

17 მაისს სამი საათისათვის ი. გრიშაშვილი ინსტიტუტს უნდა სწევოდა. აფორიაქებული იყო ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და, რა თქმა უნდა, შეხვედრის მეთაური – ქეთევან ძონენიძე.

ქალაქის საუკეთესო ეტლია დაქირავებული, რომელმაც პოეტი ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამონყობილ ახალგაზ-

რდებთან ერთად ინსტიტუტში უნდა მიიყვანოს. დაიწყო მეოთხე საათი. ყველანი ეზოში ვართ, ამოვდივართ დღევანდელ ტაბიძის ქუჩაზე, ისმის ფლოქვების თქარათქური, თაიგულებით მორთულ ეტლში ზის სახალხო პოეტი, გვერდით პირმშენიერი გოგონები უსხედან, საფეხურზე თეთრჩოხიანი ვაჟკაცები დგანან...

პოეტი გადმოდის ეტლიდან... გაისმის ტაშის გრიალი და ვაშა, მწკრივებს შორის მიმავალ პოეტს ფეხქვეშ ყვავილებს უფენენ, კლუბის ფანჯრებიდან ისმის ტაშის ცემა... კლუბი ისეა გაჭედილი, რომ ნემსი არ ჩავარდება. პოეტი ღელავს. სხდომას ხსნის კონსტანტინე მეძველია. პრეზიდენტის მაგიდას თეთრჩოხიანი, გვერდზე ნაბადმოგდებული რაჭველი მესტვირე, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი შალვა ჯაფარიძე უახლოვდება და სტვირის თანხლებით პოეტს ლექსით მიმართავს. სოსო სიხარულისა და კმაყოფილების ცრემლებს ინმენდს.

მოსხენებას გიორგი სამხარაძე კითხულობს, სიტყვებითა და ლექსებით გამოვიდნენ ქ. ძონენიძე, ე. მეძველია, დ. გენაძე, ო. გიორგაძე, დ. ჯანელიძე და სტუდენტები... კულისებიდან გუნდის ხმატკბილი სიმღერა ისმოდა...

სვანმა სტუდენტმა ტ. ჩარქელიანმა ჯიხვის გაკრიალებული ყანწები გადასცა პოეტს, შემდეგ გ. ლიპარტიელიანმა სვანური ჭიანური მიართვა სოსოს. ბოლოს სცენაზე შემოაქვთ უზარმაზარი ხარ-ჯიხვის ფიტული, რომელიც ცნობილ მონადირეს კ. ლორიას დაამზადებინეს სტუდენტებმა.

დასასრულს ტრიბუნას მიუახლოვდა სახალხო პოეტი. გაისმა ტაშის გრიალი. სოსო აცრემლდა. როდესაც დამშვიდდა, დარბაზში გრიშაშვილის რითმები და მოქნეული ფრაზები ათამაშდნენ. პოეტმა რამდენიმე ლექსი წაიკითხა... შეხვედრამ ძალიან ლამაზად და ამალეღვებლად ჩაიარა... გვწამდა, რომ საყვარელ მგოსანს რამდენიმე სასიამოვნო საათი ვაჩუქეთ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვჯეროდა. ეს მოსაზრება მალე დაადასტურა ი. გრიშაშვილის ორმა წერილმა. ერთი გაზეთ „სტალინელის“ რედაქციას გამოუგზავნა მგოსანმა, მეორე კი – ქ ე თ ე ვ ა ნ ძ ო ნ ე ნ ი ძ ე ს.

რედაქციისადმი გაგზავნილ წერილში პოეტი წერდა: „ნება მიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით უდიდესი მადლობა გადავუხადო ჩემს ქუთაისელ მკითხველებს, მწერლებს, პ ე დ ა გ ო გ ი უ რ ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ს (დაყოფა პოეტისაა – ჟ.ფ.), ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებას, პრესას, დამსწრე საზოგადოებას, მოსწავლე ახალგაზრდობას, პედაგოგებს, პიონერთა ორგანიზაციას, ყველას, ყველას – ვინც დაესწრო ჩემს საიუბილეო საღამოს, პატივი მცა, სიბერე დამიტკბო, სიხარულის ცრემლები მარგუნა და წამახალისა ხანდაზმული პოეტი იმ მცირე ღვანლისათვის, რომელიც მიმიძღვის ჩვენი ხალხის სამსახურში. თავს ვხრი „თხემით ტერფამდე“ ჩემთვის მარად დაუვინყყარ ქუთათურების წინაშე“.

წერილი ქეთევან ძონენიძისადმი უფრო ინტიმური ხასიათისაა. სოსომ ქალთა მიმართ რაინდული თაყვანისცემა და სიყვარული აქაც გამოამჟღავნა. აი, დაახლოებით რას წერდა იგი: „რატომ არა ვარ ახალგაზრდა, რომ აგიტაცო ღრუბლებში, გაგაღმერთო და შენთვის ვილოცო... მადლობა, რომ მოხუც მგოსანს მადლიერების ცრემლი და ღიმილი მომგვარე. კარგი ხარ კარგი. მადლობა, ათასჯერ მადლობა“.

დ. ბრეგაძე – მოგონებები, ნარკვევები, წერილები, ქუთაისი, 1996.

რ უ თ ა ბ ე რ ო ძ ე

... დღის სამი საათია. ის იყო სასტუმროში დავბრუნდით, რომ კარებზე დააკაკუნეს და პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორ ლ. ჭელიძესთან, დოც. კ. მეძველიას და ქ. ძონენიძესთან ერთად ოთახში შემოიმართნენ ეროვნულ თეთრ ჩოხაში და ქართულ კაბებში შემოსილი სტუდენტები... ახალგაზრდები გვერდში ამოუდგნენ პოეტს და ნელი ნაბიჯით დაჰყვნენ მას მესამე სართულიდან. გაოცებას გაოცება ემატება, სიურპრიზს – სიურპრიზი! სასტუმროსთან დგას პოეტისათვის გამზადებული ეტლი – ქუთაისის ძველი კოლორიტის მშვენება. ქუჩაში შეკრებილი ხალხი ტაშით მიაცილებს პოეტს ეტლამდე. გოგონები გვერდით უსხდებიან ი. გრიშაშვილს, ვაჟები საფეხურებზე დგე-

ბიან; ეტლმა პედაგოგიური ინსტიტუტისაკენ გასწია ისე სწრაფად, თითქოს შანს უგებდა უკან მომყოლ მანქანებს: „დამჩაგრეთ, მაგრამ, აბა შეხედეთ, თუ ჩამოგივარდებითო“.

მხოლოდ სიყვარული იფრქვევა ინსტიტუტის ეზოში სტუდენტების მიერ შექმნილ ცოცხალ ორლობეში, რომელშიც ი. გრიშაშვილმა გაიარა, მხოლოდ სიყვარულს აფრქვევდნენ კლუბის დარბაზის უზარმაზარი ფანჯრებიდან გადმომდგარი ქალიშვილებისა და ჭაბუკების სახეები, ატაშებული ხელები!

კლუბის დარბაზი მართლაც ისეა გაჭედილი, რომ ნემსის ადგილიც არსად მოიძებნება. იხსნება ფარდა. გრიშაშვილი ძლივს მოჩანს ყვავილების ზღვაში. ისევე ტაში, ტაში, ტაში და სიყვარულით აელვარებული თვალები. პრეზიდენტის მაგიდის მარცხნივ დგება შავნაბადმოსხმული სტუდენტი შალვა ჯაფარიძე თავისი განუყრელი გუდასტვირით და ამბობს პოეტის ლექსს საზანდართან ერთად.

იუბილარისადმი მიძღვნილ საღამოს ხსნის დოც. კ. მეძველია. მოხსენებას კითხულობს დოც. გ. სამხარაძე. კვლავ მისაღმების სიტყვები, ლექსები, მომღერალთა გუნდის ტკბილი ხმა კულისებიდან...

სიტყვებით გამოდიან: ეთ. მეძველია, დოცენტები დ. გენაძე, ოთ. გიორგაძე, ქ. ძონენიძე, დ. ჯანელიძე, სტუდენტები: ა. გვილავა, ა. ბრეგაძე, თ. ჭელიძე, ნ. კუპატაძე, ო. ხუხუა, თ. ადენიშვილი, ბ. სვანაძე, ჯ. გონგაძე, თ. აბულაძე, ჯ. ღვინჯილია, პ. ცხადაია, ლ. კოვზირიძე, ტ. ჩარქსელიანი.

სცენაზე გამოაქვთ სვანეთიდან ჩამოტანილი ჯიხვის ფიტული, ჯიხვის ყანწები, სვანური ჭიანური... ეს ყველაფერი სტუდენტების გულით მიძღვნილი მცირედი საჩუქარია იუბილარისადმი. ეს ყველაფერი ქუთაისელი ახალგაზრდობის სიყვარულია, მხოლოდ სიყვარულია ქართველი ხალხის სასიქადულო პოეტის მიმართ.

რ. ბეროძე, მხოლოდ სიყვარული:
გაზ. „სტალინელი“, 20 მაისი, 1960

„სიყვარულით გამთხარი...“

(სიტყვა გიორგი ლეონიძეზე)

1963 წლის 31 მაისს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩატარდა სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სადაც ქეთევანმა მგოსანს მიმართა სიყვარულით გამთხარი, მგრძნობიარე სიტყვით, რომლის ხელნაწერი არქივში შემონახულია სრული სახით. ცოტა მოგვიანებით იგი მიხეილ ალავიძის პუბლიკაციით დაიბეჭდა ამ სათაურით გაზეთ „ქუთაისშიც“ (1969, 22.11).

ჩვენი იშვიათი სტუმრის დიდმა სახელმა შეკრიბა დღეს ამდენი წარმომადგენელი ახალგაზრდობისა, რომელთაც შესაძლებლობა მიეცათ, არა მარტო ლექსებით იცნობდნენ, არამედ უშუალოდაც ნახონ ქართველი ერის ფიქრისა და ოცნების, აზრისა და გულისთქმის, ლხინისა და ნაღველის გამომხატველი დიდი პოეტი, იგი მაღლიერმა ქართველმა ერმა სახალხო პოეტად გამოაცხადა და, როგორც თავისი ქვეყნის სახელი და დიდება, პირუთვნელად შეიყვარა.

ჩვენი სტუმრისთანა კაცზე ამბობს ილია: „მზესა ჰგავს, რომელსაც ბრმაც კი გრძნობს, თუმცა ვერ ხედავსო!“

აბა, რომელი ჩვენგანი არ მოხიბლულა გიორგი ლეონიძის მარად თვითმყოფი, ვაჟკაცური პოეზიით, რომელსაც „მშობელ მინაში უდგას ფესვები“ და რომელსაც ქმნის დიდი ტალანტი და შთაგონება.

გიორგი ლეონიძის ლექსი ტკბილია, როგორც ალაზნის დუღუნი და ქართული იავნანა; სურნელოვანია, როგორც გაზაფხული; ბარაქიანია, როგორც კახეთის შემოდგომა; ძლიერია, როგორც ქართველი ვაჟკაცის მიერ ხმლის დარტყმა.

გიორგი ლეონიძის ლექსებში, ბესარიონ ბელინსკის სიტყვით რომ ვთქვათ, არის მომჯადოები მშვენიერებაც და გრაციაც, თვალისმომჭრელი ბრწყინვალეობაც და მშვიდი სისალბუნეც, ენისა და რიტმის მელოდიისა და ჰარმონიის მთელი სიმდიდრე. შემოქმედებითი ოცნების, პოეტური გამოთქმის მთელი ნეტარება და აღტაცება.

გიორგი ლეონიძე წერს მთელი უშუალოებით და, რასაც წერს, ტკივილსა და უთანასწორო „ბრძოლაში შობილ მშვენიერების შარავანდედით“ შუქფენილი მამულის სიყვარული და მისდამი გულმტკივნეული ზრუნვა აწერიანებს.

გიორგი ლეონიძეს თავდავიწყებით უყვარს ბრძოლაში „ნაჭირმაგარი“, „მზისთა ნადარი“ საქართველო, ურომლისოდაც სიცოცხლე ერთ ნაბიჯზედაც არ სდომებია. მას ლექსიც არ უნდა, თუ სიტყვაში სამშობლოს განთიადი ჩაუქრება. უყვარს ჩახჩახა თბილისი, ქართლის გული, უყვარს სამშობლოს ცა - „არწივების კლანჭით გარტყმული“, მთები – ფერადი დროშებივით მდგარი, გაზაფხულის სიმწვანე, ყანების სილურჯე, წინანდლის ღვინო, შავხალებიან ყაყაჩოთა სინითლე, ხობის ყელივით მობრიალე ცისარტყელა, ატმების შუქში რხეული დილა, ნარგიზებიანი ღამე, მტკვარი, რიონი, იორი და ალაზანი, მათი ფშანების ნაჟურები, არწივის ბუდე, ქართლური ალიზიანი ქოხი, ქართველი ხალხის ამაყი ქედმოუხრელი სული, სახელოვანი წინაპრები, სწორუბოვარი რუსთაველი, მთანმინდიდან გადმომეყურე სამშობლოს დიდება – ვაჟა და ილია, აკაკი და ბარათაშვილი. და ყველაფერი ეს თავის ლექსებში აქვს დახატული.

ქალის ამაღლებულ, ნატიფ სიყვარულშიც კი თავისი სამშობლოს ტაძრის ჩუქურთმებს, ქართლის მწვერვალებს, მაისის ცასა და სპეტაკ დილას ჭვრეტს.

ვაჟას ნიჭიერ მწერლად ის მიაჩნია, ვისშიდაც ძლიერად ჩქეფს ეროვნული სისხლი და არა მგონია, რომ გიორგი ლეონიძეზე მეტად რომელიმე თანამედროვე ქართველ პოეტს შესძლებოდეს მამულისათვის მამულიშვილობა გაეწიოს, მისი ჭირი ჭირად მიეჩნოს ტკივილით ემტკივნეულს, ლხინით ელხინოს, მისი ზეიმითა და იმედებით დამტკბარიყოს და ქართული ლექსის დიდება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გაეტანოს.

გიორგი ლეონიძის პოეზიის მაღლიანობას მისი მხატვრული ენის, მისი სტილის ინდივიდუალობაც განსაზღვრავს. ქართული ენის კანონების ღრმა ცოდნა, მისი სიტყვანარმოების, ლექსიკურ და სინტაქსურ შესაძლებლობათა ოსტატური გამო-

ყენების ნიჭი, მისდამი ზრუნვა და პატივისცემა ხელშესახებია მგოსნის ყოველ ლექსსა და გამოკვლევაში.

რა ვუყვით, ჩვენო დიდო პოეტო, თმაში თოვლი თუ შემოგე-
პარათ. არ გამართლდა თქვენი დარდი: „სიჭაბუკის გარეშე
ლექსს ვინ მისცა დიდებაო“. თქვენი პოეზიის მარად ნედლმა
სტრიქონებმა, „ფოლად-ნადებმა“, „ვარდში ხვეულმა“ ლექსებმა
შეინახა „აპრილის ნაქუხიც“, ცეცხლიც, ნიავიც, თქვენი ახალ-
გაზრდობაც და უკვდავებას გაზიარათ.

სხვა რომ არაფერი დაგენერათ, მარტო „არ დაიდარდო,
დედაო“ და „შინმოუსვლელი, სადა ხარ“ კმაროდა თქვენი სახე-
ლის უკვდავსაყოფად.

იღლეგრძელეთ და იღონიერეთ ბავშვობაში ვაჟს მიერ, ახ-
ლა კი მთელი ქართველი ხალხისაგან დალოცვილო, „სამშობლოს
ჩუქურთმების მჭრელი“ პოეტო! აგსრულებოდეთ ნატვრა: დიდ-
ხანს, დიდხანს გქონოდეთ „ივრის ჯანი“ და „ალაზნის სიჭაბუკე“.

მოგონებები

1. დია ჩიანელის გახსენება

*სიტყვა წარმოთქმულია ქუთაისში 1960
წლის 27 მაისს დია ჩიანელის დაბადების 70
წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე.*

როდესაც წარსულს განვაახლებთ ხსოვნაში და მივუბრუნ-
დებით მოწაფეობის მშფოთვარე, მაგრამ იმედებითა და ოცნებე-
ბით აღსავსე მარადსახსოვარ წლებს, პირველყოვლისა მოვიგო-
ნებთ იმ მასწავლებელს, რომელიც გულით გვიყვარდა და რომე-
ლიც თავისი ცოდნითა და კაცურკაცობის მაღლით ადამიანის
ღირსების ცოცხალ ხატად გვესახებოდა...

აბა რომელ ჩვენგანს არ დაუნახავს რომელიმე მასწავლე-
ბელში თავისი იდეალი, რომელს არ მიუჩენია მისთვის პირველი
ადგილი, რომელს არ უფიქრია: ნეტავ ისეთი რამ შეემთხვეს მას,
მისი ღირსების ფარად და ხმლად ვიქცეო.

ჩემთვის მასწავლებლის ასეთ იდეალს დია ჩიანელი წარმოადგენდა. მან ისეთი კვალი დასტოვა ჩემს სულში, რომ იგი არ ნაშლილა დღესაც კი. და ახლა მე მინდა ყველაფერს მივწვდე, ყველაფერი მოვიგონო, რითაც იგი გულს გვიამებდა, გონებას გვიწვრთნიდა, გრძნობას კეთილად წაგვიმართავდა და თავისი შეურყენელი ცხოვრებით ადამიანის პატივისცემას გვაგრძნობინებდა.

დია ჩიანელს პირველად რომ შევხვდი, ეს ეს იყო მისრულებოდა ცამეტი წელი. შვიდწლელი დავამთავრე და სწავლა მინდოდა განმეგრძო პედაგოგიურ ტექნიკუმში, სადაც იგი დირექტორად მუშაობდა. მიღებულთა სიაში არ აღმოვჩნდი - „უარი ეთქვას, ვინაიდან მცირეწლოვანიაო“. ხელს აწერდა დ. ჩხეიძე. ბევრი ვიტირე. ვერ წარმომედგინა, რა უნდა მეკეთებინა, თუ არ ვისწავლიდი. შვიდწლედში ვ. ცისკარიძე მასწავლიდა. ის მივიდა დია ჩიანელთან და რა უთხრა, არ ვიცი. ამ მისვლის შედეგი კი ის იყო, რომ დია ჩიანელმა მე გამომიძახა. მაშინ მისი კაბინეტი იქ იყო, სადაც ახლა პედაგოგიის საპროფესოროა.

***შენიშვნა:** ქ-ნი ქეთევანის სიტყვა აქ წყდება. დია ჩიანელის შესახებ სხვა რაიმე ინფორმაცია არქივის მასალებში არ ინახება. მიუხედავად ჩვენი სურვილისა და მოძიების მცდელობისა, სხვა ვერაფერს ვერ მივაკვლიეთ, გარდა დავით ბრეგაძის საინტერესო მოგონებისა, რომელიც ერთგვარად ავსებს ქ. ძონენიძის მიერ იმ საღამოზე წარმოთქმულ სიტყვას და წარმოაჩენს ქეთევანისა და მისი მასწავლებლის ურთიერთობებსაც. მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდს ამ მოგონებიდან.*

„უჩვეულო ხალხმრავლობა იყო საზამთრო თეატრის წინ 1960 წლის 27 მაისს. აქ ამ დღეს იმართებოდა ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დია ჩიანელის (დავით ჩხეიძის) დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო...“

...გულთბილი სიტყვა წარმოთქვა საღამოზე დოც. ქეთევან ძონენიძემ. მოიგონა პედსასწავლებელში გატარებული წლები, როდესაც დია ჩიანელი დირექტორი იყო და ქართულ ლიტერატურას ასწავლიდა.

ქეთო, როგორც თვითონ თქვა, ბავშვობისას მოთხრობებს წერდა თურმე. ეს ქართული ლიტერატურის მასწავლებლისათ-

ვის გაუმხელია. დიას გამოურთმევია ნანერები, ნაუკითხავს, მოსწონებია და გამამხნეველი სიტყვებიც წაუნერია ზედ: „ნიჭიერი გოგონა ხარ, გააგრძელე წერა, მომავალში შედეგიც კარგი იქნება“. მაგრამო, - შენიშნა ქეთომ, - მე წერას თავი მაღე დავანებე, რადგანაც მაშინ ამბობდნენ: მწერალმა დიალექტიკური მატერიალიზმი უნდა იცოდესო. რაკი მე დიალექტიკური მატერიალიზმი არ ვიცოდი და არც ვაპირებდი შესწავლას, წერას თავი დავანებეო.

ქეთოს ამ სიტყვებმა საზოგადოება გაამხიარულა. მართლაც საინტერესო და გულუბრყვილო მოგონება იყო. საღამოს, ოფიციალური ნაწილის შემდეგ, ვკითხე ქეთოს: ახლა თუ გაქვს ის ნანერები დიას წარწერით-თქო. არაო, შევმინდი და 1937 წელში დავხიეო.“

დ. ბრეგაძე, მოგონებები... გვ. 78.

2. „ლადო ასათიანი“

თვალწინ მეხატება ყაყაჩოზე შეყვარებული და მოკრძალებული ლადო, ყაყაჩოსავით განითლება რომ იცოდა და ამით საცნაურდებოდა მისი ბუნების შეურყვნელობა.

მისი ცხელი გული, წრფელი გული, მართლაცდა, ცხოვრების გარიჟრაჟზევე გაცივდა, მაგრამ დარჩა მისი მარად ნედლი, მარად თვითმყოფადი, ვაჟკაცური პოეზია, რომელმაც შემოგვინახა ადრე წასული კაცის ოცნება, ფიქრი და გულისთქმა, ნაღველი, იმედი და სიყვარული და ამით უკვდავებას აზიარა.

და მერე როგორ უყვარდა მას თავისი სამშობლო, რომელიც ისეთივე ტკბილი ეჩვენებოდა, როგორც დედის რძე, როგორც მშობლის ალერსი, როგორც ძველი ქართული ზღაპარი... და უყვარდა სამშობლო - „ცა- ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტი, ნაირფერებით ნაქარგი.“ უყვარდა და ნატრობდა, რომ ენახა იგი „ფართოდ გამლილი და მოხატული თამარ დედოფლის დარბაზითა“.

აბა რომელ ქართველს არ უყვარს ლადო ასათიანის პოეზია, რომელსაც მშობელ მინაში უდგას ფესვები და რომელსაც ქმნის დიდი ტალანტი და შთაგონება...

აქ მთავრდება წერილის შავი პირი.

მიმონერა მასნავლავლავთან, ცნობილ მოღვაწეებთან, ახლოვლავთან

ქეთევან ძონენიძის არქივში დაცულ წერილებს შორის განსაკუთრებით ბევრია აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავასა და ვარლამ თოფურუას ბარათები (საკმაოდაა აგრეთვე თბილისელი სხვა კოლეგების წერილებიც). აქვე ინახება ქეთევანის მიერ გაგზავნილი პასუხების ზოგიერთი შავი პირი, რომლებშიც ძალუმად იგრძნობა უმცროსი კოლეგის – ყოფილი ნიჭიერი შევირდის – უდიდესი სიყვარული, მოკრძალება, მაღლიერება და უსაზღვრო პატივისცემა სათაყვანო მასწავლებლებისადმი.

აკაკი შანიძე

ქ-ნი ქეთევანის არქივში აკ. შანიძის უამრავი წერილია. თითოეულ მათგანში (ეს იქნება მოსალოცი დეპეშა თუ ღია ბარათი, საგანგებო საქმიანი შეტყობინება თუ ახლობლური, თბილი წერილი) ყოველთვის ჩანს მასწავლებლის – ამ დიდი მეცნიერის მამამვილური სიყვარული და განსაკუთრებული მზრუნველობა ხალასი ნიჭისა და აზროვნებით გამორჩეული სტუდენტისადმი, შემდგომ კი – კოლეგისადმი. ქ-ნი ქეთევანისადმი გამოგზავნილი ბარათები თარიღდება 1941 წლიდან, იმ დროიდან, როცა ქეთევანმა აკ. შანიძის ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაამთავრა ასპირანტურა და დაბრუნდა მშობლიურ ქუთაისში.

ბ-ნი აკაკი გრძნობდა, რომ ქეთევანისათვის აუცილებელი იყო თბილისის უნივერსიტეტში მუშაობა. იქაური მეცნიერული გარემო ახალგაზრდა მკვლევარს მეტ გასაქანს მისცემდა და საღისერტაციო ნაშრომსაც დროულად შეასრულებდა.

ქ-ნო ქეთო!

დამატებით გაცნობებთ, რომ თქვენ გექნებათ (ჩვენს უნივერსიტეტში) მხოლოდ ზოგადი კურსი ქართული ენისა ევროპულ ენებზე... და პრაქტიკული ვარჯიშობა სინტაქსში.

სემინარში სხვა იმუშავენს.

ა. შანიძე.

P.S. დეპეშით მაცნობეთ თქვენი თანხმობა

ა.შ.

25.VII. 1941

ქ-ნო ქეთო!

თბილისში ყოფნისას რად არ მნახეთ? კარგი, ეგრე იყოს!

ქალო, მაგოდენა ნუნუნი თქმულა, გაგონილა- ვის არ უნახავს ცხოვრების საშინელი პირობები?! მაგრამ განა ეს გვაძლევს საბუთს, რომ ფარ-ხმალი დავყაროთ? არა! ეგრე არ შეიძლება!

ძმა მშვიდობით დაგიბრუნდება ომიდან, ოჯახის საქმეც გამოსწორდება და თქვენც კარგად იმეცადინებთ.

რად იტყვით თავს ზედმეტი ფიქრებით? მაგის ნაცვლად ერთი კარგი საქმე გააკეთეთ ჩემი ხათრით, რაც იქნეს და იქნეს. ერთ-ორ თვეს ნურაზე იფიქრებთ გარდა სადისერტაციო ნაშრომისა...

აბა, ქეთინო, თქვენ იცით.

მარად თქვენი სიკეთის მსურველი ა.შანიძე

22.XII.941

შენიშვნა: 1942 წლიდან გავზავნილ ბარათებში აკ. შანიძე ხშირ-ხშირად შეახსენებს ქეთევანს: „ველი თქვენს დისერტაციას“. ასე გრძელდება 1950 წლამდე.

ძვირფასო პროფესორო!

სიტყვებით არ შემიძლია გამოვხატო თქვენდამი მადლობა, რითაც გული მაქვს სავსე. რა კარგი ხართ? რა კეთილშობილი! სხვები ისე პატარები ჩანან თქვენთან, რომ ხანდახან მგონია, ისინი მხოლოდ კონტრასტისათვის არიან გაჩენილი, რომ თავიანთი სიპატარავით თქვენი სიდიადე კიდევ უფრო მეტი ძალით გამოააშკარავონ.

თქვენი დეპეშები რომ მივიღე, ავადმყოფი წყალტუბოში ვიყავი სამკურნალოდ. იმ დეპეშებმა მე სიცოცხლის სურვილი კვლავ დამიბრუნეს, კვლავ ადამიანად მაგრძნობინეს თავი. მე იმის ღირსიც არა ვარ, რომ თქვენი მოწაფის სახელს ვატარებდე. ძვირფასო პროფესორო, წერილის დანერაც კი ვერ შევძელი ამ-

დენხანს. მე უღირსს მრცხვენოდა თქვენი. რა უნდა მომენერა? რამდენადაც ჩემი სიყვარული თქვენს მიმართ დიდია, იმდენად სუსტად ვასრულებ ჩემს ვალს. განა სურვილი არა მაქვს? მაგრამ ველარ დავძლიე ფიზიკურად სასტიკად სუსტმა ათასგვარი ოჯახური სიძნელე. თბილისში გადმოსვლით მე შემეძლო იმდენი მემუშავა, რომ ამდენი ხნის ჩამორჩენილობა დამეძლია, თქვენი ხელმძღვანელობით მესწავლა და ამით მეგრძნო ინტელექტუალური სიამოვნება, რომელიც მე აქ ყოფნისას არასოდეს განმიცდიდა. მე ესეც არ შემიძლია. დედა სულ დავარდა, მამაჩემი სულს ძლივსლა ითქვამს, ჩვენმა დირექტორმაც სასტიკი უარი მითხრა: ჩვენ აქ გვაკლია ლექტორი და თბილისში შენი წასვლა არაფრით არ იქნებაო. სიტყვაც კი არ თქვა ამის შესახებო. ასე დაიმსხვრა ჩემი უკანასკნელი იმედები.

უდიდესი მადლობა ესოდენ დიდი ყურადღებისათვის. სადაც არ უნდა ვიყო, რა პირობებშიც, თქვენი დიდი ადამიანობა ლამპარით გამინათებს გზას ადამიანის წვრილმანობითა და გაუტანლობით გულგატეხილს...

***შენიშვნა:** წერილის შავი პირი აქ მთავრდება, თარიღი არაა მითითებული, მაგრამ, ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, დაწერილი უნდა იყოს 1950 წლამდე.*

ძვირფასო პროფესორო!

დიდი ხანია თქვენთვის წერილი არ გამომიგზავნია. ვერ გავკადნიერდი, გამბედაობა არ მეყო... რას მოველოდი და რა ვარ მე? განა არ მინდოდა, თქვენი ცუდი მონაფე არ ვყოფილიყავ?! ცხოვრებამ დამძალა.... ინსტიტუტში მომქანცველი სამუშაო, ადამიანთა გაუტანლობა... და გული გამიტყდა, რწმენა დამეკარგა საკუთარ თავში, სხვებში, ყველაფერი მომბეზრდა. და თუ რამეს გაკეთება შემეძლო, უკვე ველარ წარმოვიდგინე. თქვენ დიდი ადამიანი ხართ (ათიათასჯერ გამხსენებია თქვენი სიტყვები, ჯავახიშვილის გამკიცხველებისათვის ამაყად რომ გითქვამს: „მე იმ ადამიანთა რიცხვს არ ვეკუთვნი, ივანე ჯავახიშვილის გაქელვით თავის კარიერას რომ იკეთებსო“. რა სიდიადეა სულისა, რა მოუდრეკელობა ხასიათისა!) და ნუ გამკიცხავთ.

ამ წერილის მოწერას განა გავზედავდი? ჩემმა ძმამ გადმომცა თქვენი ნათქვამი, ბევრი ვიტირე და ისეთი ძალით მომინდა თქვენი ნახვა, თქვენთან საუბარი, თქვენი რჩევის მოსმენა, რომ ჩემი სინდისის წინააღმდეგ აღვიმართე და გწერთ. დისერტაცია რომ ვერ წარმოვადგინე, ცუდი მოწაფე აღმოვჩნდი, მაგრამ გჯეროდესთ, გული ცუდი არა მაქვს და, თუ კიდევ ვინმეს პატივისცემა და სიყვარული მარიგებს ცხოვრებასთან, ეს თქვენა ხართ.

თბილისში რამდენჯერმე მინდოდა ჩამოსვლა, მაგრამ ვერ გავბედე, ახლა რაღაცას ვცოდვილობ. სამუშაოს ძირითად ნაწილს რომ გავათავებ, რჩევისათვის მიმიღებთ ნოემბრის შუა რიცხვებში?

იყავით სულ, სულ, სულ კარგად. მარად თქვენი
პატივისმცემელი

მ. ჯონიძე

8.X.1949

ქ-ნო ქეთო!

თქვენი წერილი მივიღე. იქიდან ჩანს, რომ თქვენ „რაღაცას ცოდვილობთ“ (თქვენივე სიტყვები რომ გავიმეორო). სხვა გზითაც მომივიდა ამბავი: ქეთო დისერტაციას ჩაუჯდაო. ამის გამო გაჯავრებული გუნება დამიცხრა.

„ამად რომე, შეცოდება შვიდ გზის თქმულა შესანდობლად“ (რუსთ.).

ველი თქვენს ნაშრომს ნოემბერში. პირადადაც მნახეთ.

გისურვებთ წარმატებას.

მარად თქვენი კეთილის მსურველი ა. შანიძე

14.X.49

შენიშვნა: 1950 წელს ქეთევან ძონენიძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც ეყრდნობოდა პავლეს ეპისტოლეების ხელნაწერ მასალებს. ქ-ნმა ქეთევანმა ხელმძღვანელებისაგან ახალი დავალება მიიღო: მის მიერ დამუშავებული ეპისტოლეების ქუთაისური და თბილისური ხელნაწერები მოემზადებინა სასტამბოდ, რათა დროულად გამოცემულიყო იგი ცალკე წიგნად. მაგრამ პედაგოგიური თუ საზოგადოებრივი საქმეებით გადატვირთული ქეთევანი ვერ ახერხებდა საქმის ბოლომდე მიყვანას. პარა-

**ქეთო, კეთილო ქეთო,
მშობლების სიყვარულით დამწვარო
ქეთო!**

წარმოდგენილი მაქვს, რა სულიერ ვითარებაში ხართ მას შემდეგ, რაც თქვენს ოჯახს გამოეცალა მეორე ბურჯიც. უთუოდ ღრმა მწუხარებით ხართ მოცული და ზოგჯერ, ალბათ, არც იცით, რა ჰქნათ, რა გზას დადგეთ, როგორ წარმართოთ თქვენი ცხოვრების გზა მომავალში. დიდი მწუხარება ზოგჯერ ადამიანს დიდ სასონარკვეთილებაში აგდებს. მაგრამ გონიერ კაცს როდი აქვს ნება, სასონარკვეთილებას მისცეს თავი. „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა“-ო – გვიანდერძა დიდმა მგოსანმა. საჭიროა მხნეობა და დიდი მწუხარების დაფარვა შრომით და სასარგებლო საქმის გაკეთებით ქვეყნისათვის.

მე ძალიან მიჭირს, გირჩიოთ რამე, მაგრამ ჩემ თავსაც ვეკითხები და თქვენც: ხომ არ აჯობებდა თქვენი თბილისში გამოსვლა? აქ კათედრაზე საათები მომემატა და თამამად შემიძლია ერთი თანამშრომლის აყვანა. აქ ბევრი საქმეა გასაკეთები, რომლებშიც თქვენც მიიღებდით უშუალო მონაწილეობას. თუ ბინის საკითხი არ დაგაბრკოლებს, თბილისში მუშაობა, რასაკვირველია, აჯობებს. აქ უფრო ადვილად მოგვარდება დისერტაციის საქმეც და სამეცნიერო სარბიელზე დანინაურობაც.

ვიფიქროთ ამ მიმართულებით. თქვენ კარგად იცით, რომ ეს ჩემი წინადადება არ არის ახალი. ასეთი რამ წინათაც მომიწერია თქვენთვის, მაგრამ მანდედან ვერ დაგძარიოთ. ეგების ახლა მაინც გაირკვეს საბოლოოდ: თბილისი თუ ქუთაისი?

გისურვებ ჯანმრთელობას და მხნეობას

მარად თქვენი კეთილის მსურველი ა. შანიძე

P.S. შემიკრიბეთ **აიშვილზე** და **ეიშვილზე** გათავებული გვარები (თაყაიშვილისა და ჩარგეიშვილის ტიპისა). მეც ვიცი ბევრი, მაგრამ კიდევ მინდა.

ა.შ.

18.V.1962

ძვირფასო პროფესორო!

განა „მადლობით“ შემიძლია გამოვხატო ის დიდი გრძნობა, რომელიც თქვენმა გულის სიტბომ და მშობლიურმა მზრუნველობამ წარმოქმნა ჩემში? პასუხი კი დავაგვიანე: მიჭირდა, მიმძიმდა და ვერ მოგწერეთ...

ეგოიზმისა და ანგარიშიანობის საშინელ სიცივეში, მუშაობისას ყოველ ნაბიჯზე რომ იგრძნობა, ჩაკვდა ყრმობის ოცნებები და დედა იყო ჩემთვის მთელი სამყარო. იგი, უბრალო ქალი, სხვებისთვის უჩინარი, ნამდვილი ადამიანი იყო. ფიზიკურად საშინლად სუსტსა და ავადმყოფს, შეეძლო ყველა შეშფოთებული გულისათვის შესაფერისი ნუგეში ეცა. კვდებოდა და, ჩვენ რომ არ შევეწუხებინეთ, მაინც იმას ამბობდა, „კარგად ვარო“, მაინც ჩვენზე ფიქრობდა და ამ ფიქრსა და ზრუნვაში განშორების შეგრძნებით გამონვეულ ტკივილებს აყუჩებდა.

ახლა მე თითქოს გულის დიდი ნაწილი ჩამომკვეთეს და სრულ აპათიაში ჩავარდნილს აღარაფერი მაინტერესებს, საშინელ სიცარიელეს ვგრძნობ. ამიტომ ნუ გამირისხდებით, ძვირფასო მასწავლებლო, მშობლიურო, გულისხმიერო, თუ მანდ, უნივერსიტეტში, გადმოსვლა წელს არ შემიძლია. მე ახლა ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ ახალ გარემოს ვერ შევეგუები, ახალი სამუშაოსათვის ვერ გამოვდგები. თქვენ კარგი გული გაქვთ და შემინდვეთ და მაპატიეთ.

მარადის და მარადის იქითაც თქვენი პატივისმცემელი

ქეთევან ძონენიძე

P.S. რაც გავიხსენე, გიგზავნით **იაშვილზე** და **ეიშვილზე** დაბოლოებულ გვარებს.

***შენიშვნა:** წერილზე თარიღი არ არის მითითებული. დაწერილი უნდა იყოს 1962 წლის ზაფხულში, დედის გარდაცვალების შემდეგ, ა. შანიძის ზემოთ დამონმებული (18.V.1962) წერილის საპასუხოდ.*

ძვირფასო ქეთო!

გუშინნინ მივიღე თქვენი გამოგზავნილი პავლეს ეპისტოლეები (7 საერთო რვეული. მეშვიდეს ახლავს ორი პატარა რვეული). დიდისაგან დიდი მადლობა!

....მომიკითხეთ თქვენი მეუღლე ბ-ნი დავითი (*დავით მხეიძე, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი – ჟ.ფ.*). დიდი მადლობა თქვენც და მასაც ჩემი სტუმრობისათვის. მე ძალიან კარგად მახსოვს და სულ მეხსომება ის დრო, რომელიც თქვენს ოჯახში გავატარე ქუთაისში ყოფნისას ამა თვის 10-11-ს.

თქვენი მოსიყვარულე ა. შანიძე
28.V.1963

ქ ე თ ე ვ ა ნ ძ ო ნ ე ნ ი ძ ე

არის დიდი მოჭირნახული

ქართული ენა არის პროფესორ აკაკი შანიძის განუზომელი სიყვარულის საგანი. ამ ენის სათუთ მოვლასა და მის მომავალზე გულმტკივნეულ ზრუნვაში დიდ მეცნიერს ოთხმოცი წელი შემოეპარა. ასეა, დაძაბული შემოქმედებითი შრომა დროს დაუზოგავად ნთქავს, დაუცხრომელ საკვლევადიებო მუშაობაში წლები შეუმჩნევლად გარბის, მაგრამ საქვეყნოდ დასანახავი ბარაქა რჩება. პროფესორ ა. შანიძის ნაღვანის სიდიადესთან წელთა სიმრავლაც რა სახსენებელია. მით უფრო, რომ მის აზროვნებას არ დასტყობია ხანდაზმულობა.

ამ რამდენიმე თვის წინათ გამოქვეყნებული პროფ. ა. შანიძის “ვეფხისტყაოსნის საკითხები”, სადაც სხვადასხვა დროს დანერილ გამოკვლევებთან ერთად შეტანილია ახალი გამოკვლევებიცა და შენიშვნებიც, გვხიბლავს ავტორის აზრის სიღრმითა და სისრულით და, რაც მთავარია, უანგარო გატაცებით და ერის დიდების სანყაულის – “ვეფხისტყაოსნის” უღლვეი სიყვარულით. ამ სიყვარულით აიხსნება, რომ პროფ. ა. შანიძემ დიდი შრომა გასწია “ვეფხისტყაოსნის” ტექსტის მეცნიერული შესწავლის, კრიტიკული განხილვის, მინარევისაგან გაცხრილვისა და ენის დახვეწის მხრივ. მისი მონაწილეობით გამოიცა “ვეფხისტყაოსანი” 1937, 1951 და 1957 წლებში. მანვე აღადგინა “ვეფხისტყაოსნის” პირველი (ვახტანგისეული) გამოცემა 1712 წლისა და დაურთო მას ახსნა-განმარტებანი. მისივე ხელმძღვა-

ნელობით იქნა შედგენილი და 1956 წელს გამოცემული “ვეფხის ტყაოსნის” სიმფონია. პროფ. ა. შანიძეა აგრეთვე მთავარი რედაქტორი “ვეფხის ტყაოსნის” ახალი ვარიანტიებიანი გამოცემისა, რომლის პირველი ტომი მისი და ა. ბარამიძის რედაქციით გამოვიდა და ქართული კულტურის დიდი მოღვაწის, ივანე ჯავახიშვილის ხსოვნას მიეძღვნა. ამით ღირსეულმა მონაწიემ ნატვრა აუსრულა მის დიდებულ მასწავლებელს, სინანულს რომ გამოთქვამდა: “ვეფხის ტყაოსნის” არამც თუ სრული, კრიტიკული გამოცემა ვერ მოგვიხერხებია, არამედ ისეთი გამოცემაც კი არ მოგვეპოვება, სადაც ხელნაწერებში დაცული ყველა განსხვავებული წაკითხვები მაინც გვექონდეს აღბეჭდილიო.

რუსთველის ენის, ქართული ენის სიყვარული, რომელიც დედაბოძად შეექმნა პროფ. ა. შანიძის მთელ მოღვაწეობას, მას აქ სიყრმიდანვე, ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის დროს, ჩაენერგა. ამ სიყვარულმა შეიყვანა იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომ შემდეგში, მეცნიერული ცოდნით აღჭურვილს, შეძლებოდა უდრტვინველად აენია სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის მთელი სიმძიმე და მეცნიერულ სიმაღლეზე აეყვანა ქართული ენის შესწავლის საქმე.

მართლაც, ქართული ფილოლოგიური სკოლის ამ თავკაცმა თავისი მაღალი ნიჭი ერისა და მისი ენის სამსახურს მოახმარა და მამულს ნამდვილი მამულიშვილობა გაუწია.

საქართველოში, ქართულ უნივერსიტეტში, პირველმა აკაკი შანიძემ დაიცვა დისერტაცია “სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში” (1920 წ.), რისთვისაც მას დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება მიენიჭა. პროფ. ა. შანიძის ამ მონოგრაფიით, რომელიც ენობრივი პრობლემის ისტორიულ ასპექტში კვლევის ნიმუშს წარმოადგენს, საფუძველი ჩაეყარა ქართული ენისა და მისი დიალექტების სტრუქტურისა და ისტორიის მეცნიერულ შესწავლას.

ქართული ენის დიალექტების კვლევა პროფ. ა. შანიძემ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაიწყო და თავისი დიალექ-

ტური ხასიათის ნაშრომებით მეცნიერული საფუძვლები შეუქმნა ქართულ დიალექტოლოგიურ ძიებას.

ა. შანიძის საკვლევადიებო ინტერესთა სფეროში შემოდის სვანურიც. ქართულისა და მისი დიალექტებისა და სვანურის კვლევას მან უძღვნა პირველხარისხოვანი შრომები და მონოგრაფიები, რითაც ქართულ ენათმეცნიერებას სახელი გაუთქვა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

შესასწავლი ობიექტის ღრმა ცოდნა, ფაქტების დადგენისა და ანალიზისას მკაცრი მომთხოვნელობა და სიზუსტე ნიშანდობლივია ა. შანიძის ყოველი გამოკვლევისათვის, ეხება ეს გამოკვლევა ენის სტრუქტურისა და ისტორიის, ლექსიკოლოგიის თუ მწერლის ენისა და სალიტერატურო ენასთან მიმართებით დიალექტთა შესწავლის საკითხებს.

პროფ. ა. შანიძე საყოველთაოდ ცნობილია, როგორც ქართული მეცნიერული გრამატიკის ფუძემდებელი.

გრამატიკული მოვლენების უზადო მეცნიერული ანალიზით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1930 წელს გამოცემული “ქართული ენის გრამატიკა”, I, „მორფოლოგია“.

ქართული ენის მორფოლოგიური აგებულების შესწავლის შედეგები მან შეაჯამა ფუნდამენტურ მონოგრაფიაში “ქართული გრამატიკის საფუძვლები”, რომელიც უფრო შემოკლებულად “ქართული ენის გრამატიკის” (I) სახელწოდებით გამოიცა 1955-1962 წლებში.

პროფ. ა. შანიძეს განეული აქვს ტიტანური შრომა ძველი ქართული ენის ძეგლების გამოსაცემად, მათი მნიშვნელობის დასადგენად, საერთო განვითარების ისტორიაში ადგილის მისაჩვენად.

ძველი ქართული ძეგლების, მათ შორის ახალი აღთქმის ტექსტის კრიტიკულად დადგენამ ა. შანიძეს შესაძლებლობა მისცა გაერკვია ბევრი საყურადღებო საკითხი ქართველი ერის კულტურის ზოგადი ისტორიის თვალსაზრისითაც და თავისი უტყუარი მოსაზრებები გამოეთქვა შრომაში, “ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე და ძველი ქართული ენის ძეგლების ვითარება ახალი აღთქმის წიგნების გამოცემებში” (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, №9).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის აკაკი შანიძის მეცნიერული ნაღვანი შესატყვისად დაფასდა. იგი არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის და პრალის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

პროფ. ა. შანიძე სამეცნიერო მუშაობასთან ერთად დიდ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწევა.

იგი მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ უნივერსიტეტის დაარსების დღიდანვე. 1945 წლამდე იგი იყო ქართული ენის კათედრის გამგე, ხოლო 1945 წლიდან, ამ კათედრის გაყოფის შემდეგ, განაგებს ძველი ქართული ენის კათედრას. ამ ხნის განმავლობაში იგი კითხულობდა ქართული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის, ძველი ქართულისა და დიალექტოლოგიის, ქართული ენის ისტორიის, ქართული ენის შედარებითი გრამატიკის კურსებს, ასწავლიდა სომხურსა და არაბულ ენებს.

პროფ. ა. შანიძე მუშაობდა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტშიაც. იმ ხანებში, როცა ამ ინსტიტუტში ქართული ენის კათედრას ხელმძღვანელობდა მისი უნიჭიერესი მოწაფე **ვ. თოფურია**, იგი აქ კითხულობდა ლექციებს ძველ ქართულსა და ქართული ენის დიალექტოლოგიაში.

პროფ. ა. შანიძე ბევრს მუშაობს თავის ასპირანტებთან. იგი მომთხოვნი, მაგრამ გულისხმიერი და მზრუნველი ხელმძღვანელია. მან დაზარდა ფილოლოგთა მრავალი თაობა, რომელთა შორის არიან მთელ ჩვენს ქვეყანაში და მის გარეთაც სახელგანთქმული მეცნიერები.

პროფ. ა. შანიძემ დიდი ღვაწლი დასდო ქართულ სკოლებსაც.

დღეს ქართულ ენაზე მიმდინარეობს სწავლება ყველა საფეხურის სკოლაში და, ამდენად, ქართული ენა არა მარტო წამყვანი საგანია სასკოლო დისციპლინათა შორის, არამედ საყრდენიცაა მეცნიერების საფუძვლების შესასწავლად და სხვა ენათა დასაუფლებლად. ამიტომ, ბუნებრივია, თუ ამ ენის სწავლების მაღალ დონეზე დაყენებასა და შესაბამისად გრამატიკის სრულყოფილ სახელმძღვანელოს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

უკვე 25 წელზე მეტია, რაც პროფ. ა. შანიძის ქართული ენის გრამატიკის სასკოლო სახელმძღვანელოთი სწავლობს ქართულ ენას სკოლაში ქართველი ბავშვი.

პროფ. ა. შანიძე მთელი რიგი საბჭოებისა და სამეცნიერო საზოგადოებების წევრია. რომელ სხდომაზე არ ნახავთ მას და გიკვირთ ამ მხცოვანი მეცნიერის სულის ღონე, ხასიათის გაუტეხელობა, დაუცხრომელი სიყვარული, დაულაღავი ბეჯითობა.

ხანდაზმული არ ეთქმის მას, ვისაც 80 წლის ასაკში აკაკი შანიძისებური სულის სიცხოველე, აზრის სინათლე და ჭაბუკურნი გატაცებით მუშაობის უნარი შეუნარჩუნებია.

დაილოცოს და დღეგრძელობდეს მშობლიური ენის დიდი მოჭირნახულე **ა. შანიძე**, რომელიც ფაქიზი სიყვარულით უვლის ამ ენის შორეულ საუკუნეებში წასულ ფესვებსაც და ახალ ყლორტებსაც ქართველი ერის სადიდებლად.

გაზ. „ქუთაისი“, 1967, 26/III

არნოდ ჩიქობავა

ქეთევანს სალამი!

წერილის მონერას დიდი ხანია ვაპირებდი, მაგრამ დღემდე არ მომიხერხდა. ახლა წყალტუბოდან გწერთ.

ჯერ ერთი, მინდა მოგილოცოთ საკვალიფიკაციო შრომის კეთილად დაცვა. იმ ხანად ცუდად ვიყავი და სხდომაზე ვერ მოვედი. გისურვებთ (თუ ვისურვებ), მოვსწრებოდი თქვენს სადოქტორო დისერტაციასაც.

მეორეცაა და, საჭიროდ მიმაჩნდა თქვენ გცოდნოდათ ზუგდიდის ინსტიტუტის საკითხი რა კონტექსტში დადგა და რას გულისხმობდა. ზუგდიდში კათედრის გამგედ უნდა გაეგზავნათ ვინმე. საჭირო იყო ისეთი კაცი, რომ თითო კვირით ჩასულიყო და საქმეს გასძლოლოდა პატიოსნად. ვფიქრობდი, ამას თქვენ შეიძლებდით განსაკუთრებული დაძაბვის გარეშე (მამის ავადმყოფობის ამბავი მე არ ვიცოდი). ზუგდიდში თქვენი „გადაყვანა“ არავის უფიქრია. პირიქით, კათედრის გამგეობა ზუგდიდში

შეამზადებდა კათედრის გამგეობას ქუთაისში. გიორგი ხომ მუდამ არ ივლის ქუთაისში (ასე ვფიქრობდი მე და გიორგის არ დავთათბირებდით: არ იყო თბილისში). ამრიგად, საქმის ინტერესი თქვენს ინტერესს სავსებით ეგუებოდა.

არ ვიცი, თქვენთან ეს რა სახით მოვიდა. ყოველ შემთხვევაში ასეთი იყო განზრახვა, რამდენადაც მე მკითხავდნენ. სანყენია, თუ ეს სხვა სახისად იქცა და უსიამოვნო პროექტის სახე მიიღო (როცა ეს გავიგე, მე თვითონ ვუთხარი ამხ. კუპრაძეს, რომ ეს ვარიანტი მოეხსნათ).

ახლა რასა იქმთ? ეცადეთ, თემატიკაზე გარკვეული თანამიმდევრობით მუშაობა არ შეგინყდეთ. საკვალიფიკაციო შრომაც ნაწილ-ნაწილად უნდა დამუშავდეს: დრო ბევრი უნდა და დამშვიდებით უნდა გაკეთდეს.

მამას ავადმყოფობა მძიმე საქმეა, სიცოცხლის დასასრულის საკითხი ყოველთვის მწვავეა და მძიმე, მით უმეტეს ზოგი ხასიათის ადამიანისათვის. ზოგჯერ ეს ტრავმას უდრის ადამიანის განცდებში. ეცადეთ, შრომა მოიშველიოთ და ყურადღება მთლად არ ჩაანთქმევინოთ მძიმე ვითარებას.

თქვენები მომიკითხეთ – უფროსები – დიდი პატივისცემით, შემდგომი თაობა – ამხანაგურად.

იყავით მხნედ, გისურვებთ მუშაობაში წარმატებას. თქვენთვის კეთილის მსურველი



4.11.1951

P.S. საახალწლო დეკემბისათვის მადლობა. თამარმა მოგიკითხათ გულით. ამ ორ დღეში აქედან რაიონს გავემგზავრებით. თბილისში, ალბათ 14.11-სთვის ვიქნებით.

მე ცუდად ვიყავი ძალიან. ახლა თითქოს უკეთობაა. სანამდის გამყვება, ოღონდ?!

ა.ჩ.

P.P.S. გახსოვდეთ, რომ საქმის მცოდნე და პატიოსანი მუშაკი ჩვენს დარგში არც ისე ბევრია და ეს გარკვეულ ვალდებულებას გაკისრებთ სპეციალობის წინაშე.

ა.ჩ.

ძვირფასო პროფესორო!

გულით გავიხარე, რომ თქვენი არჩევა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ქუთაისიდან ხდება.

თქვენთან შეხვედრა ეწყობა 5 მარტს ჩვენს ინსტიტუტში, რადგან 235-ე საარჩევნო ოლქი აქ არის.

წავიკითხე თქვენი წერილი, კომისიის თავმჯდომარის სახელზე გამოგზავნილი. მან ჯერ არ იცოდა, თქვენი შეხვედრა როდის ეწყობოდა. მე და ის ვიყავით ქალაქკომში და გვითხრეს: 5 მარტს ეწყობაო.

ჩვენი სტუდენტობა მოუთმენლად ელის თქვენს ნახვას.

გთხოვთ, სასტუმროში არ მიბრძანდეთ. ჩემთან დაბინავდეთ. ამით უდიდეს ბედნიერებას მაგრძნობინებთ. იქნებ ქალბატონი თამარიც ჩამოიყვანოთ. მომანიჭეთ თქვენი ჩემთან მოსვლით სიხარული.

მე ვცხოვრობ თეატრის პირდაპირ, სტალინის ძეგლთან.

გელით სიყვარულით.

ქეთევან ძონენიძე

1963

დიდად პატივცემულო ქეთევან!

ამომრჩეველთა დავალება, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე მისაღები კონტიგენტის შესახებ მოვახსენე უმაღლესი საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. გ. ჯიბლაძეს, დაგვპირდა საკითხის მოგვარებას (ამხ. გივი დოლიძესთან ერთად ვიყავით).

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ამხ. ზინ. კვაჭაძეს სათანადო ცნობა, ოფიციალური, გადავეცი. თუ დაპირება არ შესრულდა, პრეზიდიუმიდან მივმართავთ.

გულითადი მოკითხვა ჩვენი ოჯახის მთელი შემადგენლობიდან პატივცემულ დავითს და ქეთევანს.

კეთილი სურვილებით არნ. ჩიქობავა

27.11.1964

ძვირფასო პროფესორო! ბატონო არნოლდ!

მიჭირდა მომენერა. ვიცი, რა მძიმეა თქვენთვის სიჭაბუკის მეგობრის დაკარგვა, მეგობრისა, რომელთანაც გულთან ერთად ინტელექტი გაკავშირებდათ, რომელთანაც გაკავშირებდათ ყველაფერი წმინდა და ნათელი, რაც კია კაცის ცხოვრებაში, რომლისთვისაც შეგეძლოთ გული გადაგეხსნათ, რაც ასე ძნელია ახლა. მაგრამ თქვენ მარტო თქვენ თავს არ ეკუთვნით. თქვენ ილია ჭავჭავაძის ყალიბის კაცი, გონების თვალით უნდა ხედავდეთ ისეთ დიდ უბედურებასაც, როგორიც ბატონი ვარლამის დაკარგვაა, და თავს უნდა გაუფრთხილდეთ. ღმერთო ჩემო, რატომ არ ვხედავ თქვენებრ სპეტაკ და თავდადებულ ადამიანებს, რომელნიც თქვენსავით უანგაროდ იღვწოდნენ?!

16 წლის ვიყავი, როცა ის (ვარლამ თოფურია) ჩემი მასწავლებელი გახდა. ღარიბი ოჯახიდან გამოსულს გზა მომცა, დიდი ამაგი დამდო. მაგრამ ჭირს ის მიმსუბუქებს, რომ ქვეყანაზე თქვენა ხართ, რომ ქართულ ენათმეცნიერებას თქვენი სახით სათავეში უდგას დიადი, წმინდა, უანგარო, მართალი კაცი.

მე ისეთი ბუნება მაქვს, ვინმე უნდა მწამდეს, ვინმე უნდა მიყვარდეს, თორემ არაფრის გაკეთება არ შემიძლია. ასეთი ცოცხალი ხატი ჩემთვის თქვენა ხართ და მინდა სულ, სულ, სულ კარგად იყოთ ძვირფას თამართან ერთად.

ქ. ძონენიძე

***შენიშვნა:** ბარათზე თარიღი არაა მითითებული, მაგრამ ჩანს, დაწერილი უნდა იყოს 1966 წლის შემოდგომაზე, ვარლამ თოფურიას გარდაცვალების შემდეგ.*

ქეთევან ძონენიძის წერილი არნოლდ ჩიქობავას მეუღლე თამარ ყიასაშვილისადმი (1967,19.01):

ძვირფასო თამარ!

მეგონი წერილი რამდენჯერმე გარეკითხე. სტრუქტურებს შინისაჲ კი ვიკრძენი თქვი გულისთქმა. რა ძნელი იქნებოდა ბაქონი აწნოლდასთვის ცხოვრება, რომ მის გვერდით თქვენ არ ყოფილიყავით. თქვენ ასეი დიდი, თბილი, მოსიყვარულე გულისთ, წამყვლი მეგობარი, მისი სიხარულისაჲ წყ- ხილის თანამოძიარე. მე ძალიან კარგად მესმის თქვინი. თქვენ კი არა, ზემოთისაჲ სული ცხრული იქნებოდა ეს ჩვეულება, ბაქონი აწნოლდა რომ არ შეგულებოდა. მარტო მისი აწნებდაჲ კი სჯამარისა, რომ აძაბისი წმენა არ დაკრგო, წმინდისაჲ წაყოლის იმედი ვქონეს.

რა საკარალითა, რომ ირველთვე მხოლოდ ცლანქი აგუნიშინებაჲ ღირსაჲლი იხრეხრებოთ აგუნიშინული კაცყვების ცვაი ეგომის სუხი იგონებაჲ ღმით ყუფთ გამოკვირლით ბაქონი აწნოლდას ს. ა. რ. ი. ა. ა.

ჩვენი თქანის ყველა წევრს თქვენ ძალიან ყუყვანხართ. გიორგი რომ თბილისში ყოფილიყო, გულისცხრად არ შეხვებოდა, მაგრამ ჩავიხვალე, წარ- მოხდა, სწორად სწორად ღმინად ღმინად დავიტყუო.

მი თვარისა, ორნივე იყოთ კარგად ღმინად თქვენი თქანის არ იყოთ, ენაჲ ყოფნის ბერეხრებით იხრეხრეთ. თქვენ წარმოეგონილ არა გამოქვთ, როგორ გავინახეთ, რომ ბაქონი აწნოლდა ყუყვან არის ღმინად და ვეშაობს.

მე კი რა ყურა მოგწერეთ. გინის ვინიქებოდა, მაგრამ ორჯერ შეხმეხმედა, ღვიძლი ცხვილით გამოგწავდა ღმინის ცხვილით დაჭმეო, რაჲ გიკარგავს დაჭმეობის ხარის, ანათიამი გეკრძეს, მაგრამ რა ვუყოთ. ზემოთისაჲ აწნე ყოფნის მიტყვან რაჲს ჩავანდა, არც არყოფნით უტყვან- კილი ვიკითხე, თქვენ ყურა იყოთ კარგად. ეს ჩვენი სული სჯამარით. მე ვიცი, ბაქონი ვარლამის დაკრგვამ როგორ შეხვდით ბაქონი აწნოლდაჲ კანგხილდა, მაგრამ მის გვერდით თქვენ ხართ ღმინად ყუყვანისა.

და თომ დიდი ნაჭივიცხრითა ღმინად ყუყვანისა გიკითხისათ.

იყვილი სულ სულ სულ კარგად. გელო 19. 11. 1967

ქ ე თ ე ვ ა ნ ძ ო ნ ე ნ ი ძ ე

**მეცნიერი მსოფლიო სახელით
(არნოლდ ჩიქობავას დაბადების 70 წლისთავისათვის)**

26 მარტს 70 წელი შეუსრულდა ეროვნული კულტურის დიდ მოღვაწეს, სახელოვან მეცნიერსა და მამულიშვილს, იბერიულ-კავკასიური ენების გამოჩენილ მკვლევარს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს არნოლდ ჩიქობავას.

არნოლდ ჩიქობავა ისეთი მეცნიერია, რომელმაც ერთხელვე რწმენილი გაიხადა ცხოვრების საგნად, განუზომელი სიყვარულით, უანგარო გატაცებით, მართლად და პატიოსნად ემსახურა მას, დიდი შემოქმედის ბარაქით დატვირთა სიცოცხლის ყოველი წელი და თავისი დიდი ნაღვან-ნაამაგარით ქართული ენათმეცნიერების განვითარებას ისეთი სიღრმე და განი მისცა, რომ მას სახელი გაუთქვა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც და ამით მშობელი ხალხი და მშობლიური უნივერსიტეტი ასახელა. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ არნ. ჩიქობავა ლომონოსოვის სახელობის პრემიის ლაურეატია, არჩეულია ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად, ხოლო ამ დღეებში არჩეულ იქნა დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრად იმ დიდი დამსახურებისათვის, რომელიც მას აქვს „კავკასიის ხალხთა ენების შესწავლის დარგში“ და იმ დიდი ღვაწლისათვის, „რომელიც დასდო ქართული ენის რვატომიანი აკადემიური ლექსიკონის გამოცემას, როგორც მთავარმა რედაქტორმა“.

დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოება, რომელიც 1842 წელს დაარსდა, თავისი ხასიათით საერთაშორისოა. ამდენად, ამ საზოგადოების წევრად არნ. ჩიქობავას არჩევა მისი ნაღვანის სიდიადის საერთაშორისო აღიარებას მოწმობს. თანაც, როგორც საზოგადოების მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაშია აღნიშნული, „გამოხატავს მის მეგობრულ გრძნობებს პროფესორ ჩიქობავასადმი, რომელსაც წელს 70 წელი უსრულდება, და

მისი კოლეგებისადმი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წელს აღნიშნავს თავის 50 წლის იუბილეს”.

ყველა ქართველს, ვისაც ახარებს თავისი ერის დიდება, გაახარებს თავისი ქვეყნის სახელოვანი შვილის ეს პატივიც, რადგანაც დიდებასა და ღირსებას ერისას სწორედ არნ. ჩიქობავასთანა კაცის საწყაოთი წყავს ადამიანი. ყველა კულტურული ერი იამაყებს ისეთი მოაზროვნე მეცნიერით, როგორიც არის არნ. ჩიქობავა. მისებრი მეცნიერი, ილიას სიტყვით რომ ვთქვათ, „ძალ-ღონე და ციხე-სიმაგრეა ერისა, ქვეყნისა და მის მიერ გავლილი, ღვანლით დაქნილი გზა მთელი სკოლაა და მწვრთნელია ყველასი, ვისაც კი კაცობისათვის გული ერჩის”.

არნ. ჩიქობავას განვლილი გზა მამულისა და მეცნიერებისათვის თავდადების მაგალითია, ერთხელვე რწმენილისათვის უკანდაუხეველი სწრაფვა, დაძაბული შემოქმედებითი შრომა და მწვავე ბრძოლა. ამიტომ არის, რომ მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ერთი მთლიანი და განუყოფელია. მისი ბიოგრაფია, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, თითქმის მხოლოდ მეცნიერული შემოქმედებაა.

არნ. ჩიქობავამ 1917 წელს წარჩინებით დაასრულა ქუთაისის ქართული გიმნაზია, ხოლო 1922 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ორი განყოფილება – ენათმეცნიერებისა და ფსიქოლოგიისა. იქვე დატოვებულ იქნა პროფესორობისათვის მოსამზადებლად. 1924 წელს ჩააბარა ზეპირი სადოქტორო გამოცდები, 1926 წლიდან დაიწყო ლექციების დამოუკიდებელი კურსის წაკითხვა, 1929 წელს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან პირველმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1933 წელს იგი დამტკიცებულ იქნა პროფესორად და მის მიერვე ჩამოყალიბებული კავკასიური ენების კათედრის გამგედ უნივერსიტეტში, ხოლო ქართული ენის კათედრის გამგედ – ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1936 წლიდან იგი სათავეში უდგას კავკასიურ ენათა განყოფილებას ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში, ხოლო 1941 წლიდან – საქართველოს სსრ მეცნიერებათა

აკადემიის „აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტში“, ამჟამად ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

1941 წელს, როცა დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, არნ. ჩიქობავა არჩეულ იქნა პირველი შემადგენლობის აკადემიკოსად და უკანასკნელ ხანებამდე იყო ამ აკადემიის პრეზიდიუმის უცვლელი წევრი.

არნ. ჩიქობავა მეტად ფართო პროფილის მეცნიერია, რომელმაც თავისი მრავალრიცხოვანი შრომები (მათგან 18 მონოგრაფიაა) როგორც ქართველური (ქართული, მეგრულ-ჭანური, სვანური) და მთის იბერიულ-კავკასიური ენების, ისევე ზოგადი ენათმეცნიერების თეორიული პრობლემების კვლევას მიუძღვნა.

განსაცვიფრებელმა ნიჭიერებამ და ფართო მეცნიერულმა განათლებამ, მრავალმხრივმა სამეცნიერო ინტერესებმა და ენათმეცნიერების მოსაზღვრე დისციპლინების ღრმა ცოდნამ, სულის დიდმა ღონემ და საარაკო პასუხისმგებლობის გრძნობამ, დაუცხრომელმა სიბეჯითემ და საქმის უღევმა სიყვარულმა არნ. ჩიქობავას შესაძლებლობა მისცა ამა თუ იმ საკითხის შესწავლისას თანაბარი სისრულითა და სიღრმით ეწარმოებინა მეცნიერული ანალიზიცა და სინთეზიც. არნ. ჩიქობავასათვის, როგორც სინთეზური გონების მოაზროვნისათვის, პრობლემის მეცნიერული შესწავლა გულისხმობს მოვლენათა სიმრავლეში საერთო კანონზომიერების დადგენასა და დასაბუთებას.

არნ. ჩიქობავასათვის ნიშანდობლივია კვლევის ობიექტის განხილვა ზოგადი ენათმეცნიერების პოზიციებიდან. ამის გამო მისი ყოველი დებულება მის ზოგად კონცეფციას შეეწონება და მისი შრომებიც გამოირჩევა როგორც აზრის სინათლითა და სიღრმით, პრინციპულობითა და უკომპრომისობით, დებულებათა ლოგიკური დასაბუთებითა და არგუმენტაციის ძალით, ისევე სადა, დახვეწილი ენით და მისაბაძი ლაპიდარული სტილით.

არნ. ჩიქობავას მრავალრიცხოვან პრობლემეტიკაში დიდი ადგილი უჭირავს ქართულსა და მეგრულ-ჭანურს დიალექტებითურთ, რომელთა შედარებით-ისტორიული შესწავლის შედეგები მან შეაჯამა ისეთ ფუნდამენტურ მონოგრაფიებში, როგორიცაა: „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“, „ჭანურ-მეგრულ-ქარ-

თული შედარებითი ლექსიკონი”, „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში”, „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში” (2 ტომი) და სხვ.

ქართული მარტივი წინადადების სინტაქსური მექანიზმის შესწავლასა და წინადადებისა და მისი ნაწილების სხვადასხვაგვარი გაგების კრიტიკულ ანალიზს მიეძღვნა არნ. ჩიქობავას სადოქტორო დისერტაცია „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში”.

არნ. ჩიქობავას გამოკვლევებმა ქართული ენის დიალექტების – ფერეიდნულის, კახურისა და მთიულურის შესახებ სათავე დაუდო თეორიულ დიალექტოლოგიას. დიალექტოლოგიური თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია მისი ცალკე წიგნად გამოსული „ჭანურის ტექსტები”.

არნ. ჩიქობავამ შუქი მოჰფინა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხებს, მოგვცა სალიტერატურო ქართული ენის ახალი პერიოდიზაცია. მის განვითარებაში განასხვავა ძველი და ახალი ქართული: ძველი სალიტერატურო ენა V საუკუნიდან მე-12 საუკუნის დამლევამდე, ხოლო მე-12 საუკუნიდან ისახება ახალი ქართული. ეს დაადასტურა რუსთაველის ენის სპეციალური ენათმეცნიერული შესწავლითაც.

ქართველური ენების აგებულებისა და ისტორიის შესწავლამ აუცილებელი გახადა, პირველ რიგში, ქართულისა და მთის კავკასიური ენების ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის გარკვევა, შემდეგ კი მისი კვლევა წარიმართა წინააზიის არაინდოევროპულ და არასემიტურ ძველ მკვდარ ენებთან, ცოცხალ ენათაგან – ბასკურთან ქართულის გენეტიკური ნათესაობის დასადგენად.

ქართულთან გენეტიურად მონათესავე ენათა შესწავლას მხოლოდ საენათმეცნიერო მნიშვნელობა როდი აქვს. ქართული ენის სხვა ენებთან ნათესაობის საკითხი ქართველი ხალხის წარმომავლობის პრობლემას უკავშირდება, ამდენად, მას დიდი მნიშვნელობა ეძლევა კულტურის ისტორიის თვალსაზრისითაც.

იბერიულ-კავკასიურ ენათა საკითხებზე ცალკეულ გამოკვლევებს გარდა ცალკე წიგნად გამოვიდა ხუნძური ენა (ილია ცერცვაძის თანაავტორობით) და მონოგრაფია „იბერიულ-კავ-

კასიურ ენათა შესწავლის ისტორია”, რომელსაც მეტად აქტუალური მნიშვნელობა აქვს იბერიულ-კავკასიურ ენათა შემდგომი მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით.

არნ. ჩიქობავასა და მისი მოწაფეების მიერ, რომლებიც დიდ პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას ეწევიან სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში, შესრულებულია მრავალი შრომა, დაცულია სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები. ამიტომ არის, რომ არნ. ჩიქობავა სამართლიანად ითვლება კავკასიური ენათმეცნიერების ფუძემდებლად, ხოლო თბილისი კავკასიური ენების კვლევის ცენტრად.

კონკრეტული ენების მეცნიერული შესწავლისათვის თეორიულ საფუძვლებს ქმნის ზოგადი ენათმეცნიერება, რომლის განვითარება საქართველოში არნ. ჩიქობავას სახელს უკავშირდება.

ენათმეცნიერების საკითხებზე დანერილ შრომებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არნ. ჩიქობავას „ზოგად ენათმეცნიერებას“ (პროპედევტიკული ნაწილი), რომელშიაც მოცემულია ენათმეცნიერების ცნებათა სისტემური ანალიზი. ეს წიგნი 1935, 1939, 1946 წლებში გამოვიდა და მასზე ჩვენი სტუდენტები ახალგაზრდობის არა ერთი და ორი თაობა აღიზარდა. ამ წიგნის IV შევსებულ გამოცემას წარმოადგენს „ენათმეცნიერების შესავალი“ (1952), რომელიც ორჯერ გამოვიდა რუსულად, ითარგმნა ჩეხურ, ბულგარულ და ჩინურ ენებზე, ხოლო მის შესახებ რეცენზიები დაიწერა ჩეხურ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე.

არნ. ჩიქობავას ფუნდამენტური მონოგრაფიაა II ტომი „ზოგადი ენათმეცნიერება, ძირითადი საკითხები“. ამ მონოგრაფიის პირველ ნაწილში მოცემულია ენათმეცნიერების საგნის რაობის გაგებაში დასავლეთ ევროპის მთავარ მიმდინარეობათა და მარის მექანიკური მატერიალიზმის მეცნიერულ-კრიტიკული ანალიზი, ხოლო მეორე ნაწილში – სისტემური ანალიზი ენისა და ენათმეცნიერების ძირითადი პრინციპული საკითხებისა, რომელიც არსებითად თავს იყრის ენათმეცნიერების საგნის, სპეციალური მეთოდების, სტრუქტურისა და სხვა მეცნიერებასთან მიმართების პრობლემის გარშემო.

ცალკეულ სპეციალურ გამოკვლევებთან ერთად ასევე ფა-სეულია არნ. ჩიქობავას მონოგრაფია, „ენის პრობლემა, როგორც ენათმეცნიერების საგნისა“, რომელიც 1959 წ. დაიბეჭდა რუსულ ენაზე მოსკოვში.

არნ. ჩიქობავამ განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკის შესწავლას, იგი მთავარი რედაქტორია ქართული ენის რვატომეული განმარტებითი ლექსიკონისა და რედაქტორი I და IV ტომებისა. ლექსიკონის პირველ ტომს წამძღვარებული აქვს არნ. ჩიქობავას მეცნიერული გამოკვლევა ქართული სალიტერატურო ენის წარმოშობის, განვითარებისა და ბუნების შესახებ ზოგადი ენათმეცნიერული თვალსაზრისით და მის მიერვე დამუშავებული ლექსიკონის შედგენის პრინციპები. არსებითზე რომ არა ითქვას რა, არნ. ჩიქობავას უბრალო ტექნიკური დეტალებიც კი იმგვარად აქვს გათვალისწინებული, რომ ლექსიკონით სარგებლობა საჭიროების შემთხვევაში შეძლოს არასპეციალისტმა მომხმარებელმა.

არნ. ჩიქობავა არის „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ ერთ-ერთი რედაქტორიც.

დიდია არნ. ჩიქობავას მონაწილეობა ქართული ენის ნორმების დადგენისა და მეცნიერული ტერმინოლოგიის უნიფიკაციის საქმეში, მის მიერ შემუშავებული “ნორმების დადგენის პრინციპები” საფუძვლად დაედო სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი სახელმწიფო კომისიის მუშაობას.

დიდი მეცნიერის 45 წლის ნაღვანი დღეს ისეთ დიდ ხვავად იქცა, რომ ყველასათვის დასანახავი გახდა და საყოველთაო მადლიერება გამოიწვია. მაგრამ მისგან მშობელი ხალხი კიდევ ბევრს მოეღის. მოეღის, დაწყებული მონოგრაფიების – „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავლის“, „თანამედროვე ენათმეცნიერების ძირითადი საკითხებისა“ და „ქართული ენის ისტორიის“ – დამთავრებას, შემდეგ კი ენის მშენებლობის საკითხებზე – სხვა ახალ გამოკვლევებს.

არნ. ჩიქობავა მეცნიერულ მუშაობასთან ერთად ნაყოფიერ საზოგადოებრივ და პედაგოგიურ მუშაობასაც ეწევა. იგი წევრია მთელი რიგი საბჭოებისა და სამეცნიერო საზოგადოებისა, სამეც-

ნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიებისა. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს ენათმეცნიერების საკითხებზე სხვადასხვა ქალაქში გამართულ კონგრესებზე, სესიებსა და თათბირებზე.

სკოლების დასახმარებლად არნ. ჩიქობავა სისტემატურად მონაწილეობს პროგრამების შედგენაში, სახელმძღვანელოების განხილვასა და რეცენზირებაში, აქვეყნებს მეთოდის საკითხებზე მეცნიერულ-პოპულარულ ნაშრომებს.

არნ. ჩიქობავა დიდ დროს ანდომებს მეცნიერული კადრების აღზრდას, სტუდენტებთან და ასპირანტებთან მუშაობას. მათ მიმართ იგი დიდ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენს, თუმცა მკაცრი მომთხოვნიცაა. ის კარგად ერკვევა ადამიანებში. ამიტომ გასაკიცხს ყოველთვის კიცხავს, მაგრამ ისე, რომ ხმას არ აუმაღლებს, ეს არცაა საჭირო. მას გააჩნია ის მორალური ძალა და კრისტალური სინამდვილე, რომელიც მისდამი მოწინებებს გაგრძობინებს და დაგარნმუნებს, რომ მეცნიერებაში ჭეშმარიტების ძიება პირად ცხოვრებაში პატიოსნებას ავალებს ადამიანებს. ამის გამო მასთან ურთიერთობაში გინდა იყო უფრო უკეთესი შრომის-მოყვარე, უანგარო და წმინდა, რომ მისი ნდობის ღირსი შეიქმნე.

არნ. ჩიქობავას სხვებისათვის მაგალითად ხდის მისი პიროვნების სიდიადე. იგი არის უბრალო, მიუკერძოებელი. მტკიცე და პირდაპირი. ერთი სიტყვით ისეთი, რომლის შესახებ ილია ამბობდა: „იგი არის კაცი, რომელიც არასოდეს არ იტყვის „ჰო-ს“, როცა გული ეუბნება „არას“, ე.ი. იგი არის მართალი კაცი. ამისთანა კაცს თვით შური და ბოროტებაც ვერ ბღალავს ცილისწამებით.

არნ. ჩიქობავას ღვანლი შესატყვისად დაფასდა. იგი დაჯილდოებულია ლენინის, წითელი დროშის და საპატიო ნიშნის ორდენებით. 1946 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

დღევანდელობდეს და სულის ცხოველმყოფელი სიჭაბუკე არ მოჰკლებოდეს ჩვენს სახელოვან მეცნიერს, რომელიც კავკასიური ენათმეცნიერების ფარიც არის და ხმალიცა.

ვარლამ თოფურია

ბ-ნი ვარლამი გახლდათ ქეთევან ძონენიძის პირველი ლექტორი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. მისი მზრუნველობით გამოვლინდა ქეთევანი, როგორც ბეჯითი სტუდენტი და ნიჭიერი მკვლევარი; მისივე თანახელმძღვანელობით გაიარა ასპირანტურა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

არქივში დაცული უამრავი წერილი (პირადი მოკითხვის ბარათი, სადღესასწაულო მისალოცი თუ საქმიანი შეტყობინება), ბ-ნი ვარლამისა და მისი მეუღლის სახელით გამოგზავნილი, თითქმის ყოველთვის იწყება სიტყვებით: დიდად პატივცემულო ქეთევან //ქეთო! (მეტწილად დანერლია ქარაგმით: დ ოდ პ ლო ქეთევან!).

დიდად პატივცემულო ქეთო!

დიდი მადლობელი ვართ ახალი წლის ასე გულით მოლოცვისათვის. ჩვენი მხრითაც მიიღეთ გულითადი მოლოცვა. ვნატურობთ, რომ აღგვისრულდეს სურვილი თქვენი ბედნიერებისა, ჯანმრთელობისა და დიდი წარმატებისა.

გთხოვთ თამარისა და ჩემი პატივისცემით აღსაფხვ მოკითხვა გადასცეთ თქვენს საყვარელ დედას, რძალს და ძმას...

ჩვენ რიგიანად ვართ. კარგა ხანს ვიავადმყოფე და ძლივს დავაღწიე თავი სიგლახეს...

თბილისში რომ ჩამოხვიდეთ, გვინახულეთ ოჯახად. იყავით კარგად. პატივისცემით

30.I.54

ვ. თოფურია

დ ოდ პატივცემულო ქეთო!

მოგილოცავთ ამ დიდ დღესასწაულს და გისურვებთ წინსვლასა და წარმატებებს. გთხოვთ უღრმესი პატივისცემით გადასცეთ ჩემი და ჩემი ოჯახის მოკითხვა დედას, ძმას, რძალს მთელი ოჯახით. ტკბილად მაგონდება ზაფხულში თქვენს ოჯახში გატარებული დღე.

მოკითხვა გადაეცით ამხანაგებს და უსურვეთ გამარჯვება მუშაობაში. ასეთი სათხოვარი მაქვს თქვენთან:

1. თუ შეიძლება გამოგზავნეთ თქვენი ჩანერილი ტექსტები იმერულის (ზემო, ქვემო) შესახებ, რაოდენობა 1,5-2 თაბახი. სასურველია სხვადასხვა რაიონისა იყოს, შინაარსით ნაირ-ნაირი, დასაბეჭდად ვარგისი... უჩვენეთ – ვისგანაა ჩანერილი, სად, როდის და ვის მიერ. დაიბეჭდება....

(შემდეგ საუბარია კათედრის საქმიანობის შესახებ, სხვა ნევრების დავალებებზე – ჟ.ფ.).

პატივისცემით ვარლამ თოფურია

7.XI.1955

ძვირფასო პროფესორო!

მივიღე თქვენი წერილი. დიდი, დიდი მადლობა ასეთი ყურადღებისათვის. მაშინვე შევასწორე ჩემი წერილები, მაგრამ ვერ გამოგიგზავნეთ. ამ დღეებში აქ ისეთი დაძაბული მდგომარეობა და მძიმე განწყობილება იყო, რომ სულ დამავინწყდა ყველაფერი.

სალამი დიდი სიყვარულით პატივცემულ თამარს და ბავშვებს. იყავით სულ, სულ, სულ კარგად.

მარად თქვენი პატივისმცემელი ქ. ძონენიძე

12.III.56

დიდად პატივცემულო ქეთო!

გულითადად მოგილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ: დედა და კარგად ბრძანდებოდეს და დიდხანს ისიამოვნოს შვილების ბედნიერებით, ძმებმა ცოლ-შვილით იხარონ და მრავალრიცხოვანი ოჯახი ექნეთ შვილებითა და შვილიშვილებით, თქვენ ოჯახი, თქვენებური შექმნათ და ერთ-ერთი ძის ნათლიებად ჩვენ მიგვილოთ, ყველა თქვენმა მახლობელმა თავიანთი კეთილი ცხოვრებით გაგახაროთ და დაგამშვიდოთ, მეცნიერებაში კიდევ ახალი ნაბიჯი გადადგათ და ახალი შრომები შეგვმატოთ.

კიდევ რამდენი რამ გვინდა გისურვოთ!

გაკოცებთ.

თქვენი მოსიყვარულე თამარ და ვარლამ თოფურიები

26.XII.1959

მოსკოვი

დ~დ პ~ლო და ძვირფასო ქეთო!

მიიღეთ ჩვენი გულსავსე მოკითხვა თქვენ და ბ. დავითმა.
ისე მომიხდა, რომ გზიდან გწერთ.

...შენუხების მეტი აბა რა იქნება:

თქვენთან გამოცხადდება კიდევ ორი ლატვიელი სტუდენტი.
ერთი მათგანი ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტია (წელს ჩარიცხეს). ქუთაისში დარჩებიან ორი-სამი დღე, რომ ნახონ ადგილები...

თქვენგან ნავლენ ბათუმში.

გთხოვთ ვინმეს დაავალოთ, რომ გზამკვლევი იყოს, ელაპარაკოს მხოლოდ ქართულად. მომიკითხეთ კათედრის წევრები.

მაპატიეთ შენუხება. პატ. თ. და ვ. თოფურები

24.VIII.64

ღრმად პატივცემულო და ძვირფასო ქეთო და ბ. დავით!

ადამიანის ცხოვრებაში არის წუთები სიხარულისა და ბედნიერებისა. ეს წუთები ჩვენთვის გახდა ჩვენი სიცოცხლის თანამგზავრი, განუყრელი და მუდამ სახსოვარი. იგი თქვენ, თქვენმა გულწრფელობამ და ადამიანურმა თვისებებმა მოგვანიჭეს. მართალია, ძალიან შეგანუხეთ დღეც, ღამეც, მაგრამ მივიღეთ გულით, წმინდად, რადგანაც თქვენი დაუვიწყარი ყურადღება და გადაუხდელი ვალი იყო და არის უანგარო...

ჭარბგრძნობიერი დეპეშაც მივიღე. უღრმესი მადლობა. მართალი გითხრათ, ჩემს წლოვანებას ვმაღავ, ვახალგაზრდობ, მაგრამ წელი მაინც წელია. რა გაენყოფა... ლეილამაც (*იგულისხმება ლეილა კვანტალიანი (1931-2011), ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი - ე.ფ.*) არ დამივიწყა. მადლობას ვწირავ.

გთხოვთ ჩვენი გულმართალი მოკითხვა და გრძნობით აღსავსე მადლობა გადასცეთ ბუჭას და მის მშვენიერ ცოლ-შვილს.

მარადის თქვენი მადლიერი და პატივისცემელი

ვარლამ თოფურია

9.I.1966

ქ ე თ ე ვ ა ნ ძ ო ნ ე ნ ი ძ ე

პროფესორი ვარლამ თოფურია

ძნელია პროფესორ ვარლამ თოფურიაზე წერა. ვერავითარი ეპითეტით ვერ გამოხატავ ამ დიდი მეცნიერისა და დიდბუნებოვანი ადამიანის პიროვნების სიდიადეს. მისი უბრალოება და კრძალულება, სათნოება და თავაზიანობა, სიკეთე და სისპეტაკე, გულის სითბო და აზრის სიცხოველე ისე თვალნათლივ საგრძნობია, რომ მოწინებას იწვევს ყველაში და კადნიერებასაც კი დაამორცხვებს.

რამდენიმე წლის წინათ მის შესახებ „ახალგაზრდა კომუნისტში“ დიდი სიყვარულით დანერგილი წერილი წავიკითხე. წერილის ავტორი პროფ. ვ. თოფურიას ადარებდა ანთებულ სანთელს, „რომელიც არავისგან არაფერს არ მიიღებს, მაგრამ გასცემს მთლიანად, რაც გააჩნია, და გააჩნია მხოლოდ ნათელი“. შესანიშნავი ნათქვამია და სწორედ პროფ. ვ. თოფურიას ხასიათისთვის ნიშანდობლივი. ამ დიდ მეცნიერს შეუძლია ღამეები ათენოს მისი სტუდენტებისა თუ ასპირანტების ნაშრომების გასწორებაში, დაუნანებლად, უანგარიშოდ დახარჯოს მთელი თავისი დრო მონაფეებთან მუშაობაში, ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა გამოკვლევების რეცენზირებაში, იხაროს მათი სიხარულით, იმტკივნეულოს მათი ტკივილით, სხვებისგან კი მისი საჭიროებისათვის მცირედიც კი არ მიიღოს. მან უარი განაცხადა, რომ სამოცი წლის თავზე მისთვის იუბილე გადაეხადათ, მის შესახებ წერილები დაეწერათ.

იგი ჩუმი და უხმაუროა და სწორედ ამიტაც არის დიადი.

თავისთავისადმი დიდად მომთხოვნი, მომთხოვნია მონაფეების მიმართაც. როცა საქმე ეროვნული უმაღლესი განათლების მომავალს ეხება, მას არ შეუძლია დათმობა, ამიტომ „მკაცრ“ გამომცდელად ითვლება, მაგრამ ამ „სიმკაცრეში“ სტუდენტი ახალგაზრდობის პირუთვნელი სიყვარულია, დიდი სურვილია საფუძვლიანი მომზადება მისცეს მათ, დამჯდარი შრომის სიყვარული შესძინოს, შეაყვაროს მშობელი ხალხი, მისი ენა და

კულტურა, მისი წარსული, აწმყო და მომავალი, „რითაც ქართველი კაცი შეიძლება ქართველობდეს“ (არნ. ჩიქობავა).

პროფ. ვ. თოფურია დიდი მამულიშვილია. მთელს მის მოღვაწეობას დედაბოძად ედება ქართველი ხალხისა და მისი ენის დიდი სიყვარული. ამ სიყვარულით შთაგონებული მეცნიერი ქართული ენის გრამატიკის ურთულეს საკითხებს, რომელნიც შეიძლება სხვა შემთხვევაში კაცს მშრალად და მოსაწყენად მოეჩვენოს, ისე გატაცებით ხსნის, რომ მსმენელთათვის ხელშესახები ხდება ქართული ენის სიმდიდრეც და სინატიფიც.

პროფ. ვ. თოფურიას უდიდეს მეცნიერულ ცოდნასთან ერთად ამ ცოდნის გადაცემის შესანიშნავი უნარიც გააჩნია. იგი უბადლო პედაგოგია. ვისაც თუნდაც ერთხელ მაინც მოუსმენია მისი ლექცია, იგი ისე აღფრთოვანებულია მისი სიტყვის ძალით, რომ ამის კვალი მის ცნობიერებაში შემდეგშიც აღარ წაშლილა. ამით აიხსნება, რომ მისი ერთ-ერთი სტუდენტი ს. ისიანი ბრძოლის ველიდანაც კი იწერებოდა: ამ გრიგალის დროს ხშირად ვხედავდი ვარლამ თოფურიას თმის ვერცხლსო.

ახლა ეს თმები პირველ, უმტვერო თოვლივით თეთრია 40 წლის დაძაბული შემოქმედებითი შრომის შედეგად.

პროფ. ვ. თოფურია 110 შრომის ავტორია. ყოველ მის გამოკვლევაში ბრწყინვალე ნიჭთან ერთად ხელშესახებად იგრძნობა თანმიმდევრობა და ისტორიული პერსპექტივა, ფაქტების დადგენისა და ანალიზისას მკაცრი მომთხოვნელობა და სიზუსტე, კრიტიკული ალლო და არგუმენტაციის დიდი ძალა.

მეტად ფართოა მეცნიერის საკვლევ პრობლემათა წრე. იგი იკვლევს ზოგადი ენათმეცნიერების, ქართულისა და ქართულის მოძმე სვანურისა და ზანურის, მთის იბერიულ-კავკასიური ენებისა და მათი დიალექტების გრამატიკული წყობის, ლექსიკისა და ისტორიის საკითხებს. არ ივიწყებს ენობრივი მშენებლობისა და ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საკითხებსაც.

პროფ. ვ. თოფურიას მონოგრაფიამ სვანურ ზმნაზე მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართულის მონათესავე ენების მეცნიერულ შესწავლას, ხოლო მისმა დიალექტოლოგიურმა გამოკვლევებმა – ისტორიულ-დიალექტოლოგიურ ძიებას.

მეტად ფასეულია პროფ. ვ. თოფურიას გამოკვლევები ერთ-ერთი მთის იბერიულ-კავკასიური ენის - ლაკურის შესახებ, ასევე ქართველური ენების ფონეტიკისა და სიტყვანარმოების საკითხებზე.

დიდი პროფესორის ღვანლი სალიტერატურო ქართულის სადავო საკითხების მონესრიგებისა და ნორმების უნიფიკაციის საქმეშიც. მისი „ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი“ და მისი თანაავტორობით გამოსული ორთოგრაფიული ლექსიკონი ყველა განათლებული ქართველის სამაგიდო წიგნად იქცა.

მან დიდი შრომა გასწია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზედაც“. მისი რედაქტორობით გამოვიდა ამ ლექსიკონის III ტომი.

პროფ. ვ. თოფურია პროფესორ ს. ყაუხჩიშვილთან ერთად ავტორია რუსულ-ქართული ლექსიკონისა, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა და დაახლოებით 17.800 სიტყვას შეიცავს.

პროფ. ვ. თოფურიას თანაავტორობითვე გამოიცა ბესიკი, სვანური პოეზია, სვანური ენის ბალსზემოური და ბალსქვემოური კილოკავების პროზაული ტექსტები, „ქართული დიალექტოლოგია“.

მეცნიერმა დიდი ამაგი დასდო სკოლებსაც არა მარტო სახელმძღვანელოების განხილვითა და რეცენზირებით, არამედ მეთოდური ხასიათის სპეციალური წერილებითა და კადრების მომზადებით. პროფ. ვ. თოფურიამ პირველმა წაიკითხა ქართული ენის სწავლების მეთოდის კურსი, აღზარდა ამ საგნის მეთოდისტთა პირველი თაობა და ახლაც წამძლოლი მეცნიერია ამ დარგში.

პროფესორის „ქართული წერის დედანით“ იწყებენ პატარები ქართული ენის ასოთა მოყვანილობის შესწავლას.

ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ სანიმუშოდ შედგენილ „ქართული ენის განაკვეთებს“, კომუნისტური უნივერსიტეტის დაუსწრებელი სექტორის სტუდენტთათვის - „ქართული ენის“ სახელმძღვანელოს, ხოლო ქართველ ჯარისკაცთათვის მისი თანაავტორობით გამოცემულ „რუსული ენის თვითმასწავლებელს ქართველ წითელარმიელთათვის“.

აკადემიკოსმა ვ. თოფურამ დიდი ღვაწლი დასდო არა მარტო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს, სადაც იგი წლების მანძილზე ქართველურ ენათა განყოფილებას ხელმძღვანელობდა, არა მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც ახალი ქართული ენის კათედრას განაგებს, არამედ ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაფუძნებასა და განვითარებასაც. აქ იგი 1933 წლიდან 1938 წლამდე ქართული ენის კათედრას ხელმძღვანელობდა და მის მიერ შექმნილი ტრადიციების საფუძველზე ეს კათედრა შეძლებისდაგვარად ცდილობს განაგრძოს მუშაობა ამჟამადაც.

პროფ. ვ. თოფურიას დაზრდილები, რომელთაგანაც იგი საფუძვლიან მომზადებასა და ფართო განათლებასთან ერთად მისაბამ მეცნიერულ სინდისსაც მოითხოვს, სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ენევიან სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში და, ვფიქრობთ, არასოდეს შეარცხვენენ ძვირფასი მასწავლებლის ნათელ სახელს.

ისე დიდია პროფ. ვ. თოფურიას ნაღვაწი, რომ დიდებასა და ღირსებას ერისას სწორედ მისებრი კაცის საწყაოთი წყავს ადამიანი.

მისი ცხოვრების 65 წლის თავზე ვუსურვოთ ჩვენს სასიქადულო მეცნიერს, რომ ბედნიერი სიცოცხლით იცოცხლოს დიდხანს, ძალიან დიდხანს, რათა კვლავაც მისებურად უანგარო გატაცებითა და განუზომელი სიყვარულით იღვანოს ქართული კულტურისა და ქართული ენის სადიდებლად.

გაზ. „ქუთაისი“, 1966, 9.1

შენიშვნა: ქ.ძონენიძემ ვ. თოფურიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერა გამოსათხოვარი წერილი „ვარლამ თოფურია (მასწავლებლის ხსოვნას)“, რომელიც ნეკროლოგის სახით დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში“ (1966, 28 აგვისტო).

ძვირფასო თამარ!

თქვენმა წერილმა ბევრი გვატირა. ყველგან ჩამესმოდა სიტყვები „თქვენთან ყოფნის ბედნიერი ახალი წელი დაგვეკვებოს“ და მოსვენებას ვკარგავდი. ბუჭასთანაც კი არ წავსულვარ.

გული არ მიშვებდა. რას ვიფიქრებდი, რომ შარშანდელი ბედნიე-რი ახალი წელი ასეთ უბედურებას მოიტანდა.

შარშან, 7 იანვარს, თქვენ რომ გაგაცილეთ, დაკვეთა მქონდა და მთელი ღამე გავათენე ბატონ ვარლამზე წერილი რომ დამეწერა. მინდოდა მთელი ჩემი სიყვარული გამომეხატა იმ წერილში ამ არაჩვეულებრივად დიდი ადამიანის მიმართ. ვწერდი და ვჯავრობდი, ავადმყოფი რად გავუშვი-მეთქი. მერე თქვენ დარეკეთ, მეორე დღესვე. კარგად ჩავედითო. გავიხარეთ ორივემ.

წელს 7 იანვარს ვერ ვისვენებდი, ვერაფერს ვაკეთებდი. საღამოს ანტონი მოვარდა, ხვალ ბატონი ვარლამის სოფელში მივდივართო.

ისე მოულოდნელად მოვიდა და წავიდა, ორივე დავიბენით. ისიც ვერ ვიკითხე, რომელი საათისათვის უნდა ჩავსულიყავით.

მთელმა სოფელმა თავისი სიტბო და პირუთვნელი სიყვარული გამოხატა ბ-ნი ვარლამისადმი. ყველაფერი იყო უანგარო, როგორც ბატონ ვარლამს და მის უკვდავებას შეშვებოდა.

ქუთაისში იყო ბატონი არნოლდი სადეპუტატო საქმეზე. სულ ბატონ ვარლამზე ვლაპარაკობდით. დათომ მისი ხსოვნის სადღეგრძელო რომ დალია, ბატონი არნოლდი აქვითინდა, ადგა და მეორე ოთახში გავიდა... რა სამწუხაროა, რომ ასეთი მეგობრები დააცილა ულმობელმა სიკვდილმა!

იცოდეთ, ჩვენს ოჯახში უყვარხართ ყველას, ყველას. თქვენ წერილზე ბუჭამ სულ ცრემლები ღვარა. ჩვენი სურვილია იყოთ კარგად, კარგად თუნდაც შვილებისა და შვილიშვილებისათვის. რა კარგი შვილები გყავთ, რა კარგი სიძე და შვილიშვილები. ნუთუ არ იცით, დედა რა ძვირფასია შვილებისათვის, თქვენი ზრუნვა მათ ყოველთვის სჭირდება. გამოიჩინეთ სულიერი ძალა, გამაგრდით. ყველა გთხოვთ ამას...

შენიშვნა: ქეთევანის ბარათი უთარილოა, ივარაუდება, რომ იგი დაწერილი უნდა იყოს დაახლ. 1966 წლის სექტემბერში, ბ-ნი ვარლამის გარდაცვალების შემდეგ, მისი მეუღლის თამარ ლეჟავას წერილის საპასუხოდ.

დეპეშა (1950)

ძლიერ გამახარა თქვენმა მოლოცვამ. მიიღეთ სალამი და კეთილი სურვილები თქვენი წარმატებისათვის.

გიორგი ახვლედიანი

დეპეშა (1950)

გილოცავთ სამეცნიერო ხარისხის მიღებას. გისურვებთ შემდგომ წინსვლას.

თინა და ანგია ბოჭორიშვილები

შენიშვნა: ქეთევან ძონენიძის არქივში დაცულია **მზექალა შანიძის** (ბ-ნი აკაკის ქალიშვილის) წერილები ქეთევანისადმი. საკმაოდ მოზრდილი ბარათებით მზექალა ქუთაისელ მეგობარს ესაუბრება მისი სტუდენტური ცხოვრების შესახებ, ზოგჯერ სამომავლო გეგმების თაობაზე რჩევასაც სთხოვს (ამონარიდი ერთ-ერთი წერილიდან):

ძვირფასო ქეთო!

...ძალიან გთხოვ შენი აზრი მომწერო და მირჩიო რამე (სამომავლო პროფესიად ენათმეცნიერება აირჩიოს, თუ ლიტერატურა – ჟ.ფ.). ვიცი, რომ შენ ყოველთვის ისეთ რაიმეს მირჩევ, რაც ჩემთვის კარგი იქნება. მართალია, შენ ენათმეცნიერი ხარ, მაგრამ ამ მეცნიერებამ ვერ მოახერხა შენი გულის გამოშრობა და მასთან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შენი რჩევა ეგოისტური იყოს. იცოდე, რომ შენს პასუხს მოუთმენლად მოველი. მოიწერე ის, რასაც გირჩევს გული და ჩვენი მეგობრობა გიკარნახებს...

მზექალა შანიძე

14.X.1944

თბილისი

ლევან გოთუა

ქ-ნო ქეთევან!

დიდ მადლობას მოგიძღვნით ასეთ შინაარსიან ნერილი-სათვის. ბოდიშს ვიხდი რომ ხელახლად გაგსარჯეთ (თუ დაგსა-ჯეთ?) და ჩემი წიგნი მეორედ წასაკითხავად გაგიხადეთ.

თქვენ პირდაპირ ფილოლოგიური კვლევა გაგიწევიათ ჩემ „გმირთა ვარამზე“ და მის, როგორც თქვენ ლმობიერად აღნიშ-ნავთ, „სალიტერატურო ენის ნორმებისაგან გადახვევებზე“.

თქვენი შენიშვნები – ბევრ შემთხვევაში – მართებულად მი-მაჩნია. შემდეგ წიგნებში და გამოცემებში უსათუოდ გამოვიყენებ.

ნეტავ ყველა თქვენისთანა მკითხველი მყავდეს, მაშინ მეც ალბათ უკეთესად დავწერდი. თუმცა ნორმების დაურღვევლო-ბას ვერც მაშინ შეგპირდებოდი.

მე მირჩევნია ენის სტიქიაში ყოფნა, მისი განვითარების ტენდენციების ძიება და შემოქმედებითი დაუდგრომლობა, ვიდ-რე მისი გრამატიკული ფორმებისა და ნორმების სრული სიზუს-ტე და ცივი, გაყინული უმცდარობა.

ქართველი მწერალი, რომლისთვისაც ენის პრობლემა არ არ-სებობს, ჩემი აზრით, არც ქართველია, არც მწერალი და უკეთეს შემთხვევაში, ჰგავს იმ თერძს, რომელიც ძველ სამოსიდან, უკვე მოცვეთილ ნაჭრებიდან – ახალ ჩოხის შეკერვას ლამობს. მაგრამ ახლის ძიებაში დიდი ტაქტისა და ზომის გრძნობა არის საჭირო, რომ უკიდურესობაში და ხელოვნურობაში არ ჩავარდეს სასიკე-თოდ მოქნეული კალამი. სადღაც აქ ვგონებ მეც ვცოდავ, მაგრამ ყველაფერს დრო და ერის სიბრძნე გაცხრილავს... ჰოდა ათში – ერ-თი სიტყვა, ფორმა თუ ახალი კომპოზიტი რომ დარჩეს ჩემ მონაგა-რიდან – მე ჩემი ცდა გამართლებულად ჩამეთვლება.

ამას იმიტომ კი არ გწერთ, რომ თქვენ მედავებით – არა-მედ იმიტომ, რომ სხვები უმართებულოდ მიყიჟინებენ.

მე ვცდილობ ყოველი ჩემი სიახლე ქართული ენის ბუნები-დან გამოვიყვანო... თითქმის ყველას – პარალელური მსგავსი ფორმები მოენახება საფუძვლად, მაგრამ ეს ყოველივე სტიქიუ-რი, ინტუიციური შემოქმედების ნაყოფია და არა ზუსტ მეცნიე-

რული კვლევის შედეგი. ამიტომ ალბათ საჭირო სიზუსტე და სისტემურობა ამთავითვე აკლია. მაგრამ ეს თქვენი – ენათმეცნიერების საჭირისუფლოა... მე კი ჩემი ისედაც მძიმე და არეულ-ჩარეული ხურჯინები მეყოფა საზიდრად.

მაინც შევეხები ზოგიერთ ფორმას.

— ვცდილობ ვიხმარო ლაპიდარული — კვეციითი ფორმა („ი“ დაბოლოების მოკვეცა).

ვფიქრობ აქეთ აქვს მიდრეკილება ქართულ ენას. ეს ილიასაც აქვს.

— ვხმარობ – ნაბდოსანს, რადგან იხმარება – ჩოხოსანი.

ვხმარობ – ულვაშოსანს, რადგან იხმარება წვეროსანი.

— ვხმარობ – ქორწილიონს, ელჩიონს, ერიონს — რადგან იხმარება – საყდრიონი, დროშიონი, მეფიონი.

თქვენ მართალი ბრძანდებით – კომპოზიტები მე ქართული ენის განვითარების უშრეტ წყაროდ მიმაჩნია. ამას მივაგენ, მაგრამ დამწერლობის მხრივ სისტემაში ჯერ ვერ მოვიყვანე. ხან დეფიზიტა ვწერ — წარმომავლობის ნათელსაყოფად... ხან კი დეფიზი უკვე მეკარგება.

ნიშანდობლივია რომ ძველ კომპოზიტებსაც, ჩემს გარემეც — ასეთივე დეფიზ-უდეფიზობის გზა აქეთ გავლილი.

თქვენი თქმისა არ იყოს — ზოგ ჩემ კომპოზიტს „ხელოვნურობის“ იერი მაინც დაჰკრავს. ცოტაც ვაცალოთ და ან მე გავცხრილავ, ან თქვენ (კეთილი მკითხველი) მიეჩვევით.

ვგრძნობ კია რომ ცოტა ჭარბად მომდის. ამის გამო აქ ზოგმა „კომპოზიტორიც“ კი მიწოდა.

ხოლო ჩემი ბევრი კომპოზიტი რომ ბუნებრივია, ეს იქიდანაც ჩანს, რომ თქვენ მათ ჩემად სთვლით, ნამდვილად კი ძველ-ქართულია. მაგალითად ნარდიბაზრობა, ქვაჯვარი, ველკეთილი (ადგილი ხევსურეთში). თუ კანონიერია – გულკეთილი, ცხენკეთილი – კანონზომიერია – ბერკეთილიც და ბერდიდიც.

თუ კანონიერია — ახალკაცი (გვარია), ან ახალბედა — კანონზომიერია — ახალბერიც, ახალმონაფეც, ძნელსაქმეც და ა.შ.

აგრეთვე სავსებით მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს „დიალექტურ წარმომავლობის“ ლექსიკური მასალის გონივრუ-

ლი გამოყენებაც. ისევე როგორც – არქაული, ჩემი ტერმინოლოგიით ძველკოზურა სიტყვების გაცოცხლებაც.

ზოგი თქვენ მიერ შემჩნეული უსწორობა – აშკარა შეცდომაა... ჩემიცა და კორექტორისაც.

თქვენი კეთილი სურვილი და საქმიანი მითითებანი უთუოდ უანგარო ხელის მომართვაა — ნუგეშიც და გაფრთხილებაც.

მე ახლა უფრო მედგრად შევებრძოლები სიტყვებს...

თქვენ კი გთხოვთ – ნუ მომაკლებთ ასეთსა და თუ საჭირო იქნება უფრო მკაცრ შენიშვნებსაც.

თქვენი პატივისმცემელი ლ. გოთუა

15.III.59. დედაქალაქი

პატივცემულო მწერალო!

დიდ ბოდიშს გიხდით, რომ თქვენი წერილის პასუხი ძალიან დავაგვიანე. ამას ჰქონდა თავისი მიზეზები, მაგრამ ახლა ამაზე წერა საჭირო არ არის.

თქვენ მთხოვდით, მიმეთითებინა „გმირთა ვარამის“ ენაში სალიტერატურო ენის ნორმებისაგან გადახვევებზე, რომელთა შესახებ გწერდით. ამ მიზნით კიდევ გადავაველი თვალი თქვენს რომანს.

ხშირია, ნაიკითხავ რომელიმე ნაწარმოებს, მოგეწონება, ხელმეორედ გადაიკითხავ და გაგიკვირდება, მის მხატვრულ უნიუბობას რომ დაინახავ „გმირთა ვარამის“ ფერადები კი გადაკითხვით კიდევ უფრო აელვარდნენ. მე მწამს, მათ ვერც ვერასოდეს გააფერმკრთალებს დროთა ავდარი.

თქვენ ქებაზე უფრო შენიშვნები გაინტერესებთ?

თქვენ გაქვთ ქართული ენის ბუნების შეგრძნების ისეთი განსაცვიფრებელი ალლო, რომ საწყენია ის შენიშვნები, რომელიც ოფიციალურმა კრიტიკამ თქვენი წიგნის ენის შესახებ აღნიშნა. რა უბადრუკიც უნდა იყოს ეს შენიშვნები თქვენი წიგნის უზარმაზარ ღირსებასთან შედარებით, შემდგომი მუშაობისას ზოგიერთი მათგანი მაინც ასე თუ ისე გასათვალისწინებელია.

თქვენ რომ განერიდოთ გაცვეთილი სიტყვებისა და შაბლონად ქცეული ფორმების ხმარებას, ზოგჯერ ისეთ წარმოებას

მიმართავთ, რაც თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმებისაგან გადახვევად ჩანს.

ჩემი აზრით, როგორც ამის შესახებ გწერდით, ეს გადახვევები ძირითადად თავს იჩენს მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების, სიტყვათა წარმოების, კომპოზიტებისა და ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის გამოყენებისას.

1. საზღვრულის წინამავალი თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი ნათესაობითსა და მოქმედებითში სრულიად მოკვეცილი დაბოლოებით იხმარება: მთავარ ტაძრის (8), დიდ ომის (33), თეთრ დოლბანდის (37), მის მეფის (218), ორ მამის (346), მთავარი საფარისკენ (143)...

შერბილებულ სიმკაცრით (21), აფორიაქებულ გრძნობით (104), აკვიატებულ აზრით (188), შეცივებულ ბაგეებით (215), ძველ კვალიდან (71)...

ამგვარ წარმოებას ჩვენ ილიას ენაში არცთუ იშვიათად ვხვდებით სრული დაბოლოებიანი მსაზღვრელის გვერდით.

დღევანდელი ქართულისათვის ასეთ შემთხვევაში მოქმედი ნორმაა მსაზღვრელი ნაწილობრივ მოკვეცილი დაბოლოებით (თეთრი დოლბანდის, ჩემი მეფის, აკვიატებული აზრით...).

მსაზღვრელს დაბოლოება მოკვეცილი აქვს სხვა ბრუნვებშიც: ერთი რუს გუშაგი (288), ჟუჟუნ ქეთო (677), ქრისტიან სარდალს (218).

2. ყოველი სანარმოქმნო აფიქსი თავისი ზუსტი მნიშვნელობით არის გამოყენებული, მაგრამ გვხვდება ისეთ ქართულ ძირებთანაც, რომლებთანაც სალიტერატურო ენაში არ იხმარება: თოვლის ფიფქული (119); საბუთიერი საბუთი (121); ნამეორევი ამო ძახილი (250)... ნაბდოსანი (246), თეთრკაბოსანი (137), ძველ გვაროსანი (414), უღვაშოსანი (517)...

პარალელურად ნახმარია ა სუფიქსიანი ფორმებიც, რომლებიც უფრო ბუნებრივია (უღვაშა, შაექობა სამოსიანი ასული (647)...

შენიშვნა: ეს მასალა ლეილა კვანტალიანის პუბლიკაციით დაიბეჭდა გაზეთში „ბურჯი ეროვნებისა“ (1997, №1). როგორც ჩანს, ქართული კულტურის ამ ორ დიდ მოამაგეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა შემდგომ ნლებშიც. დასტურად ვიმოწმებთ არქივში დაცულ ქეთევანის მეორე წერილს (მხოლოდ დასაწყისი ნაწილია შემორჩენილი).

პატივცემულო მწერალო!

დიდად გამდლობთ „გმირთა ვარამის“ მესამე ნაწილის გამოგზავნისათვის.

ალიოშას თქმით, თქვენ ამ წიგნის შესახებ ჩემი აზრი გაინტერესებთ. მე მგონია, ყველა ქართველი, რომელიც სხვისი სიკეთის გამო წუხილს არ გრძნობს, თავს მოიწონებს, რომ ჩვენს ქვეყანას ჰყავს თქვენებრ დიდი მწერალი, რომლის შემოქმედებას დედა-ძარღვად შეჰქმნია მშობელი ხალხისა და ქვეყნის პირუთვნელი სიყვარული.

ღრმა აზრი, დიდი გრძნობა, ცხოვრების საფუძვლიანი ცოდნა, მამულის გულწრფელი სიყვარული ისეთ უკვდავ სახეებში გაქვთ მოცემული, რომ მკითხველი თქვენ გმირებთან ერთად ხარობს, ღელავს, მტკივნეულობს და ზოგჯერ ტირის კიდეც, ერისა და მისი უკეთესი შვილების ვარამით გულშეძრული.

სიტყვათა წარმოებისა და კომპოზიტების მხრივაც ამ წიგნში მეტ ზომიერებას იჩენთ. მართალია, ვერ შელევხართ ამგვარად ნაწარმოებ სიტყვებს: საბუთიერი, ცხენკეთობა... მაგრამ მგონი, ჩვენ მკითხველები, შევეჩვიეთ მათ და ისე აღარ გვეჩოთირება... *(აქ მთავრდება წერილის შავი პირი)*

ს ს ვ ა დ ა ს ს ვ ა

ქეთევან ძონენიძე მთელი ცხოვრების მანძილზე ღირსეულად აგრძელებდა თავისი დიდი მასწავლებლების გზას სტუდენტებთან დამოკიდებულებაშიც: როგორც კი სტუდენტს შეამჩნევდა განსაკუთრებულ ნიჭიერებას, შრომისმოყვარეობას, მეცნიერული კვლევის მარცვალს, ყოველნაირად უწყობდა ხელს მისი სამომავლო საქმიანობის სწორად წარმართვას... იგი აქაც ხელმძღვანელობდა თავისი უფროსი კოლეგების პრინციპებით – მეცნიერებას სჭირდება მხოლოდ ნიჭიერი, შემოქმედებითად მოაზროვნე და საქმის სიყვარულით მთავგონებელი ადამიანი...

ვინ მოთვლის, რამდენ ახალგაზრდას უწილადა ქ-ნმა ქეთევანმა თავისი გულის სითბო, რამდენს გაუკვალა ცხოვრების გზა და თან გაატანა საგზლად მაღალი სულიერება, პრინციპულობა, მეცნიერული კეთილსინდისიერება და სისპეტაკე. ბევრმა შევირდმა გაამართლა მასწავლებლის ნდობა და ამაგი... ასეთ გამორჩეულ სტუ-

დენტოა შორის პირველ რიგში უნდა დასახელდეს ქართული ლინგვისტური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, უნიჭიერესი მკვლევარი **კორნელი დანელია**.

„მისი (კ. დანელიასი – ყ.ფ.) პირველი დიდი ბედნიერება იყო ღვთივ მომადლებული არაჩვეულებრივი ნიჭი, მაგრამ მარტო ნიჭით ფონს ვერავინ გავა, თუ მას სათანადო პირობებმა არ შეუნყო ხელი, კორნელი დანელიას ამ მხრივაც ბედი სწყალობდა. როცა ის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, იქ ქართული ენის კათედრას განაგებდა შესანიშნავი მეცნიერი და დიდებული პიროვნება ქეთევან ძონენიძე, რომელმაც დედობრივი მზრუნველობით გული გაუთბო სამეგრელოს პატარა სოფლიდან ჩამოსულ სრულიად უცნობ ყმანვილს. მისი რეკომენდაციით გახდა ის ჩვენი დიდი მეცნიერის აკაკი შანიძის ასპირანტი. ეს იყო უდიდესი ბედნიერება, რომელსაც კორნელი დანელია ყოველთვის დიდად აფასებდა და მადლიერებით აღნიშნავდა“.

(ამონარიდი გელათის მეცნიერებათა აკადემიის გამოსათხოვარი წერილიდან: „ლიტერატ. საქართველო“, 1997).

შენიშვნა: ქეთევან ძონენიძის არქივში ინახება ბ-ნი კორნელის წერილები, რომელთა მცირე ნაწილი დაიბეჭდა გაზეთში „ბურჯი ეროვნებისა“ (1997, №10) ლეილა კვანტალიანის პუბლიკაციით. სამწუხაროდ, არქივში არაა დაცული ქ-ნი ქეთევანის საპასუხო ერთი წერილიც კი, გარდა მისალოცი დეპეშისა. მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა და მცდელობისა, ვერ მოხერხდა ამ ბარათების მოძიება. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ ქ-ნი ქეთევანის დეპეშას და ბატონი კორნელის ერთ წერილს.

დეპეშა

თბილისი, ბალანჩივაძის 29
კუჭუჭი დანელიას

თუ ვინმეს გულწრფელად ახარებს შენი კარგი, მათ შორის მეც მიგულებ.

დიდხანია ველოდი 23 თებერვალს, რომ მთელი გულით მომელოცა შენთვის გამარჯვება, მაგრამ ავადმყოფობამ დამიჯაბნა და ეს წადილიც ვერ შევისრულე. მხნედ იყავი!

შენი ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა შენი დიდი მომავლის საწინდარია.

მაგრად გართმევ ხელს და ვინატრი შენთვის ყველაფერ კარგს, რაც კია ამ ქვეყნად.

ქეთევან ძონენიძე

1966 წლის 23 თებერვალი

ძვირფასო აღმზრდელი ქეთევან

როგორ გამახარეთ მოლოცვით, როგორ!.. თქვენმა უაღრესად თბილმა და გრძნობიერმა სიტყვებმა სიხარული გამოორკეცეს, ფრთები შემასხეს, გამამხნევეს. როგორი ყურადღებია-ნი, გულისხმიერი და სათუთი გრძნობისა ხართ, ძვირფასო! მადლობელი ვარ, გულითადად მადლობელი ყველაფრისათვის, რაც დღემდე გაგიკეთებიათ ჩემთვის. თქვენ ჩემთვის ყოველთვის დარჩებით არა მარტო პირველ მასწავლებლად, არამედ იდეალური ადამიანის ცოცხალ ნიმუშად. მინდა ჯანმრთელობა გისურვოთ და დიდი სიხარული ცხოვრებაში.

ძვირფასო ქეთევან, ვერ წარმოიდგენთ, როგორ მწარედ მეტკინა გული, თქვენი ავადმყოფობა რომ გავიგე, თქვენს დეპეშას რამდენჯერაც წავიკითხავდი, იმდენჯერ ტკივილით მეკუშმებოდა გული და თვალები მისველდებოდა... არც ბუნებაში ყოფილა სამართალი, თორემ თქვენთან ავადმყოფობას რა უნდა. ძალიან გთხოვთ, უფრო მოუაროთ თავს, მეტად გაუფრთხილდეთ ჯანმრთელობას. ეს მარტო ჩემი კი არა, ყველა თქვენი ნაცნობის სურვილია.

მე ყოველთვის ვეცდები, რომ ჩემი საქმიანობით გაგახაროთ და გული არ გატკინოთ. ჩემთვის უდიდესი ჯილდო იყო, როცა ბატონმა აკაკიმ ბანკეტზე განაცხადა: ეს კაცი მე ქუთაისიდან ჩამოვიყვანე, ვენდე ქეთევან ძონენიძეს და მიხარია, რომ არცერთი არ შემეცდარვართო.

მე ქებას არასოდეს დავუმშვიდებივარ და ვეცდები მომავალშიც მეტი გავაკეთო. არ მინდა, გაგიმტყუნოთ იმედი თქვენ და აკაკის, რომლებიც უფრო მეტი წარმოდგენისა ხართ ჩემზე,

ვიდრე სინამდვილეში ვარ. ბატონმა აკაკიმ განაცხადა, რომ მე შემძლია მძიმე ტვირთის აწევა მეცნიერებაში. განა ეს უდიდესი დავალება არ არის ჩემთვის? ან ნაადრევი არ არის, რომ სადოქტორო თემა მომცა? სირიული წყაროებით მომამარაგა და უკანასკნელი კაცი უნდა ვიყო, რომ სირიული არ ვისწავლო. ზოგჯერ მეშინია, რომ ყველაფერი ეს ვერ შევძლო, თუმცა უკან დასახევი გზაც არ არის. ვნახოთ ჩემი დიდი სურვილია, რომ ორივე გაგახაროთ რამე კარგით.

რამდენი რამე მინდა მოგწეროთ, მაგრამ თავს არ შეგანყენთ. ვიმედოვნებ, რომ განახავთ მალე.

გისურვებთ ჯანმრთელობასა და სიხარულს!

გულწრფელი პატივისცემითა და სიყვარულით კუჭუჭი

P.S. ძვირფასო ქეთევან, უაღრესად მადლობელი ვარ, რომ დისერტაციას ოფიციალურად გამოეხმაურეთ. ესეც თქვენი ყურადღებისა და გულისხმიერების დადასტურებაა.

2.III. 1966

იროდი!

გულითადი სალამი!

სხვა დროს იქნებ არ მომენერა, მაგრამ ახლა კი გწერთ. გწერთ, რადგან ვიცი, თქვენებრ ქარიშხალგამოვლილისათვის შორეული ნაცნობის წერილსაც კი სიამოვნება მოაქვს.

მჯერა, გქონდათ სადარდებელი, მაგრამ სასონარკვეთილებას მაინც არ უნდა მიეცეთ.

ხომ იცით, რომ თქვენ მართალი ხართ? ხომ იცით, რომ გინდოდათ თქვენს სამუშაო უბანზე ყველაფერი ყოფილიყო უფრო ლამაზი, სუფთა და ნათელი? ერთი სიტყვით, უკეთესი? და რომ ამ უკეთესს აშენებდით ქაბუკური გატაცებით, უძილო დამეების მსხვერპლით, პატიოსანი და თავდადებული შრომით? ხომ იცით, რომ ანგარება არ გამოქმედებდათ? მაშ, დროებითმა მარცხმა რად უნდა დაგაკარგვინოს რწმენა?!

რამდენს უგრძვნია დამსხვრეული ოცნებისა და განადგურებული იმედების სუსხი, მაგრამ „გული მაინც გულადვე რჩებოდათ“, რადგან იცოდნენ, რომ მართალი იყვნენ.

მე თქვენში ყოველთვის ვხედავდი ადამიანს, რომელმაც ბრძოლაც იცის და ოცნებაც და ასეთი მინდა იყოთ ახლაც...

თქვენზე ამბობდნენ, პირქუშიაო, მაგრამ მე ეს არ მჯერა. მე რომ დარწმუნებული არ ვიყო, გარეგნული პირქუშობის იქით იმალება კარგი გული, რომელსაც უყვარს ადამიანი და მისთვის სიკეთე უნდა, თქვენს სახელსაც არ ვახსენებდი. გულს ნუ გაიტყბობ!!!

ნუ შეგანუხებთ, რომ ბევრი მოჩვენებითი მეგობარი ჩამოგცილდათ. რად უნდა გაგიკვირდეთ ეს?! თქვენს გვერდითაც იყვნენ კარიერის მაძიებელი ქამელეონები, რომლებმაც გაჭირვების ჟამს მიგატოვეს, ასე ხდება ყოველთვის, და იყვნენ კარგი ადამიანებიც, რომლებსაც თქვენი თანამდებობა კი არ იზიდავდათ, თქვენს პიროვნებას აფასებდნენ მხოლოდ. ისინი, ეს კარგი ადამიანები, ყოველთვის ეცდებიან გამხსნევდეთ და კარგად იყოთ თქვენ...

ამ წერილს ცემიდან გწერთ. აქ ვისვენებ ჩემი ძმის ოჯახში, თვითონ ძმა თბილისშია. ლაჟვარდოვანი ცა, ფიჭვისა და ნაძვის სურნელოვანი ტევრები, ოქროსფერი პურის ყანები და ჩემი ძმისშვილების უცოდველი ბავშვობა გულს მიტკბობს და სულიერად ვისვენებ. ადამიანთა გაუტანლობასა და ჭორებს ცოტა ხნით მაინც მოვშორდი.

იყავით სულ, სულ, სულ კარგად, მხნედ და ყოჩაღად!

ქეთო ძონენიძე
დიდი ცემი, 6.VIII.53

სალამი ქეთო!

... მეორე თვეა, რაც თქვენს დანახვას ველოდებით. ჩვენი ინსტიტუტის ცა უთქვენოდ უმზეოდ გამოიყურება. მხოლოდ დაგვიანებით გავიგე... რომ თურმე წევხართ კლინიკაში. ძლიერ მენყინა.

სჯობია მალე ჩამოხვიდეთ. თქვენს ჩვეულებრივ გარემოში უკეთ გახდებით. მერე ნუთუ ასე ადვილად ამდენი ხნით დაგვთმეთ

და მიგვატოვებო? თქვენი ძველი მეგობრები? სიმართლეს გეტყვით, მზის შუქივით იქნება თქვენი გამოჩენა ჩვენთან.

... მაგრამ მეორე და უკეთესი გზა: ჩემი აზრი ხომ იცით – გეყოფათ ქუთაისში მუშაობა. კარგი შემთხვევაა გაქვთ, გადადით თბილისში სამუშაოდ, ნინსვლისათვის, რასაკვირველია.

... ჩემო ქეთო, გისურვებთ მალე განთავისუფლებას მედიცინის ბრჭყალებისაგან და ჩვენთან დაბრუნებას. იცოდეთ, ჩვენი დირექციისათვის პირში მართლის მთქმელი არავინ არის. საჭირო ხართ.

მიიღეთ ქსენიასა და ჩემგან უგულითადესი სალამი და ჯანმრთელად ყოფნის სურვილი.

თქვენი გოგი კოკოჩაშვილი

6.III. 1960

ქუთაისი

ძვირფასო ქეთო!

... შენს მოგონებასთან ერთად ხშირად მახსენდება ჩვენი ყრმობის უმნიშვნლო შეხედულებანი ცხოვრებაზე, მომავალზე და მწარედ მელღობა.

ცხოვრების სინამდვილემ, რომელიც მართლაც ყველაზე უდიდესი სკოლაა ადამიანისათვის, დაადასტურა, რომ იდეალური არაფერია. მემარცხენეობის საყმანვილო სენი გააქარწყლა ცხოვრებამ, 30 წელზე მეტი ხნის დაკვირვებამ ადამიანებსა და მოვლენებზე.

... მაინც ნათელ მოგონებად დარჩა ჩვენს პერიოდში ლენინური კომკავშირის რიგებში ყოფნის და განსაკუთრებით პედაგოგიურ ტექნიკუმში სწავლის პერიოდი.

... შენზე გული მწყდება, რომ აქამდე არ გვალღირსე სამეცნიერო დარგში შემდგომი წინსვლა. შენი ნიჭის მქონე ქალი ნამდვილად დოქტორი უნდა იყოს. გეხვეწები, ყველაფერს სხვას თავი დაანებე, გარდა შრომაზე მუშაობისა და შედეგიც იქნება ბრწყინვალე. იმედია ამას პირფერობად არ მიიღებ.

სიყვარულით მომიკითხე ყველა თქვენები...

ელ. ჭანტურია

21.XI.1961

სალამი ქეთო!

ჯერ ბოდიში უნდა მოვიხადო ამ პატარა ბარათის დაგვიანებით გამოგზავნის გამო. შემდეგ, თუ ნებას მომცემ, მინდა გულწრფელად მოგილოცო ცოცხალი, მაგრამ მომაკვდავი ადამიანისათვის აუცილებლად საჭირო ნაბიჯის გადადგმა, რომ ხანგრძლივი შინაგანი წინააღმდეგობებისა და ეჭვების შემდეგ მაინც დაქორწინება ამჯობინე. და ბოლოს კიდევ ერთს გისურვებ – მალე გადმოხვიდე თბილისში და შენს ხალას ნიქს გაცილებით მეტშედეგიანი გამოყენება მისცე.

იყავი სულ კარგად და კარგად.

შენი კეთილისმსურველი გრ. დევდარიანი

16.I. 63

კარგო ქეთო!

გილოცავ ქალთა საერთაშორისო დღეს!

იბედნიერეთ თქვენი ძვირფასი მეუღლით.

თქვენთვის ჩვეული ენერგიით მრავალ ათეულ წელს ნერგეთ ქართული ენის სიტკბოება.

ნინო კუბლაშვილი

ქუთაისი, 7.III.64

დიდად პატივცემულო ქ-ნო ქეთევან!

მივიღე თქვენი დეპეშა, რამაც ძალიან გამახარა. უღრმეს მადლობას მოგახსენებთ გულწრფელი მოლოცვისა და კეთილი სურვილებისათვის. დიდად დავალებული ვარ განსაკუთრებით პირადად თქვენგან და აგრეთვე კათედრის წევრებისაგან მეგობრული მხარდაჭერისა და ჩემი ნაშრომის მაღალი შეფასებისთვის.

შორს არ არის ის დღეც, როცა მეც მომეცემა შესაძლებლობა ასევე გულითადად მოგილოცოთ უმაღლესი სამეცნიერო ხარისხის მოპოვება.

გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერებას და დიდ წარმატებას.

მარად თქვენი კეთილისმსურველი არამ მარტიროსოვი

17.V.1965

თბილისი

* * *

ქეთევან ძონენიძე სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის გარდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა: კითხულობდა ლექციებს საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალში, დიასახლისთა კულტურის უნივერსიტეტში; სამაგალითოდ მუშაობდა როგორც განათლების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე; იყო ქუთაისის საქალაქო საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი.

ქ-ნი ქეთევანი აქტიურად მონაწილეობდა საქალაქო, რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო კულტურულ-სამეცნიერო ღონისძიებებში. იგი პირადად იცნობდა უცხოეთის კულტურის ზოგიერთ მოღვაწეს, საზღვარგარეთელ ქართველოლოგებს: ი. ფუკუროს, რ. ლაფონს, გ. პერს, კ.ჰ. შმიდტს, ი. ასფალგს...



1969 წელი **ცხოვრების დღისი**

ქეთევან ძონენიძე გარდაიცვალა 4 სექტემბერს... სამუდამოდ დატოვა სამზეო, მშობლიური ქალაქი...

ქუთაისი, პედაგოგიური ინსტიტუტი, სამეცნიერო წრეები, მთელი საზოგადოება უსაზღვრო მწუხარებით გამოეთხოვა თავის საუკეთესო წევრს, გამორჩეულ პიროვნებასა და თვალსაჩინო მეცნიერს... იმ დღეებში ბევრი გამოსათხოვარი სიტყვა ითქვა, პრესაში დაიბეჭდა ნეკროლოგები, მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი წერილები.

ქეთევან ძონენიძე (ნეკროლოგი)

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ქეთევან სამსონის ასული ძონენიძე.

ქეთევან ძონენიძე დაიბადა 1916 წლის 23 დეკემბერს ქალაქ ქუთაისში. 1933 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ტექნიკუმი და შევიდა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1937 წელს. შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში აკადემიკოსების ა. შანიძისა და ვ. თოფურიას ხელმძღვანელობით.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჯერ უფროს მასწავლებლად, შემდეგ – კათედრის დოცენტად, ხოლო 1958 წლიდან ქართული ენის კათედრის გამგე იყო.

1950 წელს ქ. ძონენიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ქ. ძონენიძე სკკპ წევრი იყო 1946 წლიდან. რამდენჯერმე იყო არჩეული ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში ქ. ძონენიძე წარმატებით კითხულობდა ძველი და ახალი ქართული ენის კურსს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. მისი ლექციები გამოირჩეოდა შინაარსითა და მიმზიდველობით.

ქეთევან ძონენიძე ავტორია 35 სამეცნიერო შრომისა. რამდენიმე შრომა მიუძღვნა მან ძველი ქართული ენის საკვანძო საკითხებს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი დიალექტოლოგიური ძიება, რომლის შედეგები შეჯამებულია მონოგრაფიულ გამოკვლევაში „იმერული კილო (გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი)“. ეს ნაშრომი სხვა ამ თემაზე გამოქვეყნებული მონოგრაფიებისაგან გამოირჩევა სისრულითა და თანამიმდევრული დასკვნებით. ავტორს იგი გათვალისწინებული ჰქონდა სადოქტორო დისერტაციად.

ქ. ძონენიძე დიდად მომთხოვნი იყო თავისი თავისა და სხვების მიმართ. საფუძვლიანი ცოდნა, პასუხისმგებლობის გრძნობა, საქმისადმი სიყვარული, დიდი ნიჭი და ერუდიცია მას საშუალებას აძლევდა ყოფილიყო შესანიშნავი მკვლევარი, სანიმუშო ლექტორი და აღმზრდელი.

ქ. ძონენიძე აქტიურად მონაწილეობდა საკავშირო და რესპუბლიკურ სამეცნიერო სესიებში, იყო ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტისა და სხვა დაწესებულებების სამეცნიერო საბჭოს წევრი, ქმედით დახმარებას უწევდა ჩვენს სკოლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს.

ქ.ძონენიძე საქმის ერთგული იყო მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობაში. ყველას ხიბლავდა მისი პრინციპულობა და სიმტკიცე, მაღალი მოქალაქეობრიობა. იგი დაჯილდოვებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

გაზ. „კომუნისტი“, 1969, 7 სექტემბერი
(ნეკროლოგი იხ. აგრეთვე: გაზ. „ქუთაისი“, 1969, 6.IX).

აკაკი შანიძე

გულმართალი, სათნო და სპეციალი

ცოტა მყოლია ისეთი ნიჭიერი, შრომის მოყვარე და ენერგიული მონაფე, როგორც იყო ქუთაისის პედ. ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე, დოცენტი ქეთევან ძონენიძე, რომელსაც მისი სტუდენტობის დროიდან ვიცნობდი. იგი სწავლობდა ამავე ინსტიტუტში, რომელშიც მეც მქონდა ლექციები 1935-36 წლებში. ქეთევანი გამოირჩეოდა თავის ტოლ-ამხანაგ სტუდენტებში, ვერ მოვასწრებდი კითხვის დასრულებას, რომ სწორ პასუხს უმაღლვე შემომაგებებდა. პედ. ინსტიტუტის დასრულების შემდეგ იგი ჩემი ასპირანტი გახდა თბილისში და სადისერტაციო თემად აიღო “სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით”. ამისთვის მან რამდენიმე ხელნაწერის ტექსტი გადმოიწერა, რომელთაგანაც ერთი ქუთაისის მუზეუმს ეკუთვნის. დისერტაცია ჩინებული გამოვიდა. დაცვისას ოპონენტები იყვნენ ცნობილი მეცნიერები ვარლამ თოფურია და ილია აბულაძე. ამ ნაშრომმა მის ავტორს კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მოუპოვა.

ამის შემდეგ ქეთევანმა მიაშურა თავის საყვარელ პედაგოგიურ ინსტიტუტს ქუთაისში, სადაც იგი დიდი წარმატებით მოღვაწეობდა უკვე როგორც ახალ თაობათა აღმზრდელი. როგორც პედაგოგი, იგი იყო მომთხოვნი, პირუთვნელი, სამართლიანი და სტუდენტებს ყოველთვის ეტყობოდა მათი ხელმძღვანელის კეთილი გავლენა. იგი ძალიან უწყობდა ხელს ნიჭიერსა და მშრომელ სტუდენტებს, რომ დანიანაურებულები იყვნენ და მეცნიერთა რიგებში ჩამდგარიყვნენ.

პედაგოგიური მუშაობით დატვირთულ ქეთევან ძონენიძეს ცოტაღა რჩებოდა დრო სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის, მაგრამ მან მოასწრო, საკმაოდ ბევრი დაენერა და დაებეჭდა კიდევ. კვლევის საგნად მან აირჩია ძველი ქართული ენის ძეგლთა ენა და დიალექტოლოგიური საკითხები და თავის ნაშრომებს ბეჭდავდა თბილისსა და ქუთაისში. ძველი ქართული ენის ხაზით აღსანიშნავია მისი “ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში” (თბ. სახ. უნივ. შრო-

მები, ტ. 30-31, 1947) და “გან თანდებულნი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში” (იბ. – კავკ. ენათმეცნ., I, 1946).

ცოცხალ ქართულ კილოებს შორის საკვლევად ქ. ძონენიძემ აირჩია იმერული, უმთავრესად მაინც ზემო, თუმცა ქვემოურსაც უძღვნა ერთი გამოკვლევა (“უხუთური მეტყველება”: ქუთ. პედ. ინსტ. შრომ., ტ. 8, 1948). ზემო იმერულის თავისებურებათ მან რამდენიმე მნიშვნელოვანი წერილი უძღვნა და დაბეჭდა ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომებში; ასეთებია: “ევ სუფიქსისათვის ზემო იმერულ კილოკავში” (ტ. 10, 1951), “ზემო იმერული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი” (ტ. 22, 1960), “ზემო იმერული კილოკავი” (ტ. 23, 1961). იმავე სერიას ეკუთვნის აგრეთვე “უნიფიკაციის ტენდენციის მოქმედების ერთი ნიმუში ზემო იმერულში”, რომელიც დაიბეჭდა აკად. ვ. თოფურიასადმი მიძღვნილ კრებულში (იბ. – კავკ. ენათმეცნ. ტ. 14, 1964). აღსანიშნავია აგრეთვე მისი “არქაიზმები ი. ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებთა ენაში” (ქუთ. პედ. ინსტ. შრომები, ტ. 18, 1958).

ზემო იმერულის შესასწავლად ქეთევან ძონენიძე მრავალ სოფელში იყო და გულმოდგინედ და სიყვარულით კრებდა მდიდარ მასალას როგორც გრამატიკული წყობის შესახებ, ისე ლექსიკური ხასიათისას. ცალკეულ სიტყვებს იგი იკვლევდა დარგობლივ, რაც მას უადვილებდა, ფართოდ და დანვრილებით შეესწავლა მრავალფეროვანი სოფლის ცხოვრება და მისი ცალკეული მხარეების სიტყვიერი გამოხატვის საშუალებანი საკმაოდ ვრცელი მინა-წყლის მოსახლეობის მეტყველებაში. ქეთევან ძონენიძის შეკრებილი ზემო იმერულის დიდძალი მასალა სადოქტორო დისერტაციად იყო განკუთვნილი. დიდად სამწუხაროა, რომ მას არ დასცალდა, დაებეჭდა იგი მთლიანად, მაგრამ ნაშრომი მზადაა დასაბეჭდად და, იმედია, გამოქვეყნდება და ეს იქნება დიდი შენაძენი ქართული დი-ალექტოლოგიისათვის.

ქეთევან ძონენიძის ერთ მთავარ ნაშრომთაგანია “პავლეს ეპისტოლეების” ქართული თარგმანის ტექსტის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემისათვის განეული შრომით მოპოვებული შედეგები. მან დანვრილებით შეისწავლა ამ ძეგლის აქაური (თბილისისა და ქუთაისის) ხელნაწერები და გამოარკვია მათი რედაქციული სა-

ხე. ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმე მას ადრე მიენდო, მაგრამ მოუცლელიობისა და ხშირი ავადმყოფობის გამო ვერ მოუხერხდა, სასურველად დაეგვირგვინებინა, მით უმეტეს, რომ შემდეგ მივიღეთ სინას მთისა და ათონის მთის ხელნაწერთა ფოტოები. ამიტომ, მისივე თანხმობით, ეს მისი ნამუშევარი გადაეცა ერთ მის მოწაფეს, რომელმაც დაურთო ახლად მოპოვებული ხელნაწერების ცნობები და კრიტიკულად დამზადებული ტექსტი მალე გადაეცემა სტამბას დასაბეჭდად. ამით ძირითადად დასრულდება ახალი აღთქმის წიგნების ქართული ვერსიების მეცნიერული გამოცემა, რომელიც დაიწყო 1945 წელს ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის გამოქვეყნებით.

განსვენებული იყო მეტად თბილი გულის პატრონი, ძალიან გრძნობიერი, რომელსაც გულთან ახლოს მიჰქონდა ქვეყნის ავკარგი; იყო პირდაპირი, გულწრფელი და სამართლიანი. იგი ხიზლავდა ყველას თავისი ალაღმართლობით, უზაკველობით და დიდად საყვარელი იყო ამხანაგ-მეგობრებსა და მოწაფეებისათვის.

ქართველ ენათმეცნიერთა ისედაც მცირერიცხოვან რიგებს გამოაკლდა ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, მეტად გულისხმიერი, იშვიათი გულისა და ფაქიზი გრძნობის პატრონი, ხალხის სამსახურისათვის თავდადებული და ყოველგვარი სათნოებით შემკული ადამიანი.

ყველა მისი ნაცნობი და მეგობარი ცხარე ცრემლით მივსტირით ასე უდროოდ დადუმებულ მეცნიერ ქართველ ქალს.

გაზ. „ქუთაისი“, 1969, 9/IX

კონსტანტინე მეძველია

სანიშუშო პედაგოგი და მეცნიერი

არიან ადამიანები, რომლებიც ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ხალხის დიდ საყვარულსა და ღრმა პატივისცემას იმსახურებენ. ამათ რიცხვს ჩვენგან უდროოდ წასული, დიდბუნებოვანი ადამიანი, სანიშუშო პედაგოგი და ნიჭიერი მეცნიერი, დოც. ქეთევან ძონენიძე მიეკუთვნება.

ხალასი ნიჭი, აზროვნების სიცხადე, პრინციპულობა, სულიერი სიმდიდრე, სისპეტაკე, სიბეჯითე და საქმისადმი დიდი სიყვარული, - აი, როგორი იყო ქეთევან ძონენიძე.

ქეთევან ძონენიძისათვის მართლაც მშობლიური იყო ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. მის კედლებში აღიზარდა, - როგორც პედაგოგიური ტექნიკუმის მონაფე და როგორც სტუდენტი. აქვე ჩამოყალიბდა იგი, როგორც უმაღლესი სკოლის პედაგოგი და მეცნიერი. მან ათასობით სტუდენტი აღიზარდა, რომლებსაც მეცნიერებასთან ერთად მშობლიური ენის პატივისცემა და სიყვარული ჩაუნერგა.

მისი მუდამ მოცმიცემე თვალები და მომღიმარი სახე მხოლოდ სიკეთისაკენ მოუწოდებდა ადამიანებს. იგი მხოლოდ სიკეთეს თესდა ახალგაზრდობაში. მშობლიური მზრუნველობით ეპყრობოდა ყველა სტუდენტს, იცოდა მისი გულისტკივილი და სიხარული.

დოც. ქეთევან ძონენიძე, სანიმუშო იყო, როგორც ენათმეცნიერი და ქართული ენის საკითხების მკვლევარი. მისი მახვილი თვალი ყველაფერს წვდებოდა. მას ახასიათებდა მასალის ღრმა ცოდნა და მეცნიერულად განზოგადოების დიდი უნარი. მაგრამ არასოდეს არ ჩქარობდა, სიფრთხილე და თავმდაბლობა მისი დამახასიათებელი თვისება იყო. იგი ღრმაშინაარსიანი მოხსენებებით გამოდიოდა რესპუბლიკაში გამართულ სამეცნიერო-სესიებზე, სისტემატურად აქვეყნებდა ქუთაისის პედიინსტიტუტის შრომათა კრებულებში და რესპუბლიკის სამეცნიერო გამოცემებში თავის გამოკვლევებს და სამეცნიერო სტატიებს.

მას ყოველთვის თხოვდნენ უნივერსიტეტში ან აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში სამუშაოდ გადასვლას, მაგრამ მშობლიური ქალაქის სიყვარული ამის ნებას არ აძლევდა დოც. ქეთევან ძონენიძეს. განსაკუთრებით აფასებდნენ და უყვარდათ იგი მის ხელმძღვანელ მეცნიერებს, აკადემიკოსებს: ა. შანიძეს, არნ. ჩიქობავას, ვარ. თოფურიას და სხვებს.

რა დიდი ენერგიით შეუდგა დოც. ქეთევან ძონენიძე სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობას. როგორი მოუთმენლობით

ელოდნენ მისი საყვარელი პროფესორები საპაექრო კათედრაზე მის გამოსვლას, მაგრამ ამ დროს უმუხთლა ბედმა.

რა უდროოდ ჩაქრა თქვენი მჩქეფარე სიცოცხლე, რა მოულოდნელად ჩანყვიტე გულის სიმები ახლობლებსა და მეგობრებს. დიდია გულისტკივილი და სულიერი ტრამვა. ალბათ დიდხანს არ შეაშრებათ თვალებზე ცრემლები შენს მოსიყვარულე ადამიანებს, თქვენი სიკვდილით მიყენებული ჭრილობა დიდხანს ემჩნევა ჩვენს გულებს.

თქვენს ნათელ ცხოვრებას და სასიქადულო ნამოღვანარს არასოდეს დაივიწყებენ თქვენი საყვარელი მეგობრები და სტუდენტები.

გაზ. „ქუთაისი“, 1969, 9/IX

რ ა ფ ი ე ლ შ ა მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი

ღისერტაციის დაცვა არ შედგება

„სიკვდილო, კარგის მოკვლისთვის,
ნეტა ვინ გეტყვის ქებასა“ (ვაჟა)

მასწავლებლის პროფესია თავისი კეთილსინდისიერი ხასიათითა და საპატიო მდგომარეობით ყველა სხვა პროფესიისაგან განსხვავდება. „მასწავლებელი, - წერდა მ. კალინინი, - თავის ენერგიას, სისხლს, ყველაფერს, რაც მასში ძვირფასია, აძლევს თავის მოსწავლეებს, ხალხს“. „მასწავლებელი, - განაგრძობს მიხეილ ივანეს ძე, — ერთი მხრივ, უნდა იყვნენ დიდად განათლებულნი, ხოლო, მეორე მხრივ, უაღრესად პატიოსანი ადამიანები.“

ასეთი მასწავლებელი იყო, უპირველეს ყოვლისა, ქუთაისის პედაგოგიკის ქართული ენის კათედრის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ქეთევან სამსონის ასული ძონენიძე, რომელიც ახლახან გარდაიცვალა დიდი ცხოვრების შუა გზაზე – 53 წლის ასაკში. ქართველ ენათმეცნიერთა რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი ლინგვისტი, დაკვირვებული და ნათელი აზრის მკვლევარი, სადა და უპრეტენზიო მოქალაქე, ყოველმხრივ მომხიბლავი ქართველი ქალი,

რომელსაც ახასიათებდა განსაკუთრებული თავმდაბლობა, უდიდესი შრომისმოყვარეობა, მაღალი კულტურა, პატიოსნება, გულისხმიერება, პრინციპულობა.

გარდაიცვალა! ეს სიტყვა ჩვენი ხალხის უშრეტო სიბრძნის სიღრმიდან არის აღმოცენებული. ეს ღრმადგააზრებული სიტყვა თითქოს გვანუგეშებს და გვეუბნება, რომ ჩვენთვის მეტად ძვირფასი ადამიანი კი არ მომკვდარა, არამედ გარდაიცვალა, ე.ი. შეიცვალა ფიზიკური მდგომარეობა და ჩვენს მოგონებაში უწყევად დამკვიდრდა იმ ნათელი საქმეებით, რომლებიც მან დატოვა. მართალია, ვაჟა ამბობს: „ყველას სამარე მოგველის, ვინც დედის მუცლით შობილა“, მაგრამ გონება ვერ შერიგებია იმას, რომ სიცოცხლითა და ჯან-ღონით აღსავსე ქალი, რომელიც თავისი მეცნიერული ნიჭის გაფურჩქვნის პერიოდში იყო, სამუდამოდ წავიდა ჩვენგან. უდროოდ შეწყდა ნათელი სიცოცხლე, სამუდამოდ შეჩერდა ესოდენ მგრძნობიარე გულის ფეთქვა, შეწყდა აზროვნება მეტად გამჭრიახი გონებისა, სიცოცხლის შუქი ჩაქრა ჭკვიან და შორსმჭვრეტელ თვალეებში. მაგრამ ამ თვალეებმა იმდენი სითბო დატოვეს, მისმა ბაგეებმა იმდენი თქვეს, მისმა კალამმა იმდენი დანერა, რომ რამდენიმე ადამიანს ეყოფა უკვდავსაყოფად. „ლამაზ ქალს ლამაზი აზრის ტარება აქცევს ღმერთადო“, მართლაც, ჩვენს თვალში, ქეთევანის მოწაფეების თვალში, ქეთევანი მარად დარჩება სინდისის, პატიოსნების, კაცთმოყვარეობის უბადლო განსახიერებად.

დოცენტი ქ. ძონენიძე გახლდათ პირდაპირი და ობიექტური, მიუკერძოებელი და სიმართლისმოყვარე პიროვნება, ზუსტად ისეთი, რომლის შესახებაც დიდი ილია იტყოდა: „იგი არის კაცი, რომელიც არასოდეს არ იტყვის „ჰოს“, როცა გული ეუბნება „არას“.

ქეთევანმა იცოდა სიტყვის თქმის ჟამი. გულახდილად უნდა ვაღიაროთ: ერთი ლექტორის გარდაცვალებით აცრემლებული ამდენი თვალი ჯერ არ გვინახავს ქუთაისში. დავკარგეთ სულიერი მოძღვარი, რომელსაც ყველა მისი აღზრდილი ყოფილი სტუდენტი თუ ახალბედა აბიტურიენტი უყოყმანოდ

მისცემდა საკუთარ სუნთქვას, საკუთარ გულს დაუთმოზდა დაუფიქრებლად.

ახალშობილზე ამბობენ სწავლულნი: „პატარავ, როცა პირველად მოდიხარ ქვეყანაში, შენ სტირი და შენს გარშემო ყველას სიხარულის ღიმილი მოსდის, ჰქმენ ისე, როცა ქვეყანას ეთხოვებოდე, ყველანი სტიროდნენ და მარტო შენ კი ღიმილი მოგდიოდეს“. ქეთევანმა ამ ბრძნულ გამონათქვამში ჩაქსოვილ აზრს ხორცი შეასხა. მისმა სიკვდილმა ჩაგვწყვიტა გულის ძარღვები...

ქეთევანი – ქართული ენის დიდი მოსარჩლე, ქეთევანი – უბადლო ლექტორი, მასწავლებელთა მასწავლებელი, ქეთევანი – ქალის სინდისი და პატიოსნება, ქეთევანი – ყოყრობისა და რეკლამის დაუნდობელი მტერი, ქეთევანი – უსამართლობის წინააღმდეგ აღმართული ორლესული, ქეთევანი – იასავით გულნაზი, სათუთი გრძნობების პატრონი, დიდი მამულიშვილი, ჰუმანისტი — ასეთი იყო იგი.

ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია ბედნიერი შემთხვევა, მოესმინა ქეთევან ძონენიძის ლექცია მორფოლოგიაში, სინტაქსში, ძველ ენასა და დიალექტოლოგიაში, დაგვეთანხმება, რომ იგი იყო შესანიშნავი ლექტორი, თავისი საქმის დიდებული ოსტატი, მჭევრმეტყველი, მრავალმხრივ განათლებული ლინგვისტი. სამ ათეულ წელზე მეტია ქუთაისის პედინსტიტუტის აუდიტორიაში გაისმოდა ქეთევანის ხავერდოვანი ხმა. იგი განსაკუთრებული სიყვარულით ემსახურებოდა სტუდენტთა აღზრდის საპატიო საქმეს. პედაგოგიურ მოღვაწეობას მშვენივრად უფარდებდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევითსა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. გარეგნულად მიმზიდველი, უაღრესად შრომისმოყვარე, თავმდაბალი, სათნო, მუდამ სტუდენტების ქომაგი – აი ასეთი გახლდათ ქეთევანი. იგი თავისი გარეგნობითაც ხიბლავდა ჩვენს სტუდენტობას. მისი უბრალო გამოხედვაც კი უდიდეს ზეგავლენას ახდენდა მსმენელზე. ფენომენალური ნიჭის პატრონს არასოდეს არ სჭერია კონსპექტი ან უბრალო ჩანაწერიც კი ლექციაზე. „ადამიანში

ყველაფერი უნდა იყოს მშვენიერი: გარეგნობაც, ტანსაცმელიც, სულიც და აზრებიც“ (ჩეხოვი).

ეს სიტყვები გონებით ნათელ, ზნეობით წმინდა, ფიზიკურად ფაქიზ ქეთევანზეა ზედგამოჭრილი. ქართულმა მეცნიერებამ ქეთევანის სახით დაკარგა დაკვირვებული მკვლევარი, სტუდენტობამ – სწორუპოვარი აღმზრდელი, მასწავლებელთა მასწავლებელი, ჩვენმა ხალხმა – ძვირფასი თანამემამულე.

ქეთევანს უყვარდა „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“. ქ. ძონენიძის კალამს ეკუთვნის 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი დიალექტოლოგიიდან, მორფოლოგიიდან, სინტაქსიდან, ძველი ქართული ენიდან. მისმა მონოგრაფიულმა გამოკვლევამ („სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით“) ენათმეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ განსვენებულის ფართო განმარტოვებულ დიალექტოლოგიურ კვლევაძიებაზე, რომლის შედეგები შეჯამებულია ფუნდამენტურ გამოკვლევაში „იმერული კილოკავი (გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი),“ რომელზედაც ავტორი თითქმის ოცი წელი მუშაობდა და რომელიც გამიზნული ჰქონდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. სამწუხაროდ, ნაშრომი, რომელიც დამთავრებული და მომზადებული იყო წარსადგენად, რედაქტირებული დარჩა მის სამუშაო მაგიდაზე, ულმობელმა სიკვდილმა უზადო მეცნიერს არ დააცალა ბოლომდე მიეყვანა ეს დიდი საქმე. რაოდენ სამწუხაროა, დისერტაციის დაცვა არ შედგება...

ქეთევან ძონენიძე წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ქუთაისის პედინსტიტუტში ქართული ენის კათედრას. იგი გახლდათ ნიჭიერი ორგანიზატორი, მომთხოვნი ხელმძღვანელი, თავისი საგნის ღრმად მცოდნე, პარტიის ერთგული მებრძოლი, დიდი პატრიოტი. ამ რამდენიმე წლის წინათ ქუთაისის გაზეთში ქეთევანმა დაბეჭდა მშვენიერი წერილი „ვაჟა-ფშაველა და სალიტერატურო ენის საკითხები“. ახასიათებდა რა ვაჟას

მხატვრულ მეტყველებას, ქ.ძონენიძეს მოჰქონდა შემდეგი სტრიქონები:

მაღლისა მთისა წვერზედა
საფლავი გამითხაროდი,
ჩემი სამშობლოს ქვიშანი,
თანდათან მომაცაროდი.

ჭეშმარიტად, წინასწარმეტყველურად ჟღერენ ეს სტრიქონები ახლა და გონების თვალთ წარმოგვიდგენენ ქეთევანის უკანასკნელ წუთებს. იძინე ტკბილად, საყვარელო და მარად დაუვინყარო მასწავლებლო! ისლა დაგვრჩენია გითხრათ: აზრითა ნათელითა და სიტყვითა კეთილითა ნერგავდი ჩვენს გულში ნერგსა კეთილსა აღმოსაცენად ყოვლისა უკეთესისა... ესეც კმარა თქვენი სახელის უკვდავსაყოფად.

გაზ. „ქუთაისი“, 1969, 11 ოქტომბერი

პოლიკარპე ჯაჯანიძე

ადამიანი, პედაგოგი, მეცნიერი

დოც. ქეთევან ძონენიძის სახელის უკვდავების საფუძველს ქმნის ადამიანთა ის დიდი სიყვარული, რომელიც მან თავისი ყოველდღიური მოქმედებით დაიმსახურა ჩვენს საზოგადოებაში, პედაგოგიური ღვაწლი, რომელიც მან დასდო ახალგაზრდა თაობის აღმზრდელთა წვრთნისა და ყოველმხრივ განვითარების საქმეს, და მეცნიერული მუშაობის ის შედეგები, რომლებიც მან დაუტოვა ჩვენს მშობლიურ ენათმეცნიერებას.

ადამიანის დამახასიათებელ საუკეთესო ღირსებებთან ერთად მასში იყო ისეთი ძვირფასი თვისებები, რომლებიც ერთბაშად გამოარჩევდა სხვებისაგან: შორებელსა და აქამდე უცნობს ერთი თვალის გადავლებით ყოველმხრივ ამოიცნობდა, შეფასებაში არ მოტყუვდებოდა, ისე მიიღებდა, როგორც დიდი ხნის ნაცნობს. ქარაგმული ლაპარაკი არ უყვარდა. ჭეშმარიტად მსჯელობდა და ამიტომ პირდაპირიც იყო, ყველასთან მეტად

ახლობელი, გარკვეულ შემთხვევაში – შორებელიც, მიუკარებელიცა და მიუკერძოებელიც.

მლიქვნელი, ორპირი, თავხედი, ბოროტი, ცილისმნამებელი, მაცდური, ზარმაცი, განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანები მთელი გულით სძულდა. მათ საზიზღრებს უწოდებდა, ახლოს არ გაიკარებდა.

ქეთევანი ადამიანში ყოველთვის ეძებდა მშვენიერს, სათნოს, მართალს, სპეტაკს, წმინდას, კეთილ მოსიყვარულე გულს. იგი იყო ადამიანი – ჩირაღდან.

ქეთევანმა იცოდა სიტყვის თქმის ფასი. ზოგს მისი სიტყვა ფრთებს შეასხამდა, ძალას მატებდა, ზოგს შიშსაც მოჰგვრიდა, მაგრამ სიმართლის ძალა ამ უკანასკნელსაც მის სიყვარულს უწერდა.

ასე იყო ეს, მაგრამ ვერავინ იტყვის, რას წარმოადგენდა ეს თავისებური, რომლის არსებობას ყველა გრძნობდა, მისი დახასიათება კი არავის შეეძლო. უჩინარი იყო ეს თავისებური.

დოცენტი ქეთევან ძონენიძე ქართული ენისა და ლიტერატურის სიყვარულით ცხოვრობდა. მისი პოეტური ბუნება გარეგნულად თითქოს ვერ ეგუებოდა აფიქსებს, მაგრამ სინამდვილეში ქეთევანი იყო უბადლო ენათმეცნიერული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში განაგებდა ქართული ენის კათედრას და ღირსეულად აგრძელებდა მეცნიერულ-პედაგოგიური მუშაობის იმ შესანიშნავ ტრადიციას, რომელიც აქ დაამკვიდრეს საქვეყნოდ ცნობილმა მეცნიერებმა.

სტუდენტებთან ქეთევანის მრავალმხრივი პედაგოგიური მუშაობის შედეგია ის, რომ მისი ბევრი მოწაფე მოწინავე მასწავლებელი და ღირსეული აღმზრდელია ჩვენი ახალგაზრდობისა, ბევრიც კი მეცნიერთა მოწინავე რიგებში დგას და ბრწყინვალედ აგრძელებს თავისი მასწავლებლის მოღვაწეობას.

დოც. ქეთევან ძონენიძის მეცნიერული მუშაობის მეთოდები და პრინციპები ყოველთვის სანიმუშოდ ითვლებოდა თავისი შედეგებით. ფაქტების ზუსტი ენათმეცნიერული ანალიზი, განზოგადოების მეცნიერული ალლო, მკაცრი

მომთხოვნელობა თავისთავისა და სხვისადმი, სწრაფი მოსაზრებულობა, წერის თავისებური სწორუპოვარი სტილი – აი, რა ახასიათებდა მას, როგორც მეცნიერს.

1950 წელს ქეთევან ძონენიძემ დაამთავრა შრომა — „სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით“ და წარუდგინა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ნაშრომში ხელნაწერების ფაქტების საფუძველზე ზუსტი სურათი იყო წარმოდგენილი ძველ ქართულში სახელთა ბრუნების თავისებურებათა შესახებ. ეს იყო პირველი სრულყოფილი გამოკვლევა, რომელიც ძველი ქართული გრამატიკის ერთ ნაწილს – სახელთა ბრუნებას შეეხებოდა.

ცნობილმა მეცნიერებმა აკად. ვ. თოფურია, პროფ. ი. აბულაძემ და ფაკულტეტის საბჭოს მთელმა შემადგენლობამ მაღალი შეფასება მისცეს ქეთევანის ნაშრომს და მოსთხოვეს მისი სასწრაფოდ დაბეჭდვა, მაგრამ ავტორი ასე როდი ჩქარობდა.

ძველი ქართულის გრამატიკული წყობის საკითხებს ეხება აგრეთვე სხვა შრომებიც.

... ამ გამოკვლევებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ძველი ქართულის გრამატიკული წყობის საკითხების შესწავლისა და დამუშავების საქმეში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქეთევან ძონენიძემ დიდი მუშაობა ჩაატარა „პავლეს ეპისტოლეების“ ქართული თარგმანის ტექსტების მეცნიერულ-კრიტიკული დადგენისათვის თბილისისა და ქუთაისის ხელნაწერთა ტექსტების შეჯერების საფუძველზე. დასახელებული ძეგლის სინას მთისა და ატენის ხელნაწერთა ფოტოები მაშინ არ იყო, თორემ ქეთევანს არც მათი რედაქციული თუ ვარიანტული შედარება გაუჭირდებოდა.

ორი ათეული წლის განმავლობაში ქეთევან ძონენიძე „სოფელ-სოფელ“ (მისი ტერმინია) მოვლით გულდასმით სწავლობდა იმერულ დიალექტს, რომელიც ქართული ენის დიალექტთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თავისი დიალექტური ნარეობითა და ზანურის სუბსტრატით.

მისი შესწავლა ძვირფას მასალას გვაძლევს ქართული ენის გრამატიკული წყობის ისტორიის რიგი საკითხის გასარკვევად.

... მას მიზნად ჰქონდა დასახული ზემოიმერული კილოკავის შესწავლა, მაგრამ ამისთვის საჭიროდ ჩათვალა საფუძვლიანად გაცნობოდა ქვემოიმერულის ერთ უბანს მაინც. ამის შედეგად მივიღეთ ნაშრომი „ქვემოიმერულის უხუთური მეტყველება“ (ქუთ. პედინსტ. შრომები, ტ.8, 1948), რომელშიც მოცემულია ქვემოიმერულის ვანური თქმის უხუთური მეტყველების ფონეტიკურ-გრამატიკულ თავისებურებათა სრული ნუსხა და მათი ენათმეცნიერული კვალიფიკაცია.

1950 წლიდან იგი სწავლობს იმერული დიალექტის ზემოიმერულ კილოკავს. ამ უბნის თითქმის ყველა სოფელი მოიარა მან და თხუთმეტი საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა დაწერა.

... მოპოვებული მასალების საფუძველზე აღრიცხულია ყველა ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურება და სათანადო ენათმეცნიერული კვალიფიკაციის საფუძველზე მოცემულია ყოველი მათგანის შეფასება და ქართული ენის სხვა დიალექტების ანალოგიურ მოვლენებთან შედარების შედეგად განზოგადებით მიღებული დასკვნები ქართული დიალექტოლოგიის შესანიშნავ მონაპოვარს წარმოადგენს.

არანაკლებ საყურადღებოა ზემოიმერულის ლექსიკონი, რომელიც რამდენიმე ათას სიტყვას მოითვლის. სალექსიკონო ერთეულების ზუსტი განმარტება და საილუსტრაციო მასალა სიტყვათა მნიშვნელობის ყოველმხრივ დახასიათებას გვაძლევს.

რამდენადაც ვიცით, ლექსიკონი მთლიანად განწყობილი ჰქონდა, როცა დოც. ქეთევან ძონენიძეს ურჩიეს, რომ შეედგინა ზემოიმერულის დარგობრივი ლექსიკონი. ეს სამუშაო მეტად რთული და შრომატევადი აღმოჩნდა, მაგრამ დასახული ამოცანაც მისთვის ჩვეული სიზუსტით შეასრულა.

ამგვარად, ქეთევან ძონენიძის დაუღალავი მუშაობისა და მისი განსაკუთრებული ნიჭის შედეგად ჩვენმა მეცნიერებამ მიიღო შესანიშნავი გამოკვლევები ძველ ქართულ ენაში, დიალექტოლოგიაში კი იმერული კილოსა და კილოკავების ყოველ-

მხრივ სანდო ტექსტები, ზემოიმერულის შესახებ მონოგრაფია და სრულყოფილი ლექსიკონი...

დასახულია გეგმა, რომ გამოიცეს ქეთევან ძონენიძის შრომების კრებული და ცალკე ნაშრომის სახით გამოვიდეს ზემოიმერულის ლექსიკონი.

ქეთევანის მოულოდნელი გარდაცვალებით ახლობლებმა, ინსტიტუტის კოლეგებმა დაკარგეს განუყრელი მეგობარი და უაღრესად ერუდირებული მეცნიერი, შესანიშნავი პატრიოტი და მოქალაქე. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ წლების შემდეგაც ვერ გამთელდება ამ დანაკლისით მიღებული ჭრილობები. მისი მეგობრები ყველაფერს გააკეთებთ მისი სახელის მარად დიდებისათვის.



გაზ. „ქუთაისი“, 1969, 18 ოქტომბერი



ქეთევან ქონენიძის მონოგრაფია ორ ნიშნად

1973 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ქ. ქონენიძის მონოგრაფიის პირველი ნიგნი „**ზემოიქმერული კილოკავი**“ (ენობრივი მიმოხილვა და ტექსტები, 564 გვერდი), რომელსაც წამძღვარებული აქვს რედაქტორთა – **არნ. ჩიქობავას** წინასიტყვაობა და **მის. ალავედი**ს ნარკვევი „ქეთევან ქონენიძე – ცხოვრება და ღვაწლი“.

1974 წელს დაიბეჭდა მონოგრაფიის მეორე ნიგნი „**ზემოიქმერული ლექსიკონი**“ (646 გვერდი).



სამეცნიერო ნრეებში ორტომეულ ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს. დაინერა გამოხმაურება-რეცენზიები, აღიარებდნენ მის უდიდეს მნიშვნელობას არა მხოლოდ ქართული დიალექტოლოგიის ისტორიაში, არამედ ზოგადი ასპექტითაც: „კვლევა-ძიებისას ვინც კი შეეხება იმერეთს, ამ ნამუშავეს გვერდს ვერ აუვლის. მასში საჭირო ცნობებს იპოვის ყველა – ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ბუნებისმეტყველი“.

ა რ ნ ო ლ დ ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა

წინასიტყვაობა

ეს ნარკვევები ზემოიმერულის დიალექტოლოგიურ დახასიათებას ისახავს მიზნად.

ზემოიმერულში ოთხი რაიონის მეტყველება ივარაუდება. ეს რაიონებია – ახლანდელი ადმინისტრაციული დაყოფის თანახმად – ზესტაფონის, ორჯონიკიძის (ხარაგოულის), ჭიათურისა და საჩხერისა.

ზემო იმერეთის მინა-წყალი ძველი იბერიის პერიფერიულ ზონას ქმნიდა. ზემოიმერულის სათანადო სისრულით შესწავლა ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით საყურადღებო ჩანს: საინტერესოა მასში დაცული არქაიზმებიცა და ნეოლოგიზმებიც.

ქეთევან ძონენიძეს ზემოიმერული ს ო ფ ე ლ-ს ო ფ ე ლ აქვს ნაკვლევი: დაკვირვება უნარმოებია 80 სოფლის მეტყველებაზე: ზესტაფონის რ. – 15 სოფ., ორჯონიკიძის რ. – 26 სოფ., ჭიათურის რ. – 21 სოფ., საჩხერის რ. – 18 სოფ. (სოფლების სია მოცემულია ამ წიგნის დანართში).

ქართული დიალექტოლოგია უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე თვალსაჩინოდ განვითარდა: კვლევის საგნად იქცა თითქმის ყველა კილო, მთისა თუ ბარისა, აღმოსავლურიცა და დასავლურიც; მოგვეპოვება არა ერთი საკმაოდ სრული მონოგრაფიული მიმოხილვაც. და მაინც დიალექტური მოვლენების მიკროანალიზი (როგორც დიალექტების ცენტრალურ, ისე გარდამავალ ზონათა მეტყველებისა) ჯერ კიდევ ჩასატარებელია დიალექტების მეტ ნაწილში, რომ თავისებურებანი სათანადოდ აისახოს დიალექტურ ატლასებში.

ქეთევან ძონენიძემ თავს იდვა ზემოიმერულის მიკროანალიზი მოეცა. წლების მანძილზე სოფელ-სოფელ აკვირდებოდა ზემოიმერულის თავისებურებებს, ინერდა გაბმული მეტყველების ნიმუშებს, აგროვებდა ლექსიკურ მასალას, საგანგებოდ სწავლობდა დარგობლივ ლექსიკას (სათანადო რეალიებთან დაკავშირებით).

ცალკეულ რაიონთა მეტყველების დახასიათება ქეთევან ძონენიძეს მოცემული აქვს (იხ. ნაშრომთა სია, გვ. 561), მაგრამ კვლევა-ძიების შედეგთა მთლიან მონოგრაფიად შეკვრა არ დასცალდა: დაუმთავრებელი დარჩა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ზემოიმიერულის დეტალურ დიალექტოლოგიურ გამოკვლევად ისახებოდა (და ზემოიმიერულის ქვემოიმიერულთან მიმართების საკითხსაც ერთგვარად გაგვირკვევდა).

მე, როგორც ამ სადისერტაციო შრომის კონსულტანტს, და მიხეილ ალავიძეს მოგვიხდა სასტამბოდ გაგვემართა¹ ნარკვევები ზემოიმიერულის შესახებ და ხელმისაწვდომი გაგვეხადა სპეციალისტებისათვის ზემოიმიერულის შესწავლის მთავარი შედეგები.

ნარკვევებს ისეთი წერილებიც დავურთეთ, რომლებიც ზემოიმიერულს უშუალოდ არ ეხება, მაგრამ ზემოიმიერულთან შესადარებლად სასარგებლოა, ანდა ზემოიმიერულის ელემენტებს ავლენს მხატვრულ ლიტერატურაში.

* * *

ქეთევან ძონენიძე ქართული ენის სპეციალისტთა წრეს უდროოდ გამოეთიშა. ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობა შეწყდა.

ქეთევან ძონენიძეს თავის სპეციალობაში ბევრი რამ შეეძლო ეთქვა, ჰქონდა სათქმელი და უთქმელი დარჩა.

მისი შრომები ორ წიგნად გამოდის: პირველი ზემოიმიერულის დახასიათება და დიალექტოლოგიური ტექსტებია შეტანილი, მეორე ზემოიმიერულის ლექსიკას ეთმობა.

ქეთევან ძონენიძის ნაკვლევი ამ ორი წიგნის სახით შეემატება ქართულ ენათმეცნიერებას.²

¹ ქეთევან ძონენიძის ნაშრომთა სასტამბოდ გამართვაზე დიდი მუშაობა გასწია აგრეთვე ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის წევრმა ლეილა კვანტალიანმა.

² ეს მასალა ცალკე სტატიად დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში“ (1973, 17 თებერვალი) სათაურით „მონოგრაფია იმერულ დიალექტზე“.

მიხეილ ალავიძე

ქეთევან ძონენიძე ცხოვრება და ღვაწლი

ენათმეცნიერი და პედაგოგი ქეთევან ძონენიძე მხოლოდ 53 ზაფხულს მოესწრო. 1969 წლის 4 სექტემბერს შეწყდა მისი გულისცემა.

ქეთევან ძონენიძისათვის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი იყო მშობლიური: აქ სწავლობდა და მოღვაწეობდა.

ქეთევან ძონენიძე ტოლ-მეგობრებში გამოირჩეოდა არა მარტო უბადლო ნიჭით, არამედ თავისებური ხასიათითაც. გულისტქმის გამჟღავნება შეეძლო და არაჩვეულებრივი სულიერი სითბო გააჩნდა. იყო სიმართლის მთქმელი – მომწონებელიც, დამწუნებელიც. ეს უნიღბო და ფუტკარივით გამრჯე ქალი სიკეთეს თესავდა და სიყვარულს იმკიდა.

ქეთევან სამსონის ასული ძონენიძე დაიბადა 1916 წელს 23 დეკემბერს ქალაქ ქუთაისში. მან აქ 1930 წელს წარჩინებით დაასრულა პირველი შვიდწლიანი სკოლა, 1933 წელს – პედაგოგიური ტექნიკუმი, 1937 წელს – სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

ვარლამ თოფურას მზრუნველობით გამოვლინდა ქეთევან ძონენიძე, როგორც ბეჯითი სტუდენტი და ნიჭიერი მკვლევარი.

1933-1938 წლებში ვარლამ თოფურას ხელმძღვანელობით მთელ ინსტიტუტში გამოირჩეოდა სტუდენტთა საენათმეცნიერო წრე. მის მუშაობას წარმართავდნენ გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, გიორგი როგავა, შოთა ძიძიგური, სერგი ჟღენტი.

ამ წრეში, რომლის აქტიური წევრი იყო ქეთევან ძონენიძე, აღიზარდა რამდენიმე მეცნიერი, მწერალი, ჟურნალისტი.

წრის წევრები ზაფხულობით სხვადასხვა რაიონში აგროვებდნენ დიალექტურ მასალებს და ეწყობოდა განხილვა მათი მოხსენებებისა. იმჟამად რუსეთის ქალაქებში მივლინებულ იქნა ზოგიერთი სტუდენტი (მათ შორის ქეთევანიც) რუსული ენის დასაუფლებლად.

ქეთევან ძონენიძე სწავლობდა №29 ჯგუფში, რომელსაც ლექციებს უკითხავდნენ გამოჩენილი პედაგოგები და მეცნიერები. ქეთევან ძონენიძე სათუთად ინახავდა და ზეპირადაც გაიხსენებდა თანაკურსელი ფრონტელი პოეტის კერძო წერილს. ამ ბარათიდან ჩანს, რომ სევერიან ისიანი ძვირფას მასწავლებლებს ბრძოლის ველზეც აღფრთოვანებით იგონებდა: თვალნათლივ ვხედავ კორნელი კეკელიძის, გიორგი ახვლედიანისა და აკაკი შანიძის მეტყველ სახეებს, ბობოქარ ოქროპირებს შალვა ნუცუბიძესა და ვახტანგ კოტეტიშვილს, ვარლამ თოფურის თმის ვერცხლს, ვაჟაზე შეყვარებულ მიხეილ ზანდუკელს. ტკბილად ჩამესმის სიმონ ყაუხჩიშვილის „მოქალაქენო“, მოსე გოგიბერიძის „მეგობრებო“, ანგია ბოჭორიშვილის უცნაურად მოჭრილი მსჯელობა, ალექსანდრე ბარამიძისეული შთაგონებით წაკითხული შოთას ლექსი...

ქეთევან ძონენიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის (ხელმძღვანელები ა. შანიძე, ვ. თოფურია) დამთავრების შემდეგ, 30 წლის განმავლობაში, განუწყვეტლივ მოღვაწეობდა პედაგოგიურ ასპარეზზე. მუშაობდა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჯერ უფროს მასწავლებლად, შემდეგ – კათედრის დოცენტად, 1958 წლიდან კი განაგებდა ქართული ენის კათედრას.

ქეთევან ძონენიძე კითხულობდა ზოგადი ენათმეცნიერებისა და ქართული გრამატიკის კურსებს ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მისი ლექცია არასოდეს ყოფილა მშრალი და მოსაწყენი. ეს იმიტომ, რომ ქეთევან ძონენიძეს ჰქონდა მდიდარი პოეტური ბუნება და ფართო განათლება.

შესანიშნავი მეხსიერების მქონე ქალი სამეცნიერო სესიაზე ყოველთვის ზეპირად წარმოთქვამდა მოხსენებას, ლექციაზეც ხომ ცოცხალი სიტყვით იპყრობდა აუდიტორიას. სიტყვაკაზმული მწერლობიდან შერჩეულ ნიმუშებს განიხილავდა, მსჯელობდა მწერლის ოსტატობაზე, სტილზე, მხატვრულ სამკაულებზე, გატაცებით უსმენდნენ, ხიბლავდათ მისი საუბარი, რადგან გრამატიკას ნიადაგ პოეზიით ათბობდა და პოეზიით მკურნალობაც სწამდა. უყვარდა ილია ჭავჭავაძისეული ბრძნული გამონათქვამი: ყოველი

ცემა გულის ძარღვისა გვჭრის და გვანყლულებს ჩვენ და ჩვენი სიცოცხლე ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო.

... ქეთევან ძონენიძის მითითებითა და დავალებით სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის ნევრებმა შეკრიბეს დიალექტური მასალები, გამოქვეყნებულია მოხსენებათა თეზისებიც ცალკეულ სოფელთა მეტყველებაზე. შესწავლილია ქვემო იმერეთიდან: ძმუისი, ჭაგანი, დაფნარი, გუბი, კურსები, დიმი, კონტუათი, ახალშენი, ჭოგნარი, ზეგანი, დედალაური, კვახჭირი, სანირე, კინჩხა, გორა; ზემო იმერეთიდან: მერჯვევი, ფარცხნალი; რაჭალეჩხუმიდან: ზნაკვა, ზუბი... (იხ. საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა რესპუბლიკური კონფერენციები: I, 1949-VII, 1957; ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო სესიები: XVI, 1956-XXIX, 1969).

ქეთევან ძონენიძის მონაწილეობითვე ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა 1964 წელს დაამუშავეს ვაჟა-ფშაველას ერთი ტომი (პროზიდან) კაპიტალური კოლექტიური ნაშრომისათვის „ვაჟა-ფშაველას სიმფონია-ლექსიკონი“. სამუშაო შესრულდა თბილისის უნივერსიტეტის ვაჟა-ფშაველას კაბინეტის გამგის პროფ. გრ. კიკნაძის ინიციატივით (ამ მასალის საფუძველზე 1969 წელს გამოიცა „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი“ ალ. ჭინჭარაულისა).

პედაგოგიური ინსტიტუტის არსებობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ამავე ინსტიტუტის ნაშრომთა კრებული (ტ. XVIII) ქეთევან ძონენიძის ხელმძღვანელობით გამოქვეყნდა 1958 წელს.

პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის სემინარში ქეთევან ძონენიძემ განიხილა უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოები: არნ. ჩიქობავას „ენათმეცნიერების შესავალი“, ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკა“ (I, მორფოლოგია), ლ. კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“, აგრეთვე სავარჯიშოთა კრებულები - „მორფოლოგიის პრაქტიკუმი“ (ანტ. კიზირიასი) და „ქართული წინადადება“ (ალ. ლლონტისა).

ამავე კათედრას მოხსენდა ქეთევან ძონენიძის რეცენზიებიც სააპრობაციოდ მიღებული სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციებისა.

ქეთევან ძონენიძე გამოდიოდა მოხსენებებით პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო სესიებსა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციებზე (იხ. აქვე ნაშრომთა ბიბლიოგრაფია). ამავე დროს ეწეოდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას. წლების მანძილზე მას ირჩევდნენ საქალაქო საბჭოს დეპუტატად და სამაგალითოდ მუშაობდა, როგორც განათლების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე, ატარებდა ლექციებს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და საზოგადოება „ცოდნის“ ხაზითაც.

ქალაქ ქუთაისში საშუალო სკოლის მასწავლებელთა შეკრებაზე 1965 წლის 15 მაისს ქეთევან ძონენიძემ წაიკითხა ვრცელი მოხსენება ქართული ენის სახელმძღვანელოთა შესახებ. საჯარო განხილვისას ავტორებმა აკაკი შანიძემ, ივანე იმნაიშვილმა და ლევან კვაჭაძემ მომხსენებლის მრავალი კრიტიკული შენიშვნა გაიზიარეს.

ქეთევან ძონენიძე მონაწილეობდა შეხვედრებში და პირადად იცნობდა უცხოეთის კულტურის ზოგიერთ მოღვაწესაც.

ქეთევან ძონენიძე სკკპ წევრად მიიღეს 1946 წელს. დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“, „მამაცური შრომისათვის 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში“ და სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“.

მნიშვნელოვანია ქეთევან ძონენიძის გამოკვლევები ძველი და ახალი ქართული ენისა და ქართული დიალექტოლოგიის საკითხებზე.

როგორც მეცნიერს, ჰქონდა უტყუარი ალლო და თავისებური სტილი, შეეძლო საკითხის მიკვლევა და ახლის თქმა.

ჯერ კიდევ პედაგოგიური ტექნიკუმის მსმენელი იყო, როცა მოთხრობებს წერდა და დია ჩიანელიც ურჩევდა გაჰყოლოდა ამ გზას.

ქეთევან ძონენიძემ 1950 წელს ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „სახელთა ბრუნება ძველ ქართულში პავლეს ეპისტოლეთა მიხედვით“. „მან დანვრილებით შეისწავლა ამ ძეგლის აქაური (თბილისისა და ქუთაისის) ხელნაწერები და გამოარკვია მათი რედაქციული სახე... დისერტაცია ჩინებული გამოვიდა“ (აკაკი შანიძე).

... ქეთევან ძონენიძეს განხილული აქვს სხვადასხვა დროს და ცალ-ცალკე დავით გურამიშვილის ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, დავით კლდიაშვილის ენობრივი თავისებურებანი. კომპოზიტთა წარმოება ლევან გოთუას „გმირთა ვარამის“ მიხედვით, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი სამწერლო ენის სიტყვიერი მარაგი (და მისი დიალექტური სარეზერვო ფონდის მასალაც) რეცენზიაში რვატომიან განმარტებითს ლექსიკონზე. მეცნიერი ქალის არქივში დაცულია აგრეთვე ქუთაისში გიორგი ლეონიძის იუბილეზე წარმოთქმული სიტყვა (ახლახან დასტამბული), მგრძნობიარე წერილი იოსებ გრიშაშვილის პოეზიის შესახებ და მოგონებები ღია ჩიანელზე, სევერიან ისიანსა და ლადო ასათიანზე.

საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით მან პრესაში გამოაქვეყნა მოზრდილი სტატიები აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავასა და ვარლამ თოფურიას შესახებ.

ამ სტატიებში ავტორი მხატვრული ენით, მიმზიდველად აფასებს სახელოვან მამულიშვილთა ნაამაგარს.

* * *

ქეთევან ძონენიძემ იმერული დიალექტის შესწავლა დაიწყო 1947 წელს. მუშაობდა სისტემატურად ორ ათეულ წელზე მეტ ხანს. ფეხდაფეხ შემოიარა და გაეცნო 93 სოფელს (ზემო იმერეთის 80, ქვემო იმერეთის 13), სპეციალურად აწარმოებდა დაკვირვებას ზემოიმერულ მეტყველებაზე და მის ფონეტიკურ და გრამატიკულ მოვლენათა სრული დახასიათება მოგვცა ნაწილ-ნაწილ.

ავტორს არ დასცალდა, თორემ განზრახული ჰქონდა ენობრივ ანალიზთა გამთლიანება. ტექსტების დამუშავებაც ვერ მოასწრო. ლექსიკონი კი გამზადებული დარჩა. ნაშრომი მაინც მდიდარი და მრავალფეროვანია და გამოირჩევა საენათმეცნიერო ლიტერატურაში იმით, რომ ერთი კილოკავი რაიონების მიხედვით არის გამოკვლეული.

კვლევა-ძიებისას ვინც კი შეეხება იმერეთს, ამ ნამუშაკვეცს გვერდს ვერ აუვლის. მასში საჭირო ცნობებს იპოვის ყველა – ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ბუნებისმეტყველი...

... ამ კრებულში ენობრივი მიმოხილვის გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი თავები (აგრეთვე წერილებიც სპეციალურ საკითხებზე) დალაგებულია ქრონოლოგიურად. შერჩეულია ავტორის მიერ ჩანერილ უცნობ ტექსტთა ნაწილი და მისი ლექსიკური ერთეულებიც განმარტებულია. წიგნს ერთვის საძიებლები და ბიბლიოგრაფიაც.

ენობრივი მიმოხილვის საილუსტრაციო მასალაში (ვგულისხმობთ ნიმუშებს) ალაგ-ალაგ შეიმჩნევა ერთფეროვნება, რაც სოფელ-სოფელ მუშაობის შედეგია და მოსალოდნელიც, რადგან არა თუ ერთ კილოკავში, არამედ სხვადასხვა დიალექტშიც გვაქვს საერთო მოვლენები.

იმერული კილოს კილოკავთა შესახებ აღვნიშნავთ შემდეგს: ქეთევან ძონენიძის კლასიფიკაციით, იმერული კილო აერთიანებს ზემოიმერულ და ქვემოიმერულ კილოკავებს. ზემოიმერული გავრცელებულია ზემო იმერეთში (მოიცავს საჩხერის, ყოფილი ქიათურის, ზესტაფონისა და ორჯონიკიძის ადმინისტრაციულ რაიონებს), ხოლო ქვემოიმერული – ქვემო იმერეთში (ქალაქი ქუთაისი, თერჯოლის, ტყიბულის, მაიაკოვსკის, ნყალტუბოს, ნულუკიძის, სამტრედიისა და ვანის რაიონები). ნაწილობრივ ქვემოიმერულის მომხმარებელია აბაშის რაიონიც.

... ქეთევან ძონენიძის დახასიათებით, შუაიმერულ კილოკავად მიჩნეული თერჯოლის, ტყიბულისა და მაიაკოვსკის რაიონების მცხოვრებთა მეტყველება ნარევი შემადგენლობისაა – მასში ზემოიმერულის ნიშნებიც გვხვდება და ქვემოიმერული-

საც. მოჭარბებულად ან ერთია წარმოდგენილი, ან მეორე ამ რაიონების ტერიტორიული განლაგების შესაბამისად. თანაც ამ რაიონების მცხოვრებთა მეტყველებაში არ დასტურდება ისეთი საერთო, თავისთავადი მოვლენები, რომ შესაძლებელი იყოს მათი ერთ კილოკავად გაერთიანება ქვემოიმერულისა და ზემოიმერულის საპირისპიროდ. ის თავისებურებები, რომლებიც შუაიმერულ მეტყველებაში შეიმჩნევა, თქმის ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს.

ქეთევან ძონენიძემ შუაიმერული მეტყველება მიაკუთვნა ქვემოიმერულ კილოკავს იმ მოსაზრებით, რომ შუაიმერულში ქვემოიმერული თავისებურებები სჭარბობს ზემოიმერულისას. სამი რაიონიდან ტყიბულისა და მაიაკოვსკის რაიონების მცხოვრებთა მეტყველება ახლოა ქვემოიმერულთან. თერჯოლური მეტყველება კი – ზემოიმერულთან.

გავეცნოთ აკაკი შანიძის ერთი კერძო წერილს (1967წ.):

„წავიკითხე წელს „მაცნეში“ (№3) დაბეჭდილი შენი გამოკვლევა „ზემოიმერულ და ქვემოიმერულ კილოკავებთან მიმართებით შუაიმერულის საკითხისათვის“ და კმაყოფილი დავრჩი: ჩანს, როგორც ყოველთვის, ნიჭი და შემოქმედების ნაყოფი, ოღონდ სათაურს მე ისე გავაკეთებდი: „შუაიმერულის საკითხისათვის ზემოიმერულ და ქვემოიმერულ კილოკავებთან მიმართებით.“ მაგრამ ეს არაფერია: მთავარია, რომ გამოკვლევა კარგია და სიამოვნებით იკითხება“.

„ზემოიმერული ლექსიკონი“ შეიცავს ექვსი ათასზე მეტ სიტყვასა და გამოთქმას სოფლის მეურნეობის (მინათმოქმედების), შინამრეწველობა-ხელოსნობისა და საოჯახო საქმიანობის სხვადასხვა დარგიდან – იმერელთა წარსული და თანამედროვე ყოფა-ცხოვრებიდან. ეს ნაშრომი არსებული დიალექტური ლექსიკონებისაგან განსხვავდება შედგენის პრინციპითაც. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის წესისამებრ, აქაც ლექსიკურ ერთეულად მიღებულია ზმნის ანმყო-მყოფადის მესამე პირის ფორმა მხოლოობითს რიცხვში. მითითებულია მასდარზეც და ძირეულ სახელზეც. როცა ანმყო-მყოფადი ძნელი გამოსაყვანია და ძირიც უცნობი, ზმნა შედის იმ სახით, როგორადაც ზე-

პირმეტყველებაში დასტურდება; ჩვეულებრივ კი ახსნა-განმარტებებს ახლავს ფრაზეოლოგიაც. მოპოვებული მასალა შედარებულა ქართველურ ენათა ლექსიკოგრაფიულ წყაროებთან. დარგობრივი ლექსიკიდან დამუშავებულია კ ე რ ა მ ი კ ა.

ქეთევან ძონენიძემ ცოცხალი მეტყველების ამოუნურავი საუნჯიდან უცნობი მარგალიტები გამოავლინა. ათასობით სიტყვა და ფორმა აღმოაჩინა და გადაარჩინა დაკარგვას.

ქეთევან ძონენიძემ წარუშლელი კვალი გაავლო ქართველოლოგიაში.

შენიშვნა: მ. ალავიძემ ჯერ კიდევ 1970 წელს გაზეთ „ქუთაისში“ (19 ნოემბერი) გამოაქვეყნა ვრცელი სტატია „ორტომეული იმერულ დიალექტზე – ქეთევან ძონენიძის ღვანლი“; 1973 წლის 27 მარტს გაზეთ „ქუთაისში“ (რუბრიკით ახალი წიგნები) დაიბეჭდა ინფორმაცია სათაურით „ქართველოლოგიის ძვირფასი შენაძენი“ (ქეთევან ძონენიძის წიგნის გამოსვლის თაობაზე).

კორნელი დანელია

წიგნი და მისი ავტორი

ბედი იმ წიგნისა, რომელმაც მზის ნათელი ისე იხილა, რომ შემოქმედის ნაჯაფი ხელი არ შეჰხებია, რალაცით ჰგავს ბედს იმ ობლადშობილი ყრმისას, რომელსაც დედის სითბო არ ჰღირსებია. სევდით შეფერილი სიხარულის გრძნობა გეუფლება, როცა ხელში იღებ ახლახანგამოცემულ ქეთევან ძონენიძის წიგნს „ზემოიმერული კილოკავი“.

...უცქერ სურათს და ყოვნდები, არ ჩქარობ წიგნის წაკითხვას, თბილ მოგონებებს ვერ განერიდები ისე, როგორც, საჭიროების ჟამს, არ შეიძლება მას ზურგი შეექცია ვინმესათვის, თვით სრულიად უცნობისათვისაც კი. არაერთხელ გვინახავს ის ჯანგატეხილი, სამსახურებრივ საქმესა და ოჯახურ საზრუნავზე ფიქრმომრავლებული კეთილი გულის შინაგანი ხმით მანუგეშებლად, მშველელად ხელგამმართველად მოვლენია გულგატეხილთ, გზაუპოვნელთ. ასე უანგაროდ სიკეთის მთესავს სამაგიე-

როს მიღებაზე ფიქრი გულთან არასდროს გაუკარებია, რადგან ორგანულად სძაგდა ანგარება და თვალთმაქცობა. ის არა ნიშნის მოგებით, არამედ გულისტკივილით ამხელდა ცუდს.

სხვათა მიმართ უხვი და შემწყნარებელი, მკაცრი და ულმობელი იყო თვით საკუთარი თავისადმი: „მრცხვენია, ბატონი აკაკის იმედები ვერ გავამართლე, სულ ხელი მეშლება, ვერაფერი გავაკეთეო“. მეტის გაკეთება რომ შეეძლო, ეს ყველამ იცოდა. მაგრამ, რაც შეძლო, განა ცოტაა ასე უდროოდ ნასული მეცნიერისათვის? აკაკი შანიძე ხომ მას სამაგალითო და უსაყვარლეს მონაფედ თვლიდა და თავისი კათედრის გასაღონიერებლად დაჟინებით იწვევდა თბილისში. ქეთავან ძონენიძე არ აპყოლია დიდ მეცნიერად გახდომის მომხიბვლელ სურვილს (ჰქონდა კი ამის უფლება), რადგან მხოლოდ შინაგანი ხმით აკეთებდა ყოველთვის ყველაფერს. გრძნობდა, ჰაერივით სჭირდებოდა თავისიანებს, ახლობლებს ქუთაისში, ამიტომაც ვერ უსრულებდა თავის სათაყვანო მასწავლებელს თხოვნას.

...მოგონებებს ვწყვეტ და ვფურცლავ წიგნს, სინანულით ვკითხულობ არნოლდ ჩიქობავას სიტყვებს: „ქეთევან ძონენიძეს თავის სპეციალობაში ბევრი რამ შეეძლო ეთქვა, ჰქონდა სათქმელი და უთქმელი დარჩა“. თბილად, გულთბილად მოგვითხრობს მიხეილ ალავიძე ქეთევან ძონენიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მის პიროვნულ მომხიბლავობაზე: „ტოლ-მეგობრებში გამოირჩეოდა არა მარტო უბადლო ნიჭით, არამედ თავისებური ხასიათითაც. არაჩვეულებრივი სულიერი სითბო გააჩნდა... სიკეთეს თესავდა და სიყვარულს იმკიდა“. კითხულობ ამ სტრიქონებს და გრძნობ: უხვად გაღებული სიკეთის საზღაურად სიკვდილის შედეგად იმკის სიყვარულს.

ინეტერესით ეცნობი ჩინებულ გამოკვლევებს ზემოიძერული კილოკავის შესახებ, რომელშიც ცალ-ცალკეა წარმოდგენილი ოთხი რაიონის (ორჯონიკიძის, საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონის) მცხოვრებთა მეტყველების ნიშანდობლივი თავისებურებანი. ავტორს სულ 93 სოფლის მეტყველება შეუსწავლია ადგილზე. არ დასცალდა კვლევა-ძიების შედეგების გამთლიანება, ზემოიძერული კილოკავის სრული და ზოგადი დახასიათების

მოცემა. მაგრამ გჯერა დაკვირვებული მკითხველი მონაკვეთე-ბად დაწერილი გამოკვლევებიდანაც უტყუარ ინფორმაციას მიი-ღებს. კმაყოფილებას განიჭებს, რომ ავტორმა მაინც შეძლო ზე-მოიმერული და ქვემოიმერული კილოკავების არსებითი სადე-მარკაციო ნიშანდობლივობათა დადგენა შრომებში: „ზემოიმე-რული კილოკავი ქვემოიმერულთან მიმართებით“, „შუაიმერუ-ლის საკითხისათვის ზემოიმერულ და ქვემოიმერულ კილოკა-ვებთან მიმართებით“, რომლებიც ერთ-ერთი საუკეთესოთაგა-ნია არა მარტო ავტორის, არამედ საერთოდ ქართულ დიალექ-ტოლოგიურ გამოკვლევებს შორის.

მადლობის ღირსი არიან რედაქტორები, რომ ზემო იმერუ-ლის დახასიათებას დაურთეს სპეციალურ საკითხებზე ადრე და-წერილი ისეთი შრომები, რომლებიც ზემოიმერულს უშუალოდ ეხება („ევ სუფიქსისათვის ზემოიმერულში“, „თურმეობითი მე-ორის ერთი თავისებურება ზემოიმერულში“, „უნიფორმაციის ტენდენციის მოქმედების ერთი ნიმუში ზემოიმერულში“), ასევე ზემოიმერულთან ქვემოიმერულის მიმართებასა და მხატვრულ ნაწარმოებებში იმერიზმების გამოვლენას ეძღვნება („ქვემოიმე-რულის უხუთური მეტყველება“, „აკაკი წერეთლის ენა“, „დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა მეტყველება“).

ნიგში ნარმოდგენილ სანიმუშოდ ჩანერილ და დაბეჭდილ ტექსტებს წმინდა ენათმეცნიერულ მნიშვნელობასთან ერთად დამოუკიდებელი ლიტერატურული წყაროს ღირებულებაც აქვს, რომელშიც თავისთვის საჭირო მასალას იპოვის მწერალი, ფოლ-კლორისტი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ბოტანიკოსი, ზოოლოგი და მრავალი სხვაც.

ჩვეულებრივ მხატვრულ ნაწარმოებზე იტყვიან: მასში მწერლის სული ჩანსო. რამდენადმე ეს ზოგიერთ მეცნიერულ ნიგნზეც ვრცელდება თურმე. გჯერა, რომ „იმერულ კილოკავ-ში“ ჩანს ავტორის ნათელი ინტელექტი, მაღალი პასუხისმგებ-ლობა, უდრტვიწველი შრომისმოყვარეობა, უზადო ანალიზი, პოეტური მგრძნობელობა სიტყვისა და ნატიფი სტილი. და მა-ინც ფიქრობ, ეს ცოტაა ქეთევან ძონენიძის ბუნებისა და მეცნი-ერულ შესაძლებლობათა გამჟღავნებისათვის. არ გასვენებს

სიტყვები: „ბევრი რამ შეეძლო ეთქვა, ჰქონდა სათქმელი და უთქმელი დარჩა“. უთქმელი ბევრი დარჩა... კიდევ კარგი, რომ ნაწილის თქმა მაინც მოასწრო საკუთრივ თავისი სათქმელისა, კიდევ კარგი, რომ მის მეცნიერულ პოტენციაზე არასრული, მაგრამ გარკვეული წარმოდგენა მაინც გვექნება, როცა „ზემოიმერულ კილოკავს“ გვერდში ამოუდგება მალე კიდევ ორი, მეტად ფასეული წიგნი „ზემოიმერული კილოკავის ლექსიკონი“ და „პავლეს ეპისტოლეთა ქართული რედაქციები“.

ხურავ წიგნს და გრძნობ: წიგნი ყველაფერს როდი გვეუბნება თავის შემოქმედზე, განუცხადებელი რჩება გულის სითბო, სათნოება, ზნეკეთილობა.

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1973, 6 მარტი

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ლ ლ ო ნ ტ ი

ქართული ენათმეცნიერების ანიჰონელოვანი შენაჩენი

ქეთევან ძონენიძის შრომების გამოცემის გამო

ჩემს წინ ძვეს ქეთევან ძონენიძის ორი წიგნი: „ზემოიმერული კილოკავის ენობრივი მიმოხილვა“ (1973 წ.) და „ზემოიმერული ლექსიკონი“... ერთად აღებული 1200-ზე მეტ გვერდს შეიცავს. ეს შრომები ახალი მასალებით ამდიდრებენ ქართულ დიალექტოლოგიას.

ქ. ძონენიძეს ჩვენ ვიცნობდით როგორც ქართული ენის სტრუქტურისა და კილოთქმათა ნიჭიერ მკვლევარს, უმაღლესი სკოლის ჩინებულ მოღვაწეს, სამაგალითო პედაგოგს, ღირსეულ პატრიოტს. 53 წლის ასაკში შეწყდა ამ შესანიშნავი მოღვაწე ქალის გულისცემა, მისი უდროოდ დაკარგვა მძიმე დანაკლისი იყო ჩვენი მეცნიერებისა და უმაღლესი სკოლისათვის.

პირველი წიგნი ორ ნაწილს შეიცავს. პირველ ნაწილში თავმოყრილია ქ. ძონენიძის მიერ 25 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული დაკვირვებანი ზემოიმერულის სტრუქტურისა და ლექსიკის, აგრეთვე საერთოდ ქართული დიალექტოლოგიის სა-

კითხვებზე, მეორე ნაწილში კი წარმოდგენილია ადგილებზე ჩანერილი ტექსტები. საანალიზოდ აღებულია იმერეთის ოთხი რაიონის (ხარაგოულის, საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონის) მეტყველება. ტექსტებიც ამ რაიონებშია შეკრებილი.

ზემოიმერეთისა და ქართლის საზღვარზე ინასკვება ორი დიალექტის შეხვედრის წერტილები. ქ. ძონენიძეს შეუსწავლია დასავლეთის კილოკავის მდგომარეობა და შეუჯერებია ზემოქართლურისათვის. უკანასკნელად ზემოქართლურის მიმართება ზემოიმერულთან გამოიკვლია გრ. იმნაიშვილმა და ახლა ხელთა გვაქვს მისი მონოგრაფია „ქართლური დიალექტი“ (1974)... ქ. ძონენიძისა და გრ. იმნაიშვილის დამსახურება აქ უეჭველად მნიშვნელოვანი და საგანგებოდ აღსანიშნავია. *(შემდეგ სტატიის ავტორი დანვრილებით იხილავს წიგნში წარმოდგენილი კვლევის შედეგებს, ცალკეულ ენობრივ მოვლენებს – ჟ.ფ.).*

...ფასეულია მისი დებულება: „იმერული კილოსათვის ნიშანდობლივია ძლიერი დიალექტური დიფერენციაციაცია.“ მხარდასაჭერია ქ. ძონენიძის ცდა შუაიმერულის, როგორც სპეციფიკური დიალექტური ერთეულის, გამოყოფის შესახებ, რის დასაბუთებასაც ეძღვნება სპეციალური ნარკვევი...

მეტად დასანანია, რომ ავტორს არ დასცალდა მოპოვებული და ადრე გამოქვეყნებული მასალის ერთი მონოგრაფიის დონეზე დალაგება, მაგრამ ცალკე ნარკვევები მაინც საკმარისად სრულ წარმოდგენას გვაძლევს ქ. ძონენიძის კონცეფციის ძირითად მხარეებსა და საკითხების იმ წრეზე, რომელთა განხილვასაც ის მთლიან მონოგრაფიაში აპირებდა.

... მეორე წიგნი... მთლიანად ეთმობა ზემოიმერულის ლექსიკონს, რომლის შედგენაზე ავტორს ოცი წელიწადი უმუშავია. ვეცნობით მდიდარ ლექსიკურ ფონდს. გათვალისწინებულია არა მარტო თავად ავტორის მიერ შეკრებილი, არამედ სხვა წყაროებში დამონმებული სიტყვარი... გამოცემა ცხოველი ინტერესის შემცველია... ქ. ძონენიძის ნაშრომი... გვანვდის ახალ ცნობებს, აზუსტებს ცალკეულ სიტყვათა არსებულ განმარტებებს. ამიტომ მთელი ეს ლექსიკური მასალა ჩვენი დიალექტოლოგიის ძვირფასი შენაძენია.

მეორე წიგნს ამშვენებს თანდართული ზმნური ერთეულე-ბის საყრდენ ფუძეთა საძიებელი, დარგობრივი ლექსიკის ნიმუ-შები (ზემოიმერული კერამიკა), ზემოიმერეთის ტოპონიმების, ჰიდრონიმების, ორონიმების, ანთროპონიმების (სახელების, მეტსახელების, გვარების) სიები.

... ახლა ერთადაა თავმოყრილი განსვენებული მოღვაწის მეცნიერული მემკვიდრეობა და მკითხველს საშუალება აქვს თვალნათლივ წარმოიდგინოს მისი ღვაწლი.

გაზ. „ქუთაისი“, 1974, 23 აგვისტო

ს ე რ გ ო თ უ რ ნ ა ვ ა

ფრანგული ჟურნალის ფურცლებზე

გასულ წელს გამოიცა ქეთევან ძონენიძის ფუნდამენტური ნაშრომი „ზემოიმერული ლექსიკონი“... წიგნმა მკითხველის ყუ-რადღება მიიპყრო, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაინერა მრავალი რეცენზია, რომლებშიც მაღალი შეფასება მისცეს ნაშ-რომს. ამ წიგნით დაინტერესებულა აგრეთვე საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო-საკვლევო ცენტრის ჟურნალი „რევიუ დე ქართველოლოჟი“, რომელსაც ამა წლის ბოლო ნომერში მო-უთავსებია მასალები ამ წიგნზე.

ჟურნალის რედაქცია იწონებს ქართველი მეცნიერის წიგნს და უცხოელ მკითხველებს გადასცემს შესავალი სტატიის ძირითად დებულებებს: „ქეთევან ძონენიძემ, - წერს ჟურნალი, - ზემოიმერული კილოკავი სოფელ-სოფელ შეისწავლა. ეს ლექსი-კონიც მისი მონოგრაფიის ნაწილია და მუშავდებოდა თითქმის ოცი წლის განმავლობაში. ავტორს დარჩა ის დასრულებული ხელნაწერის სახით (გარდაიცვალა 1969 წელს).

ნაშრომი მიზნად ისახავს აღნუსხოს და დაახასიათოს ზე-მოიმერული კილოკავის სიტყვობრივი მარაგი. იგი სრულია, მდიდარი და თავისებური აღნაგობაც აქვს. ქეთევან ძონენიძემ გამოიყენა ლექსიკონის შედგენის ახლებური პრინციპიც. დია-ლექტური მასალა (ლექსიკური და ფრაზეოლოგიური) შერჩეუ-

ლია იშვიათი გემოვნებით. ლექსიკონს ახასიათებს ზუსტი განმარტებები, საგანთა და მოვლენათა დეტალური აღწერა.

ჟურნალის რედაქცია ქართველი მეცნიერის ნაშრომს მიიჩნევს მნიშვნელოვან მოვლენად და დაასკვნის: „ქეთევან ძონენიძის მიერ მოპოვებული უცნობი დიდძალი ზემოიმიერული მასალა ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკურ სარეზერვო ფონდს გაამდიდრებს. იგი საჭირო და ფასეულია ქართველურ ენათა ისტორიული შედარებითი შესწავლისათვის.

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1975, 18 სექტემბერი

შენიშვნა: 1. *თურნავას ეს სტატია დაბეჭდა გაზეთმა „ქუთაისმაც“ (1975, 20 სექტემბერი).*

2. *ქეთევან ძონენიძის არქივში მის წიგნებთან დაკავშირებით აღმოჩნდა აგრეთვე ერთი ასეთი საინტერესო ინფორმაცია, რომელიც მინერილი იყო ქეთევანის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მოსაწვევ ბარათზე (1991წ.):*

„ვენის აეროპორტში შევხვდი თბილისის უნივერსიტეტის კულტურის ისტორიის კათედრის პროფესორ გურამ ლორთქიფანიძეს, რომელმაც მიაშბო, რომ თურმე ერთ-ერთ ავსტრიელ ქართველოლოგს ვენის ერთ-ერთ ბუკინისტურ მაღაზიაში 3.000 შილინგად (დაახლ. 300 დოლარად) უყიდია ქეთევან ძონენიძის წიგნი.

ჩემი აზრით, უკვე ეს მკვლევრის დიდი აღიარებაა!“

გია ნახუცრიშვილი

* * *

1974 წელს გამოვიდა თსუ-ს ძველი ქართული ენის კათედრის შრომების გრიფით (ტ.XVI)

პ ა ვ ლ ე ნ ი

პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები.

გამოსაცემად მოამზადეს ქეთევან ძონენიძემ და კორნელი დანელიამ აკაკი შანიძის რედაქციით.

სიტოცხლე გრძელდება

ლილი ნუცუბიძე

შენ ცოცხლოვ მაშინ

ქეთევან ძონენიძეს

იქნებ ამ ლექსში კიდევ გავთავდე,
შენი წილი მზე ჩემში ატირდეს,
თუ ვერ შეგბედე სიტყვა აქამდე,
ალბათ გამიგებ და მაპატიებ.

ჩემს სულში ენთე სინათლის სვეტად,
ასე მგონია დღეს დავრჩი უფროდ,
შენ მე დამაკლდი ყველაზე მეტად
და მეტკინები თანდათან უფრო.

იქნებ სათქმელი ახლაც ვერ გითხრა,
ცივ სამარესთან დუმილი მიმძიმს,
რამდენჯერ ჩუმად მომნატრებიხარ,
ამ გულის მეტმა არავინ იცის

ხმა ჩაეხლიჩათ სექტემბრის ზარებს
და სულში ზამთრის ქარები ჰქრიან,
შენ ალბათ ქვეყნად მოხვედი ადრე,
ძალიან გვიან მოხვედი ანდა,
სწორედ ამიტომ არავის ჰგავდი,
სწორედ ამიტომ არავინ გგავდა.

იების სუნთქვას მოგიტან პეშვით
და გაურჩეველ ზმნაზე ვინაღვლებ,
ბედნიერება თუ არის ცრემლში
და მოგონება – თუა სიმაღლე,
შენ ცოცხლობ მაშინ...

1970, 27 დეკემბერი

ბატონო ბუჭა!

... ქალბატონი ქეთო იყო იმ აქტიურ მეცნიერთა ერთ-ერთი მოთავე, რომლებიც ქუთაისის საოლქო კომიტეტის არსებობის პერიოდში შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ ყველა ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ. მე იმ დროს ვხელმძღვანელობდი საოლქო კომიტეტის უმაღლესი და საშუალო სკოლების განყოფილებას და ქეთო, როგორც დიდი მეცნიერი, ბროლივით სპეტაკი ადამიანი, პირდაპირი, პრინციპული, ყოველთვის გვერდში გვედგა სამართლიანობისა და ჭეშმარიტებისათვის ბრძოლის საქმეში. იგი უშუალო მონაწილე და მონმე იყო ყველაფრისა, რასაც განყოფილება ატარებდა წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ იმ პერიოდში (1951-1953 წლებში – ჟ.ფ.) პირადი ცხოვრება არ გვექონია. დღედაღამ მძიმე, მაგრამ საჭირო ბრძოლაში ვიყავით ჩაბმული...

...საოლქო კომიტეტი გაუქმდა 1953 წლის ივლისში. დაიწყო განაწყენებული ხალხის ცილისმწამებლური კორესპონდენციების ბეჭდვა გაზეთებში. მადლობის ნაცვლად კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. სამუშაოსაც არ მაძლევდნენ. აი სწორედ ამ პერიოდს ეხება ქალბატონ ქეთევანის წერილი... (იხ. ზემოთ, გვ. 94-95 - ჟ.ფ.).

გითხრათ გულწრფელად, აღნიშნულმა წერილმა დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე როგორც ფსიქოლოგიურად, ისე მორალური თვალსაზრისით. ახდა ქეთოს წინასწარმეტყველება – სიმართლემ გაიმარჯვა. საქ. ცკ-ს (ახალმა შემადგენლობამ) ბიურომ განიხილა ჩემი საკითხი გამამართლა და კვლავ საქ.ცკ-ში დამაწყებინა მუშაობა, სადაც მე დიდხანს არ დავრჩენილვარ – ჩემივე სურვილით ისევ მეცნიერებას დავუბრუნდი... მე დავიცავი საკანდიდატო, სადოქტორო დისერტაციები და მივიღე პროფესორის წოდებაც. როგორც მოგეხსენებათ, ამჟამად ვმუშაობ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში კათედრის გამგედ...

ყოველივე ამას მოგახსენებთ იმისათვის, რომ წარმოადგენა გქონდეთ იმ პერიოდის... საქმიანობის შესახებ, რომელსაც ქალბატონი ქეთო აღნიშნულ წერილში ეხება.

რაოდენ დასანანია, რომ დღეს ცოცხალი აღარ არის ეს დიდი მეცნიერი, დიდი მოქალაქე, რომლისთვისაც ყოველ რთულ სიტუაციაში მართალი სიტყვა არასდროს დეფიციტს არ წარმოადგენდა.

დიდის პატივისცემით იროდიონ მაჩაიძე

3.III.1987

რ უ ს უ დ ა ნ ზ ე ქ ა ლ ა შ ვ ი ლ ი
რ ა ფ ი ე ლ შ ა მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი

ენათმეცნიერის ხსოვნას ეძვნება

სინტაქსის საკითხებზე დღემდე მრავალი საყურადღებო ნაშრომი შეიქმნა. მაგრამ ზეპირი მეტყველების სინტაქსის პრობლემები თითქმის ხელუხლებელი დარჩა, თუმცა იგი ადრიდანვე იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას. ამიტომ უდავოდ მისასაღმებელია გამოცემა ლეილა კვანტალიანის ნაშრომისა „ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები“ (რედაქტორი პროფ. გ. როგავა) (რეცენზიაში ვრცლად არის განხილული აღნიშნული წიგნი – ჟ.ფ.).

... ნაშრომში ახალი სიტყვაა თქმული ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის რამდენიმე საკითხზე, მაგრამ ეს ახალი სიტყვა ძალიან მოკრძალებული ფორმითაა გამოთქმული. გამოკვლევა ემყარება სანდო წყაროებს, შეიცავს ფრიად საჭირო რეკომენდაციებს, დასკვნები კარგად არის ჩამოყალიბებული, მაგრამ ჩვენს ურთიერთობას ამ ნაშრომთან ზემოთქმულით არ ვამთავრებთ. წიგნს წამძღვარებული აქვს ასეთი სიტყვები: „**ეძვნება ქეთევან ძონენიძის ხსოვნას**“. არ შეიძლება ამან არ ჩააფიქროს მკითხველი, რადგან ქუთაისი და ქეთევან ძონენიძე განუყოფელია. იგი გახლდათ ბრწყინვალე ლინგვისტი, აკ. შანიძის, გ. ახვლედიანის, არნ. ჩიქობავასა და ვ. თოფურიას უსაყვარლესი სტუდენტი, ენათმეცნიერებაში აკადემიკოს ქ. ლომთაიძისა და პროფესორ თ. შარაძენიძის რანგის მკვლევარი .

სწორედ ასეთი წიგნი, ამ დონის მეცნიერული გამოკვლევა შეეფერება ქალბატონი ქეთევანის ნათელ ხსოვნას და გულწრფელი მადლობა ეკუთვნის იმ ადამიანს, ვინც ეს კარგი და სასიამოვნოდ საკითხავი მეცნიერული გამოკვლევა შექმნა.

გაზ. „ქუთაისი“, 1990, 11 ივლისი

* * *

1991 წლის 20 დეკემბერს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენის კათედრამ ჩაატარა ქეთევან ძოწენიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

პ რ ო ბ რ ა მ ა

შესავლი სიტყვა — უნივერსიტეტის რექტორი
პროფ. შ. ა. თოდუა

1. ქეთევან ძოწენიძის ცხოვრება და წვლილი ქართველოლოგიაში — პროფ. შ. ალაფიძე
2. ენათმეცნიერული წიგნდღეობები ქეთევან ძოწენიძის შრომებში — პროფ. რ. შამელაშვილი
3. ჭეთევან ძოწენიძე როგორც ქართული დიალექტების მკვლევარი — დოც. კ. კუზლაშვილი
4. ქართული მწერლობის ენის საკითხები ქ. ძოწენიძის შრომებში — დოც. შ. ჯაცარავაძე
5. ქ. ძოწენიძის ენათმეცნიერული ნაშრომები ძველ ქართულში — დოც. უ. ფეიქრიშვილი
6. მოგონებები.

სამეცნიერო სესია მართლაც გულთბილ ვითარებაში ჩატარდა: მომხსენებლებმა წარმოაჩინეს მისი მეცნიერული შემკვიდრობის ძირითადი შედეგები, ხოლო ახლობელთა და კოლეგების მოგონებებში ერთხელ კიდევ გაცოცხლდა ეს განუმეორებელი პიროვნება ოდენ მისთვის დამახასიათებელი ღირსებებით, ზნეკეთილობითა და გამორჩეულობით...

სესიაზე წაკითხულ მოხსენებათაგან ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ ორიოდ მათგანს შემოკლებული სახით.

მ ი ხ ე ი ლ ა ლ ა ვ ი ძ ე

ქეთევან ძონენიძის ცხოვრება და ნვლილი ქართველოლოგიაში

მოსხენება სესიის წინა დღეს დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში“ (1991, 19.XII) სათაურით „ხსოვნა სიცოცხლის გავრძელება“, რომელშიც ძირითადად განმეორებულია ზემოთ წარმოდგენილი ნარკვევის მასალები. ამჯერად დავიმონტებთ რამდენიმე განსხვავებულ ნაწყვეტს.

...ქეთევან ძონენიძემ ცოცხალი მეტყველების ამოუნურავი საუნჯიდან უცნობი მარგალიტები გამოავლინა, ათასობით სიტყვა და ფორმა აღმოაჩინა და გადაარჩინა დაკარგვას. ქართული ენის ამ ერთგულ მაშვრალსაც მგზნებარე პატრიოტი გიორგი ლეონიძე დიდებით შეამკობდა: „შენ სამკურნალო ბალახებივით მოგიკრეფია სიტყვა ქართული“.

... ქეთევან ძონენიძის ცხოვრება, მისი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა და შემოქმედებითი შრომა მისაბაძი მაგალითია ჩვენი ახალგაზრდობისთვის.

... ნუთისოფელს ესტუმრა და აღარ არის მამულისათვის თავდადებული ენათმეცნიერი ქალი. მან საქმით და დაუცველად მოიპოვა უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი და წარუშლელი კვალი გაავლო ქართველოლოგიაში.

ჟ უ ჟ უ ნ ა ფ ე ი ქ რ ი შ ვ ი ლ ი

ქეთევან ძონენიძის ენათმეცნიერული ნაშრომები კვლ ქართულში

... ქ. ძონენიძე გახლდათ ჩინებული მეცნიერი და ჭეშმარიტი აღმზრდელი. მისი ყოველი სიტყვა, როგორც დაუნერელი კანონი, უსაზღვრო ძალასა და ენერგიას ჰმატებდა სტუდენტს. თითქოს ახლაც ჩამესმის მის მიერ ლექციებზე არაერთგზის წარმოთქმული წინადადება: „როცა ახალგაზრდა ვიყავი, ცხოვრება ვარდისფერი განთიადი მეგონა“. ჩვენც, მის შეგირდებს, ის

წლები მართლაც გვეგონა ვარდისფერი განთიადი, განთიადი, სადაც საყვარელი მასწავლებლის თანადგომით იკვეთებოდა ჩვენი ჭაბუკური ოცნებანი და სამომავლო გეგმები.

... ქალბატონ ქეთევანთან შეხვედრა ყოველთვის მაღელვებდა, მაგრამ ეს იყო ღელვა სიყვარულისა, სიხარულისა, მისი სიახლოვის ნატვრისა.

ქ. ძონენიძის ყოველი ლექციის თეორიული დებულებანი გაფერებული იყო პოეზიის სურნელით, ხოლო თავად ლექტორის სიტყვები - „შეზავებული მარილითა მადლისაჲთა“. და, რაც მთავარია, ღვთისაგან მომადლებული ნიჭიერების ნყალობით, ადვილად ხელენიფებოდა ქართული ენის გრამატიკის ურთულესი საკითხებიც კი მისანვდომი გაეხადა სტუდენტებისათვის. მისი ლექციები ავლენდა ლექტორის ფართო ერუდიციას, დიდ განათლებას, საგნის განსაკუთრებულ სიყვარულსა და პატივისცემას. და მაშინ, არც კი ვიცოდით, თუ ჩვენი ქეთო მასწავლებელი ასევე ღრმად და საფუძვლიანად იცნობდა ძველი ქართული ენის გრამატიკის საკითხებსაც. არ ვიცოდით, რომ მისი პირველი მეცნიერული ნაშრომები სწორედ ძველ ქართულში დაიწერა.

ახალი აღთქმის ხელნაწერი ტექსტებით ქ. ძონენიძის დაინტერესება განსაზღვრა ა. შანიძემ. ამ ფაქტს თავად ხელმძღვანელი 1974 წელს ასე იგონებდა: „ჯერ კიდევ 40-იან წლებში პავლეს ეპისტოლეების მეცნიერული შესწავლის საქმე მივანდე ერთ ჩემს მოწაფეთაგანს, ჯერ ჩემს სტუდენტს, შემდეგ ჩემსავე ასპირანტს და მერე კი ქუთაისის პედაგოგიკის ქართული ენის კათედრის გამგეს დოცენტ ქეთევან ძონენიძეს.“

სწორედ ამ დროიდან დაიწყო ქ. ძონენიძემ ძველი ქართული ხელნაწერების მონოგრაფიული შესწავლა.

ტექსტებზე დაკვირვებამ ახალგაზრდა მკვლევარი მალე დაარწმუნა, რომ ქართულ ლინგვისტიკაში დამკვიდრებული ბევრი ენობრივი მოვლენის კვალიფიკაცია მოითხოვდა ხელახალ გადასინჯვასა და დაზუსტებას.

იმხანად სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული იყო, რომ **-გან** თანდებულებანი მოქმედებითი გამოხატავს მოქმედე-

ბის საწყის პუნქტს დროსა და სივრცეში და მიუგებს კითხვებზე საიდან? რა დროიდან?

ძველი ქართულის საილუსტრაციო მაგალითები კი სხვაგვარ ჩვენებას ილევოდა. მალე ქ. ძონენიძემ 1946 წელს დაბეჭდილი საყურადღებო გამოკვლევით „გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში“ დაასაბუთა, რომ გან თანდებულიანი მოქმედებითის თავდაპირველი ფუნქცია იყო მოქმედების საწყისის გამოხატვა დროში; ადგილის აღნიშვნა მას შედარებით გვიან დაეკისრა, ეს ფუნქცია მისთვის მეორეულია.

1947 წელს დაიბეჭდა ქ. ძონენიძის ახალი გამოკვლევა „ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში“.

ძველი ქართულის ნორმების მიხედვით, ემფატიკური ხმოვანი მოუდიოდა მხოლოდ საზოგადო სახელებს სამ ბრუნვაში (მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში).

ქ. ძონენიძის წინაშე ბუნებრივად დაისვა ორი კითხვა: 1) დაცულია თუ არა ძველი ქართულის ნორმები ა-ს ხმარების თვალსაზრისით; 2) როდის არა აქვს საზოგადო სახელებს მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში ემფატიკური დაბოლოება? ამ კითხვებზე გაცემულ იქნა ასეთი პასუხები: 1) ემფატიკური ა ხელნაწერებში დაცულია ყველგან, სადაც მას ძველი ქართულის ნორმები მოითხოვს; 2) ემფატიკური ხმოვანი საზოგადო სახელს არ დაერთვის, როცა ის კომპოზიტის ან შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია. ეს წესი სისტემებრაა გატარებული.

ქ. ძონენიძემ ძველ ქართულში წლების მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგები ჩამოაყალიბა მონოგრაფიაში, რომელიც 1950 წელს წარადგინა სადისერტაციო ნაშრომად ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით“.

წინასიტყვაობაში ავტორი მიუთითებს, რომ საანალიზოდ გამოყენებულია პავლეს ეპისტოლეების სამი ხელნაწერი. არც ერთ მათგანს არ ახლავს ანდერძი, შესაბამისად, არაა მინიშნე-

ბული ხელნაწერის გადაწერის ადგილი, დრო, გადამწერისა და მომგებლის ვინაობა.

ქ. ძონენიძემ, პირველ ყოვლისა, ხელნაწერთა სხვადასხვა ნუსხის ურთიერთმეჯერებისა და ამ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებათა გათვალისწინებით ეპისტოლეთა შედგენის თარიღად X საუკუნე მიიჩნია.

„თემის დამუშავებისას მთლიანად ვემყარებოდით სამ ხელნაწერს, - წერს დისერტანტი. - სახელთა ბრუნებისას ჯერ განვიხილავდით ძველი ქართლის მოქმედ ნორმებს, შემდეგ, თუ იყო, ამ ნორმიდან გადახვევებს, როგორც ჩვენი ხელნაწერების თავისებურებათა განმსაზღვრელებს.“

მართლაც, ამ პრინციპითაა დაწერილი მთელი ნაშრომი, მასში გამოვლენილია მრავალი ახალი ენობრივი ფაქტი, მეტად მნიშვნელოვანი დაკვირვებანი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის თვალსაზრისით.

სადისერტაციო ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს ოფიციალურმა ოპონენტებმა ილია აბულაძემ და ვარლამ თოფურიამ. დისერტაციაში წარმოჩენილი ძირითადი დასკვნები ახალი სიტყვა იყო ქართულ ენათმეცნიერებაში.

ქ. ძონენიძემ გარდა ძველი ქართულის თეორიული საკითხების კვლევისა, შრომატევადი სამუშაო შეასრულა ეპისტოლეთა ტექსტის დადგენისა და გამოცემისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ფიზიკურად ველარ შეძლო საქმის ბოლომდე მიყვანა. ძეგლის გამოცემა დაასრულა მისმა ყოფილმა სტუდენტმა, ამჟამად პროფესორმა კ. დანელიამ და 1974 წელს დასტამბა წიგნად „პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიების“ სახელწოდებით.

მართალია, დისერტაციის დაცვის შემდეგ ქ. ძონენიძის შემოქმედებითს საქმიანობაში ძირითადი ადგილი დაიკავა ახალი ქართულისა და დიალექტების მეცნიერულმა კვლევამ, მაგრამ ძველ ქართულში მისი ნაღვანი – სანდო და უტყუარი დასკვნები – ყოველთვის იქნება ენათმეცნიერთათვის ყურადსაღები და ანგარიშგასანევი.

გადმობეჭდილია წიგნიდან — ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მოამაგენი, თბ., 2006.

ლ ე ი ლ ა თ ე თ რ უ ა შ ვ ი ლ ი

ქეთევან ძონენიძე – პიროვნება და ინდივიდუალობა

მცირე შემოკლებით დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (1997, 2-9 მაისი).

ქეთევან ძონენიძე 53 წლისაც არ იყო, როცა გარდაიცვალა. მაშინ ქუთაისში უებრო შემოდგომა ენთო... უეცრად ქალაქი დაიძაბა: დიდი ქალბატონი გარდაიცვალა, ქალაქს დააკლდა მკვეთრი ინდივიდუალობით გამორჩეული, ცნობილი ენათმეცნიერი, საყვარელი მასწავლებელი და ჭეშმარიტი მოქალაქე.. მის შესახებ მუდამ დადიოდა ლეგენდები, იგი ყველას აინტერესებდა, მისი იმედი ბევრს ჰქონდა. სიცოცხლის ბოლო დღეები ლეგენდებით მოიფინა, რადგან ქუთაისი ასე უბრალოდ და „ყოფითად“ ვერ შეეღწეოდა მასში გაცხადებულ თავის სულიერებას.

ქეთევან სამსონის ასული ძონენიძე ქუთაისში დაიბადა 1916 წლის 23 დეკემბერს, ოჯახში, სადაც დამკვიდრებული იყო შრომისა და წიგნის სიყვარული, ურთიერთპატივისცემა. აქ დაასრულა სკოლაც და უმაღლესი სასწავლებელიც – ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. იმხანად ქუთაისში ცნობილი მეცნიერები კითხულობდნენ ლექციებს, შალვა ნუცუბიძე და ვახტანგ კოტეტიშვილი, გიორგი ახვლედიანი და აკაკი შანიძე, მოსე გოგიბერიძე, ანგია ბოჭორიშვილი, არნოლდ ჩიქობავა და ვარლამ თოფურია, კორნელი კეკელიძე, მიხეილ ზანდუკელი, სხვებიც. ყოველ მათგანს უნდოდა დაემონაფეხინა ეს უზადო სულიერებით აღბეჭდილი ქალიშვილი.

ქ-ნი ქეთევანისაგან მსმენია, და არამართო მისგან, რომ მისი მასწავლებლები ისურვებდნენ, ლიტერატურის მკვლევარი გამოსულიყო იგი. არ უნდოდათ, მისი ბობოქარი სული გრამატიკის სალტეებს შეეზღუდა და თუ მაინც ისე მოხდა, რომ ქ-ნი ქეთევანი ენათმეცნიერი გახდა, აქ მისმა დიდმა მასწავლებლებმა იაქტიურეს. პროფესორ ვარლამ თოფურიას მზრუნველობით გამოვლინდა ქეთევან ძონენიძე, როგორც გამორჩეული სტუდენტი და მომავალი ენათმეცნიერი. აკადემიკოს აკაკი შანიძესთან ერთად სწო-

რედ ვარლამ თოფურია ბრძანდებოდა ქ-ნი ქეთევანის ასპირანტურის ხელმძღვანელი. ასპირანტურა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიარა, შემდეგ კი განუწყვეტილად მუშაობდა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჯერ კათედრის უფროს მასწავლებლად, შემდეგ – დოცენტად, 1958 წლიდან – ქართული ენის კათედრის გამგედ.

ქეთევან ძონენიძე იმთავითვე საყოველთაო სიყვარულით იყო გარემოცული. სკოლაში – ნარჩინებული, ბუნებით პოეტი, წერის საგანგებო უნარით გამორჩეული მე-7 კლასელმა გოგონამ თავის თხზულებით აღაფრთოვანა მასწავლებელი – ცნობილი მწერალი დია ჩიანელი, რომელმაც ვრცელი მინაწერი გაუკეთა საოცარი ბავშვის თხზულებას: „გაჰყევი ამ გზას და იგი დაგაჯილდოებს ისე, როგორც არც ერთი ქართველი ქალი არ დაუჯილდოებია“.

ქეთევანი — ნიჭიერი და შრომისმოყვარე – რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი ნათქვამია, მის ინდივიდუალობაზე ისეთს არაფერი ამბობს, ის, რაც ქეთევანს სხვათაგან გამოჰყოფდა, იყო თავისი საქმიანობის ხელოვნებად, პოეზიად მოწოდების უნარი, თანაც ისე, რომ მასში იგრძნობოდა თავისი საქმის ოსტატი, ღრმად აკადემიური და ისეთი სადა (სწორედაც სადა, და არა მარტივი, არც უბრალო), რომ თავად ეს კლასიკური სისადავე ღალადებდა მის ინდივიდუალობაზე. რაც შეეხება მის გარეგნულ უბრალოებას, იგი მხოლოდ უნარი იყო სინამდვილესთან შეგუებისა. დასავლეთ ევროპაში, აგერ უკვე ორი საუკუნეა, ჩამოყალიბდა პროფესიონალიზმის ასეთი მენტალიტეტი: ყოველგვარ ცხოვრებას, ყოველ საქმიანობას წინ ხელობა უნდა უსწრებდეს, რომელსაც კაცი მხოლოდ გარკვეული სპეციალიზაციის მეშვეობით შეითვისებს. სრული ცოდნის, სრული ოსტატობის დაუფლება ერთ რომელიმე საგანში გაცილებით მეტად ანათლებს კაცს, ვიდრე ასი სხვადასხვა საგნის სანახევროდ შეთვისება. ქ-ნი ქეთევანის მენტალიტეტიც ასეთი იყო და სტუდენტებსაც ამასვე გვინერგავდა, ამგვარად გვწვრთნიდა, უფრო სიღრმეებს გვაჩვენებდა, ვინემ სიფართოვეს და მისი გვჯეროდა, რადგან სავსე იყო ქართული პატიოსნებითა და შინაგანი განათლებულობით, რომელსაც გამსჭვალავდა გრძნობით გამთბარი გონება და გონებით განათებული გრძნობა.

„ქეთო, ჩვენო პატარა მეგობარო!“ - წერენ ჯერაც გოგონას პროფ. გიორგი აბზიანიძე და მისი მეუღლე ქ-ნი ანა, - ვერც კი წარმოიდგენ, როგორ გაგვახარე შენი ბარათით, რომლის ყოველ სტრიქონში შენს უზადო განცდებს ვკითხულობთ. ჩვენ ხშირად ვიგონებთ შენს შთაგონებულ თვალებს, შენს აღტაცებულ საუბარს, შენში ჩვენ ვკითხულობთ საკუთარი ყრმობის ფურცლებს და გვიხარია, რომ შენი სახით ჩვენს მშობლიურ ქალაქში - ქუთაისში ასეთი უშუალო და ღრმა განცდის ადამიანი გვეგულება. ეხლა გვესმის, რატომ უყვარდა პოეტს პატარა ქეთო. ხშირად გნატრობთ, შენში ვხედავთ მინდვრის ყვავილის სისადავეს და მშვენიერებას.“

ქ-ნი ქეთევანი სტუდენტობითვე იქცა თაყვანისცემისა და მოკრძალების საგნად: „ქეთო, დაიკო, მაგონდები. გამგზავრების წინ წერილი მოგწერე, შვიდი თვე გავიდა მას შემდეგ, შენგან არაფერი ვიცი, - წერს ერთ ბარათში პოეტი სევერიან ისიანი თანაკურსელ ქალიშვილს ფრონტიდან. „ქეთო, გუშინ გადმომცეს შენი წერილი, - ვკითხულობთ ისიანის მეორე ბარათში, - ვიგრძენი გაოცება და სიხარული. ჩემს ცხოვრებას ბევრი არ ახსოვს ასეთი სიხარულის დღე, მოგონებანი დღესაც არ მშორდებიან ჩემი ცხოვრების ოქროს დღეებზე, - მშობლიური ინსტიტუტი, მეგობრები, ალუბლის ბალი. გუშინ გადმომცეს შენი წერილი და დღესაც რამდენჯერმე გადავიკითხე იგი. ისევ ის ხელნაწერი, ასოები სათუთად მიწრილი, თავისებური და საყვარელი, როგორც შენი ბუნება“.

1950 წელს ქეთევანმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სახელთა ბრუნება ძველ ქართულში პავლეს ეპისტოლეთა მიხედვით“. მან დაწვრილებით შეისწავლა ამ ძეგლის ხელნაწერები და გამოარკვია მათი რედაქციული სახე. - „დისერტაცია ჩინებული გამოვიდა“, - წერდა პროფესორი აკაკი შანიძე. „დისერტანტმა გამოავლინა უნარი უზადო ანალიზისა, შედეგთა განზოგადებისა და მისაბაძი წერისა“, - აღნიშნავდა პროფ. ვარლამ თოფურია. მე ადრეც, ქ-ნი ქეთოს სიცოცხლეშიც და ახლაც, მქონდა შესაძლებლობა გადამეკითხა მისი მიმონერა საყვარელ მასწავლებლებთან, უფროს კოლეგებთან. არ ვიცი, ვისი სიყვარული უფრო სჭარბობს ამ ბარათებში - ქეთევანისა მათ მიმართ, თუ იმათი ქეთევანისადმი, მისი ოჯახისადმი. აქ ხშირად გაისმის: ძვირ-

ფასო, საყვარელო ქალბატონო, ჩვენო სიამაყე, ჩვენო უმცროსო დაიკო. საგანგებო იყო ქეთევან ძონენიძის დამოკიდებულება თავის მასწავლებლებთან, მათ ოჯახებთან. ქეთევანი იყო მათი სასურველი ადრესატი, ენათმეცნიერების რთულ საკითხებზე მსჯელობისას – ღირსეული ოპონენტი ან თანამოაზრე, ინდივიდუალობა, რომელსაც ენდობოდნენ და ვისიც სჯეროდათ.

„დიდად პატივცემულო ქეთევან!“ — წერს ქ-ნ ქეთევანს პროფ. არნ. ჩიქობავა, - უნივერსიტეტში 1962 წლის დეკემბერს დაარსდა ვაჟა-ფშაველას კაბინეტი პროფ. გრიგოლ კიკნაძის ინიციატივით. მან გადაწყვიტა, ვაჟას თხზულებათა სრული სიმფონია-ინდექსი დაამუშაოს სტუდენტების დახმარებით. მას სასურველად მიაჩნია, ქუთაისის პედინსტიტუტის სტუდენტობამ – ქართული ენის კათედრის ხელმძღვანელობით – მიიღოს მონაწილეობა ამ სამუშაოს შესრულებაში. დავპირდი, წერილს თქვენ მოგწერდით და აი, გწერთ. არნ. ჩიქობავა დიდის მიმნდობლობით ეკიდება თავის ღირსეულ მოწაფეს ეროვნული მეცნიერების საკითხებთან დაკავშირებით და ეს ურთიერთობა უაღრესად სათუთ მეგობრობაშიც არის გადაზრდილი. „ქეთევანს, ჩვენს საყვარელ უმცროს დას, გულითადი მილოცვა და საუკეთესო სურვილები თამარ და არნოლდ ჩიქობავათაგან“, - ვკითხულობთ ერთ ბარათში. აკად. ანგია ბოჭორიშვილი წერს ქ-ნ ქეთევანს: „ძვირფასო, საყვარელო ქეთევან! — მაცნეს მორიგი ტომი შოთას თარიღს ეძღვნება, რედაქციას აქვს სურვილი, თქვენი წერილი დაბეჭდოს ამ ნომერში. უარს ნუ გვეტყვით. წერილის მოცულობას ჩვენ განვსაზღვრავთ, მაგრამ ეს თქვენზე არ გავრცელდება. თქვენი ანგია ბოჭორიშვილი.“

ქეთევანისადმი სიყვარულითა და მიმნდობლობით არის აღბეჭდილი ქართული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლების – პროფ. მზექალა შანიძისა და გიორგი როგავას, კორნელი დანელიასა და ანტონ კიზირიას, მწერლების, პოეტების, საზოგადო მოღვაწეთა ბარათები.

ქ-ნ ქეთევანთან დაკავშირებით სულ მახსენდება – და ალბათ, ეს პროფესიული ინტონაციაც მომეტევება – გოეთეს ნათქვამი „ვილჰელმ მაისტერში“ პიროვნებისა და ინდივიდუალობის შესახებ. ინდივიდუალობა ისეა მიმართული პიროვნებისადმი, როგორც

არსი მოვლენისადმი. პიროვნება კითხულობს: რა გაქვს შენ? – ნოდება, რანგი, სამოსელი, ეკიპაჟი, ქონება? ინდივიდუალობა კითხულობს: რა ხარ შენ? რა გამოძრავებს და რას ამოძრავებ? როგორ შეიცავ მომავალს შენს თავში? ხოლო აქედან დასკვნა: - რაც ადამიანს აქვს, მან იგი შეიძლება დაკარგოს, მაგრამ ის, რაც თავად არის, ურყევად რჩება.

ქეთევან ძონენიძეზე საგანგებოდ აღნიშნავდნენ: „ეკიპაჟი“ აქვსო. ასეც იყო: მისი ოჯახის წარმომადგენლები დიახაც იდგნენ მაღალი იერარქიული კიბის სათავეში, თუნდაც ცნობილი მეცნიერი აკადემიკოსი გიორგი ძონენიძე, რომელიც იმხანად საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეც ბრძანდებოდა, ოღონდ ისე იდგნენ, რომ პირველ რიგში ინდივიდუალობებად რჩებოდნენ თავიანთი წარუდინებელი ღირებულებით. ქეთევანისთვისაც ის იყო მთავარი, რასაც წარმოადგენდა: დიდად ნიჭიერი, სასიკეთო საქმისთვის თავდადებული, უშურველი და გულგახსნილი – აქ მან ზომიერება არ იცოდა.

იმ დროს, როცა სამართლიანობა ფსევდოდ აღიქმებოდა და თამაშად, და ცინიზმი ყველგან ფეხმორთხმით ბატონობდა, ხოლო უკანონობა კანონიერად დადიოდა ყველა ინსტანციაში, ქეთევანი მართლა იბრძოდა სამართლისათვის, კანონიერებისათვის და, თქვენ წარმოიდგინეთ, მაღალი იდეალებისთვისაც. თავად ბუნებით გაუხლენჩავს, რომლის საქმე და სიტყვა არასოდეს გაყოფილა, ყველას მიმართ ჰქონდა პრეტენზია: ადამიანი მთლიანი უნდა იყოს!

ცხადია, ძნელი იყო ასე ცხოვრება, მაგრამ არასოდეს ნუნუნებდა, ოღონდ იტყოდა ხოლმე მისთვის დამახასიათებელი ინტონაციით: „ხანდახან დონკიხოტურ მდგომარეობაში ვვარდებიო“. ქარის ნისქვილებთან ბრძოლის ტოლფასი იყო ის, რომ ქ-ნი ქეთევანი მხარს უჭერდა გამორჩეულ აზროვნებას, ნიჭიერ სტუდენტს, ხმამაღლა ამბობდა ამის შესახებ და გვერდით ედგა მას. იგი სწორედ თავისი ხასიათით იყო გამორჩეული. მისებრ ჭკვიანი და განათლებული იქნებ სხვებიც იყვნენ, მაგრამ არავის ჰქონდა მისნაირი ხასიათი. იგი თითქოს უშორესი კლასიკური სამყაროდან მოდიოდა, მთლიანი, გაუყოფადი, ღრმად ადამიანური, რომლისთვისაც უცხო იყო „გამოუცნობ ნყლულებით დასერილი“ ჩვენი საუკუნე

და მისი თანმხლები დარბეული სული. ამ პოზიციიდან იყო იგი „არათანამედროვე“. განა ამგვარად კიდევ სწერენ ბარათებს ჩვენი სულიერების მოღვაწენი: „სულზე უტკეპესო, მშობლიურო, ძვირფასო ბატონო ვარლამ! — ვკითხულობთ ვარლამ თოფურისასადმი ბარათში. — თუ ქვეყნად სამართალია, თქვენ უნდა იყოთ კარგად. კიდევ გქონიათ შეტევა. — ნუ დაკარგავთ სულის ღონეს, მე კი არა, მთელ ერს უყვარხართ. გკოცნით, თქვენი კარგად ყოფნისათვის ჩემი სიცოცხლეც არ მენანება“.

ქ-ნი ქეთევანის არსება ძალზე ჰგავდა ლადო ასათიანის პოეტურ სამყაროს, თავადაც გამორჩეულად უყვარდა ლადოს პოეზია. შემოდოდა მშვენიერი ქალბატონი ლექციაზე და მოჰქონდა უზარმაზარი პოეტური მუხტით შეკრული საკუთარი სულიერება. შემოდოდა ძალიან ლამაზად, აღელვებული და სიმპათიური, რომელსაც თითქოს გულში არ ეტეოდა ამდენი სიტბო და სიკეთე და სწრაფად უნდოდა ერუქებინა იგი ჩვენთვის. ასეთი საჩუქრებით ვიყავით სავესე მისი სტუდენტები ლექციაზე, მასთან სახლში, ყოველი შეხვედრისას. ქ-ნი ქეთევანი იმ უმცირესთა შორის იყო, ვისთან შეხვედრაც სიხარულს გვანიჭებდა. ქეთევან ძონენიძე კითხულობდა ზოგადი ენათმეცნიერებისა და ქართული ენის გრამატიკის კურსს და ისე კი ხდებოდა, რომ ლიტერატურის არც ერთი ლექცია არ იწვევდა სულიერების, დიახ, პოეზიის ისეთ დღესასწაულს, როგორსაც მისი ლექციები. მას მოჰქონდა ჩვენთან გრამატიკული კანონებისათვის მოხმობილი დიდთა პოეტთა შედეგები, მაგრამ ეს კი არ იყო მთავარი, არამედ ის, რომ გრამატიკასაც და პოეზიასაც ქ-ნი ქეთევანი საკუთარი სულის გამონაშუქით ავსებდა და ამგვარად ქმნიდა იგი ლექციებზე დღესასწაულის განწყობილებას.

„ხელოვნების შედეგრი მსგავსი სულით უნდა განიჭვრიტოსო“, - წერს გოეთე; ქეთევანი იყო ამგვარი „მსგავსი სული“. როგორც პოეზიის უცხო რამ შედეგრში სიბრძნეცა და მისი სიყვარულიც ანუ ფილოსოფია არის, მაგრამ ისე, რომ მას ხატოვანების გრძნეულება ჰფარავს, არც ქეთევანში იყო წინა პლანზე ლოგიკა და აზროვნება, ანუ იყო ორივე მათგანი, ოღონდ მას პოეზია ჰფარავდა... მე ყოველთვის მაოცებდა ქართული ინვერსიული ზმნა, რომელშიც სუბიექტისა და ობიექტის ნიშანი მაგიურად ენაცვლება

ერთიმეორეს. ინვერსია განზოგადოებულ მასშტაბებს იძენდა ჩემს ცნობიერებაში. ქ-ნ ქეთევანთან დაკავშირებით კი აქ ის მეთქმის, რომ ძნელად აღსაქმელი გახლდათ, რომელი იყო მთავარი მოქმედი „პირი“ ლექციაზე – პოეზია თუ მისი განუმეორებელი სპექტრით წარმომჩენი ქალბატონი; თორემ ისიც ხომ ხდება, რომ პოეტური შედევი მაცოცხლებელი სისხლისაგან დაწრეტილა და ანემიური გამხდარა არაშესაბამისი პიროვნების ხელში. ალბათ ესეც იგულისხმება პოეტის ნათქვამში: „გან ერთნაირად შეიგრძნო ჩემმა გულმან და სხვისამან!“

ქ-ნი ქეთევანის ხელისმადიებელთა შორის იმას გაუმართლა, ვისაც წლების მანძილზე დიდი სიყვარულით უყვარდა გამორჩეული ქალბატონი, - სულიერი არისტოკრატიზმით აღბეჭდილსა და გენეტიკურადაც მხეიძეთა ცნობილ დიდგვაროვანთა შთამომავალს, ბ-ნ დავით მხეიძეს. ქ-ნი ქეთევანი გათხოვდა. „საყვარელო, ძვირფასო ქეთო! — მისწერა აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ ქეთევანს, — დიდად გამახარა თქვენი გათხოვების ამბავმა. მოგილოცავთ ახალ ცხოვრებას და გისურვებთ ბედნიერებას“.

ქეთევან ძონენიძემ გამოიკვლია დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, დავით კლდიაშვილის ენობრივი თავისებურებანი, დაწერა ორტომეული ზემოიშვრული კილოკავის შესახებ, რომელიც სადოქტორო დისერტაციად იყო ჩაფიქრებული და მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა. „მან ცოცხალი მეტყველების ამოუწურავი საუნჯიდან უცნობი მარგალიტები გამოავლინა. ათასობით სიტყვა და ფორმა აღმოაჩინა და გადაარჩინა დაკარგვას“, - წერს მონოგრაფიის შესავალში პროფ. მიხ. ალავიძე.

ქ-ნი ქეთევანი იკვლევდა კომპოზიტთა წარმოებას ლევან გოთუას „გმირთა ვარამის“ მიხედვით. მწერლისადმი ბარათში ჩანს, რომ ქ-ნი ქეთევანის შენიშვნები, რასაც მისგან დაჟინებით მოითხოვდა ლევან გოთუა, საქმიანია და კეთილმოსურნე: „თქვენ გაქვთ ქართული ენის ბუნების შეგრძნების ისეთი განსაცვიფრებელი ალლო, - წერს ქეთევანი მწერალს, - რომ სანყენია ის შენიშვნები, რომელიც ოფიციალურმა კრიტიკამ თქვენი წიგნის შესახებ აღნიშნა“. ამიტომაც იყო, რომ მწერალმა მისწერა ქეთევანს კაცად-

კაცური წერილი, რომელშიც კიდევ ერთხელ დაიდო ზღვარი შემოქმედებასა და მეცნიერებას შორის: „...ნეტა ყველა თქვენნაირი მკითხველი მყავდეს, მაშინ ალბათ მეც უკეთესად დაგწერდი. მე ვცდილობ ყოველი ჩემი სიახლე ქართული ენის ბუნებიდან გამოვიყვანო, მაგრამ სტიქიურად, ინდივიდუალურად და არა ზუსტი მეცნიერული კვლევით. ამიტომ აკლია საჭირო სიზუსტე და სისტემატურობა. მაგრამ ეს თქვენი – ენათმეცნიერთა საჭირისუფლოა. ამას იმიტომ კი არ გწერთ, რომ თქვენ მედავებით, არამედ იმიტომ, რომ სხვები მიყიჟინებენ.“

ქეთევან ძონენიძეს განუზომლად მეტი შეეძლო გაეკეთებინა ენათმეცნიერებაში, მაგრამ მისი დაუდევარი, პოეტური ალტკინებით აღბეჭდილი ბუნება ძნელად ეგუებოდა მარტოოდენ მეცნიერების სალტეებს; იგი იყო მიუსაფართა, შეჭირვებულთა პატრონი და მოამაგე, მოუცლელიც ამიტომ იყო. ალბათ, ეს ჰქონდა მხედველობაში აკად. ანგია ბოჭორიშვილს, როცა გამოსათხოვარ სიტყვაში, დაახასიათა რა ქ-ნი ქეთევანის მეცნიერული და საზოგადოებრივი ღვაწლი, დასძინა: ქეთევან ძონენიძეს, როგორც მეცნიერს, სხვა შეცვლის; მისი, როგორც პედაგოგის ადგილს სხვა დაიკავებს, მაგრამ მისი, როგორც ადამიანისა და ინდივიდუალობის ადგილი დიდხანს, ძალიან დიდხანს დარჩებაო თავისუფალი.

ქეთევან ძონენიძემ მრავალ ახალგაზრდას გაუკვალა გზა, გადაარჩინა! მემამყება, რომ ჩემი სამეცნიერო საქმიანობის დასაწყისი მის შეუბღალავ სახელთანაა დაკავშირებული, მის დიდ ავტორიტეტთან: მისი სარეკომენდაციო ბარათით მივედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრაზე, მას, მსგავსად დასავლეთ ევროპის ცივილიზებული ქვეყნების გამორჩეული ადამიანებისა, ჰქონდა მეცენატობის, წარდგინების ნიჭი, სხვა მრავალ ნიჭთა შორის, თანაც ისე, რომ შეეძლო მარცხმოსურნეთაგან განერიდებინა და ამგვარად დარბევისაგან ეხსნა ნიჭიერი ახალგაზრდის სული.

ქ-ნ ქეთევანთან ჩემი შეხვედრა მაშინვე „შედეგა“, როგორც კი ლექციაზე შემოვიდა და თხზულების დაწერა გვთხოვა — თქვენი აზროვნების მანერა მაინტერესებსო. იმხანად ბევრს ვკითხულობდი დასავლეთ ევროპის ლიტერატურის პროზაულ შედეგებს, უფ-

რო კი – ფრანგულს, იმისდა მიუხედავად, რომ გერმანული ფილოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. სიყვარულით კი ქართული პოეზია და ნოველა მიყვარდა, გამორჩეულად – კონსტანტინე გამსახურდიას „ზარების გრიგალში“. ეს მნათე ოქროპირ – ნებაყოფლობით მგლოვიარე, ექსტაზში დანთქმული – უამრავ ფანტასმაგორიებს, რემინისცენციებს აღძრავდა ჩემში. ახლა არ მაგონდება, რატომ და როგორ ვუკავშირებდი ერთიმეორეს ჰიუგოს გიუნპლენსა და მნათე ოქროპირს, ოღონდ ის კი კარგად მახსოვს, რომ ყველა ჩემი ფანტომა ამ გმირებთან დაკავშირებით დავნერე და ქ-ნ ქეთევანს გადავეცი სრული მიმნდობლობით, ეს მაშინ, როცა ძალიან მიჭირდა საკუთარი სწრაფვების, განცდების ვინმესთვის ნდობა. მომდევნო ლექციაზე ქ-მა ქეთევანმა სახელითა და გვარით გამომიძახა, ძალიან ვლელავდი, მეშინოდა, რამე არ წაეკითხა ჩემი თხზულებიდან აუდიტორიაში ჩემი თანდასწრებით. თითქოს მიმიხვდა, გამიცინა და იმით დაკმაყოფილდა, რომ გამორჩეულად დადებითი დამოკიდებულება გამოხატა ჩემი თხზულების მიმართ. მერე გავიგე – აღტაცებული უკითხავდა თურმე თავის კოლეგებს, ლიტერატორებსაც და სხვებსაც. აქედან დაიწყო: ჩემს ცხოვრებასა თუ ლიტერატურულ საქმიანობაში არ ყოფილა არც ერთი მომენტი, მისთვის რომ არ გამეზიარებინა. ჩვენი საუბრები გრძელდებოდა საათობით. მერე, როცა ასპარეზად კლასიკური გერმანული ლიტერატურა ავირჩიე და საკვალიფიკაციო ნაშრომად – გოეთეს ფილოსოფიური ლირიკა, - ქეთევანმა ამის შესახებ ყველაფერი იცოდა. სწორედაც მის გუმანს ვენდობოდი, შინაგან განათლებულობას და ამგვარად, ჩემთვის საინტერესო პრობლემატიკის თანამოზიარეც ბრძანდებოდა...

იმხანად უცხოური ლიტერატურისათვის, წიგნებისთვის ხშირად მიხდებოდა მოსკოვისა და პეტერბურგის ბიბლიოთეკებში სიარული, უკვე თბილისში ვცხოვრობდი და, თუ ქუთაისში ჩასვლა მიხაროდა – იმიტომაც, რომ იქ, მშობლიური სახლის გარდა, ქ-ნი ქეთევანიც იყო (არსებობდა). „ბედის ნებიერის“ ოცნება მეტისმეტად დინამიურია, იგი ყველას თავისებურად ესმის, ისევე, როგორც ბედნიერება. მე კი „ბედის ნებიერი“ იმითაც გახლდით, რომ ქეთევან ძონენიძე იყო ჩემი მასწავლებელი.

მერი გოშხეთელიანი

ქეთევან ქონენიძე – დაუვინყარი აღმზრდელი

ნაკითხულია ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2000 წლის 26 აპრილს ქართული ენის კათედრის გარდაცვლილ წევრთა ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე.

...მე ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ გახლდით ქეთევან ძონენიძის სტუდენტი და თანამშრომელი წლების განმავლობაში.

ჩემს სტუდენტურ ცხოვრებაში ქეთევანი პირველად შემოვიდა თავისი პოეტური ბუნების, ფართო განათლებისა და გასაოცარი მეხსიერების წყალობით. როგორც ლექციის საუკეთესო წამკითხველი, საჯარო გამოსვლების სიტყვის დიდოსტატი, ჩინებული მეცნიერი და ჭეშმარიტი აღმზრდელი, გამორჩეული საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებითა და პრინციპულობით, ახალგაზრდობის სიყვარულითა და მეტისმეტი კეთილშობილებით, მომხიბვლელი ქალური კდემამოსილებითა და სხივოსანი გამოხედვით.

ქეთევან ძონენიძე, როგორც ილია იტყოდა, ჩვენ წინ გადაშლილი წიგნია. ჩვენ ვერ შევძელით ამ წიგნის ბოლომდე წაკითხვა, რადგან ნაადრევად წავიდა ჩვენგან.

ქეთევან ძონენიძე ყველას ანდამატივით იზიდავდა და ათბობდა. მას ჰქონდა ისეთი ადამიანური ხიბლი, რომლის არც სწავლა შეიძლება, არც მიბაძვა, არც შეძენა, თუ ეს განგებამ თავად არ გიბოძა, არ დაგასაჩუქრა. აი, ამ თვითნაბად სიმდიდრეს ფლობდა გამორჩეული ქალბატონი. მასთან შეხვედრა, საუბარი ტოლფასი იყო იმ კმაყოფილებისა, რასაც მოგანიჭებს კარგი წიგნის წაკითხვა ან კარგი კინოფილმის ნახვა.

1969 წლის 4 სექტემბერს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლა უკვე დაწყებული იყო, მაგრამ ჩვენს საყვარელ ქეთოს აუდიტორიის კარი აღარ შეუღია. ამბობენ, იმიერში გადასახლებულ კაცს ცრემლით წონიანო. განა ვინმეს შეეძლო აე-

წონა ის ცრემლები, რომლებიც ქეთევან ძონენიძის გარდაცვალების გამო დაიღვარა? იგი ყველამ, ყველამ გულით დაიტირა.

იმ მრავალრიცხოვან გვირგვინთა შორის, რომლებიც ქეთევანს უკანასკნელ გზაზე მიაცილებდა, ერთ-ერთს (სტუდენტებისაგან მორთმეულს) ასეთი წარწერა ჰქონდა: „იმ ლამაზ წარსულს, მე რომ მიყვარდა, ველარასოდეს დავუბრუნდები“.

დიახ, იმ ლამაზ წარსულს, რომელსაც ქეთევან ძონენიძის ცხოვრება და მოღვაწეობა ჰქვია, დავიწყების ფერფლი ვერ დაფარავს, რადგან „მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია“.

გაზ. „ქუთაისი“, 2000, 11 მაისი

მ ა რ ი ნ ე ქ ა ც ა რ ა ვ ა

იშვიათი განსახება სრულღირსებიანი პედაგოგისა

ქეთევან ძონენიძე იშვიათი განსახება, იდეალი იყო სრულღირსებიანი პედაგოგისა, ისეთი აღმზრდელი წინამძღვრისა, რომლის მთელი არსება ურთულესი და უფაქიზესი მისიით სუნთქავდა – რათა წმინდა სანთელი ყოფილიყო ახალგაზრდებისათვის, ერისა და ქვეყნის მომავლისათვის.

მე მქონდა ბედნიერება, მომესმინა მისი ლექციები, მწყობრი, თანმიმდევრული, ნათელი, ილუსტრირებული გემოვნებით შერჩეული მაგალითებით.

მას ღრმად სწამდა, რომ ენაში როგორც პრიზმაში გარდატეხილია მისი შემქმნელი ერის ხასიათი, ფსიქოლოგია და ისტორიული წარსული. ერის გენია უწინარეს ყოვლისა ენაში ვლინდება. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ დიდი შრომა და სიყვარული მიუძღვნა ქართველი ხალხის ყველაზე ძვირფასი საუნჯის ქართული ენის შესწავლის საქმეს.

30 წელი დაუღალავად ემსახურა ქართული ენის სტრუქტურის, დიალექტოლოგიის, ძველი ქართული ენის კვლევა-ძიებას. ასევე წარმატებით სწავლობდა იგი მწერლის ენას.

განსაკუთრებული დამოკიდებულება მწერლის ენისადმი, ჩვენი აზრით, განაპირობა იმ დიდმა მეგობრობამაც, რომელიც მას ჯერ სევერიან ისიანთან, შემდეგ კი ცნობილ ქართველ მწერალთან, ბატონ ლევან გოთუასთან აკავშირებდა.

სევერიან ისიანი ქალბატონი ქეთევანის წერილებს პოეზიას უწოდებდა, ხოლო გამოჩენილი მწერალი ლევან გოთუა ხშირად ეკითხებოდა რჩევას, შემდეგ კი მადლიერებით აღსავსე წერდა: „თქვენ პირდაპირ ფილოლოგიური კვლევა გაგინევიათ ჩემს გმირთა ვარამზე, თქვენი შენიშვნები მისაღებად მიმაჩნია“.

გრამატიკული წესები და ლექსიკონი აფიქსებისა და სიტყვებისა უქმ გროვად გარდაიქცეოდა, შემოქმედებითად გამომყენებელი რომ არ ჰყავდეს ენას. სწორედ მწერალია ის შემოქმედი, რომელიც ამკვიდრებს ეროვნულ ენას და ამ საფანელზე ქმნის თავისებურ ენობრივ სამყაროს, რომლის რკვევა რთული და საშური საქმეა.

ქალბატონ ქეთევანს გამოქვეყნებული აქვს „აკაკი წერეთლის ენა“, „დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა მეტყველება“, „ქართლ-კახური ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებანი ილია ჭავჭავაძის ენაში“, „დავით გურამიშვილის ენა“, „არქაიზმები ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებთა ენაში“.

გამოუქვეყნებელი დარჩა „ვაჟა-ფშაველა და სალიტერატურო ენის საკითხები“, „ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკის ენა“.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მხატვრული ტექსტის ენობრივ განხილვას არც თუ დიდი ხანია მიექცა სათანადო ყურადღება. როგორც ჩანს, ჩვენი მასწავლებელი ერთი პირველთაგანი იყო, ვინც მწერალთა ენის შესწავლა ენათმეცნიერების თანამედროვე დონის მიხედვით დაიწყო. მართლაც, ილია ჭავჭავაძის პროზის ენა გრამატიკული წყობის თვალსაზრისით მან 1952 წელს წაიკითხა მოხსენებად, ასევე 1953 წელს დაიბეჭდა მოხსენება თემაზე „აკაკი წერეთლის ენა“, ხოლო 1955 წელს „დავით გურამიშვილის ენა“.

მხატვრული ტექსტის ენობრივი ფაქტები რამდენიმე თვალსაზრისით შეიძლება იქნეს განხილული: რას აძლევს მწერალი ენას და რას აძლევს ენა მწერალს.

ქეთევან ძონენიძემ სწორედ ამ კუთხით განიხილა ჩვენი კორიფეების ენობრივი თავისებურებანი.

ახალი სალიტერატურო ენის ერთ-ერთ ქურუმთაგანს მიუძღვნა მკვლევარმა ნაშრომი „აკაკი წერეთლის ენა“. რასაკვირველია, შემდგომ წლებში ბევრი რამ დაინერა ამ საკითხზე, მაგრამ ქალბატონი ქეთევანი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც აკაკის ენის განხილვით გვიჩვენა, რომ ენაში დაუნჯებულ ყველა შესაძლებლობას ჭეშმარიტი შემოქმედი ამოძრავებს, სულს შთაბერავს და ხატოვანი აზროვნების გამომხატველად აქცევს. ამ ნაშრომში სპეციალური მსჯელობის საგნად არის გამხდარი თვითონ დიდი მგოსნის შეხედულებანი ენის შესახებ; გაანალიზებულია მწერლის ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკური მხარე.

ფონეტიკური გამოკვლევა უძღვნა მკვლევარმა დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა მეტყველებას. ეს ნაშრომი არის მაგალითი იმისა, რომ მწერლის ენა შეფასებულია არა ნორმატიული, სტანდარტიზებული ენის თვალსაზრისით, არამედ მხატვრული ტექსტის განხილვისას გათვალისწინებულია მისი მიმართება ენის ისტორიასა და თანამედროვე ვითარებასთან. იგი ამ ნაშრომში მართებულად მიუთითებს, რომ დიალექტიზმები იძენენ მხატვრულ ღირებულებას. თავისი პერსონაჟების მეტყველების კოლორიტისთვის დ. კლდიაშვილი მიმართავს იმერული წარმოშობის დიალექტიზმებს. ასეთი შეფასება დასტურია იმისა, რომ მკვლევარმა თავიდანვე სწორად განსაზღვრა, რომ მწერალს შეუძლია შესაბამისი განწყობის კოლორიტის შექმნის მიზნით თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ენის შესაძლებლობანი.

ასევე საყურადღებოა ნაშრომი „ქართლ-კახური ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებანი ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებებში.“ ამ შრომებით მკვლევარმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ დიდი მწერალი გონივრულად იყენებდა, ერთი მხრივ, ქართული კლასიკური ლიტერატურის მონაპოვართ, ხოლო მეორე მხრივ, ხალხურ მეტყველებაში იგი ხედავდა იმ ნედლ ფესვს, რომელთაც უნდა დაემყნოს სამწერლობო ენა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ნაშრომი „დავით გურამიშვილის ენა“. მკვლევარი სპეციალური მსჯელობის საგნად აქცევს არა მარტო ქართული ლიტერატურის ფრიად კოლორიტული ფიგურის ნაწარმოებთა ენობრივ თავისებურებას, არამედ, რაც ძალიან საგულისხმოა, ავლენს საინტერესო პარალელს ალ. ჭავჭავაძის ენასთან.

სიცოცხლის ბოლო წლები მთლიანად მიუძღვნა „ზემოიმერული კილოკავის შესწავლას“. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ამ ნარკვევის გამოცემას დაესწრო და ვერც სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. მოულოდნელად 53 წლის ასაკში გარდაიცვალა, თან წაიღო მოსიყვარულე გული, განუხორციელებელი ოცნებები.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მწერლის ენის შესწავლისადმი არა ერთი ნაშრომი გვაქვს. მათ შორის ქ. ძონენიძის შრომები საპატიო ადგილს იჭერს. მის ყველა ნაშრომს ეტყობა არა მარტო დაკვირვებული ლინგვისტის ხელი, არამედ შესანიშნავი ლიტერატორის ალლო. ჩვენი სასახელო მასწავლებელი თავის ნაშრომებში ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ თითოეული მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოები თავისთავად მთელ სამყაროდ გვევლინება. მკვლევარმა უნდა განსაზღვროს რა და რატომ აქვს გამოყენებული მწერალს, რამდენად აღწევს თავის მიზანს, რას სძენს იგი ხატოვან აზროვნებას. ამ პრინციპებით ხელმძღვანელობდა ქეთევან ძონენიძე, რაც დაადასტურა კიდევ თავისი ნაშრომებით. ქეთევან ძონენიძე იყო სათნო, ობიექტური, პრინციპული არაჩვეულებრივი სიკეთის შუქით უბრწყინავდა მიმზიდველი თვალები, რომლებიც განსაკუთრებით აინთებოდა ნიჭიერებასთან შეხვედრის დროს.

დრო სწრაფად გადის. უკვე 30 წელი გავიდა, რაც ჩვენი მასწავლებელი დაგვმორდა, მაგრამ მისი მოგონება არ იჩრდილება მის მონაფეთა ხსოვნაში და, ალბათ, პედაგოგის სიცოცხლის ხანგრძლივობაც ამით იზომება.

გაზ. „ქართული“, 2001, ოქტომბერი

ქუთუხა ფეიქრიშვილი

მოზონიანი მასწავლებელი

ამონარიდები წიგნიდან

„ცხოვრების გზა“ (თბ., 2008)

...ქეთევან ძონენიძე ქართული ენის სინტაქსს გვასწავლიდა II კურსის მეორე სემესტრიდან. მართალია, გამოცდების განსაკუთრებული შიში სტუდენტობის წლებში არ მქონია (სისტემატურად ვამზადებდი სემინარებს, ვასრულებდი დავალებებს პრაქტიკული მეცადინეობებისათვის, გამოვდიოდი მოხსენებებით სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე...), მაგრამ ამ პროცესს მაინც ყოველთვის განვიცდიდი, რადგან ჩემში მთავარი იყო პასუხისმგებლობის გრძნობა, ლექტორის იმედისა და ნდობის სრული გამართლება. ამასთან დაკავშირებით მაგონდება ერთი შემთხვევა: ქ. ძონენიძის საგანში გამოცდა გვქონდა III კურსის I სემესტრის ბოლოს. სინტაქსში ჩვენი ლექცია – პრაქტიკუმები თითქმის ყოველთვის „პოეზიის საღამოებს“ ჰგავდა. ქ-ნი ქეთევანი, პოეზიაზე უსაზღვროდ შეყვარებული, „მშრალ“ გრამატიკასაც ლექსის სურნელით ანედლებდა – თეორიული მასალისათვის მაგალითებს გვისახელებდა ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, სევერიან ისიანის, გალაკტიონის, გიორგი ლეონიძისა და სხვათა შემოქმედებიდან. მასწავლებელს ჩვენც ვბაძავდით და საშინაო დავალებისათვის მაგალითებს ქართული კლასიკური მწერლობიდან ვინერდით...

ჰოდა, ამ სიყვარულით, საფუძვლიანად ნასწავლი საგნის ჩაბარება ჩვენ, სტუდენტ გოგონებს, აღარ გვაშინებდა, თუმცა ქეთევან ძონენიძის სიმკაცრე საარაკოდ იყო ქცეული მთელს ინსტიტუტში.

და აი, დადგა გამოცდის დღე. საგამოცდო ოთახისაკენ მომავალ ქ-ნ ქეთევანს დერეფანში მოჰყვებოდა ხანდაზმული, სიმპათიური გარეგნობის ინტელიგენტი მამაკაცი (მაშინ ჩვენ ასე შევაფასეთ). იგი თბილისიდან ჩამოსული დამსწრე გვეგონა, ამიტომ პირველ წუთებში ვაყოვნებდით კაბინეტში შესვლას. ქეთო მასწავლებელს გაუკვირდა ჩვენი დაგვიანება, თვითონ გა-

მოვიდა დერეფანში, მშვიდად მოგვიახლოვდა და გვკითხა: „რას უცდით, არ გამოდიხართ გამოცდაზე, ხომ არ გეშინიათ?“ მერე მე მომიბრუნდა: „შენ მაინც რა დაგემართა? ხომ იცი, დღეს აღელვებისაგან ერთი სიტყვაც რომ ვერ მიპასუხო, მაინც ხუთს დაგინერ.“ ამ დროს ვილაცამ ჩაილაპარაკა: „დამსწრე ბოლომდე გვეყოლება გამოცდაზე?“ ქ-ნ ქეთევანს გულიანად გაეცინა: „ის მამაკაცი დამსწრე გეგონათ? იგი ერთ-ერთი სოფლის სკოლის დირექტორია, ჩვენი ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი. ახლა საგანგებოდ ჩამოვიყვანე სოფლიდან, რომ სანიმუშოდ თქვენი პასუხები მოვასმენინო“. ყველამ შვებით ამოისუნთქა. გამოცდამ კარგად ჩაიარა, ქეთო მასწავლებელი კმაყოფილი დარჩა ჩვენი პასუხებით. და, რაც მთავარია, **ის დღე ჩემთვის, როგორც მომავალი პედაგოგისათვის, იქცა საუკეთესო გაკვეთილად.**

ყველა სტუდენტისათვის ქ-ნი ქეთევანი იყო ძალიან ახლობელი, დედასავით მზრუნველი, თუმცა იმავდროულად თითქოს მიუწვდომელი – სრულიად განსხვავებული ადამიანი...

...1965 წლის ივნისში დავამთავრე სახელმწიფო გამოცდები. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით ქართული ენის კათედრის რეკომენდაციის საფუძველზე (როგორც წარჩინებული სტუდენტი, ლენინური სტიპენდიატი, სამეცნიერო კონფერენციების აქტიური მონაწილე...) უკვე დატოვებული ვიყავი სამუშაოდ ინსტიტუტში ქართული ენის ხაზით სამეცნიერო მუშაობისათვის მოსამზადებლად. მაგრამ, სამწუხაროდ, სასწავლო წლის ბოლოს შეცვალეს ინსტიტუტის რექტორი, ახალმა ხელმძღვანელობამ კი გააუქმა სამეცნიერო საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილება და უარი მითხრა ინსტიტუტში მუშაობაზე შტატის უქონლობის მიზეზით, მაშინ როცა იმხანად, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ინსტიტუტის ლექტორების შვილებისა და ახლო ნათესავებისათვის, აგრეთვე „პატრონიანებისათვის“ ყოველთვის მოიძებნებოდა თავისუფალი შტატები (ანუ ინსტიტუტში „მამაშვილობა“ და „პროტექცია“ საკმაოდ აღზევებული იყო). ამ და სხვა ფაქტორების გამო, ვინ იცის, რამდენ ნიჭიერ სტუდენტს, მეცნიერული კვლევის უნარით დაჯილდოე-

ბულ ახალგაზრდას ჩაეკეტა გზა მეცნიერებისაკენ. ალბათ, მეც ამათ რიგებში აღმოვჩნდებოდი, რომ მფარველად ქეთევან ძონენიძე არ გამომჩენოდა.

ქ-ნი ქეთევანი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ებრძოდა უსამართლობას, მექრთამეობას, რომლისთვისაც მეცნიერება ითვლებოდა იმ წმინდა ტაძრად, სადაც მხოლოდ ღირსეულებს უნდა შესძლებოდათ შესვლა, ბუნებრივია, მარტო ვერ გაუმკლავდებოდა ამ სფეროში გამეფებულ უკანონობას, მაგრამ იმას მაინც ახერხებდა, რომ შეძლებისდაგვარად დახმარებოდა „უპატრონო“ ნიჭიერ ახალგაზრდებს სამომავლო ცხოვრების გზის გაკაფვაში.

ქეთო მასწავლებელმა თავიდანვე იცოდა, რომ მე, სოფლიდან ჩამოსულ გლეხის შვილს, საერთოდ არავინ მყავდა ისეთი გავლენიანი პატრონი, რომელიც სამსახურის შოვნაში დამეხმარებოდა. არადა, მისი აზრით, ჩემი სამომავლო მეცნიერული საქმიანობისათვის ქუთაისში დარჩენა იყო აუცილებელი. ამაზეც ისევ ქ-ნმა ქეთევანმა იზრუნა. მისი თხოვნით, ქუთაისის კომკავშირის ქალაქკომში საზოგადოებრივ საწყისებზე (უხელფასოდ) დროებით ამიყვანეს შტატგარეშე ინსტრუქტორად (ჩემი მონაცემების მიხედვით) და, თუკი აღმოვჩნდებოდი შესაფერისი კანდიდატურა, ქალაქის რომელიმე სკოლაში ვაკანსიის შემთხვევაში პიონერთა ხელმძღვანელად დამნიშნავდნენ (ასეც მოხდა რამდენიმე თვის შემდეგ).

ქ-ნი ქეთევანი დარწმუნდა, რომ იმხანად ინსტიტუტში სამსახურზე არ უნდა გვეფიქრა, მაგრამ კვლავ გამამხნევა, დამამედება: „მოვიცადოთ, იქნებ მომავალში ჩვენს კათედრაზე მოხდეს რაიმე ცვლილება და ლაბორანტად შენ გარდა სხვას არავის მივიღებთ. ახლა მთავარია, აქედანვე ვემზადოთ ასპირანტურისათვის. დაიწყე მეცადინეობა საგამოცდო საგნებში სპეციალური ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლით...“

ჩემთვის ქეთო მასწავლებლის სიტყვა კი არა ღიმილიანი გამოხედვაც კი უდიდესი ძალა და შთაგონება იყო ყოველთვის. მართლაც, მაშინვე შევუდექი შრომას. ქეთევანის მითითებით ვამუშავებდი ენათმეცნიერების ხაზით წყაროებს (წიგნებს, სტა-

ტიებს...), ვადგენდი კონსპექტებს, პარალელურად ვმეცადინეობდი უცხო ენასა და ფილოსოფიაშიც.

ერთი წლის შემდეგ მუშაობა დავინყე ქუთაისის ერთ-ერთ (ახლადგახსნილ) სკოლაში ისტორიის მასწავლებლად და ამ გზით მომეცა უფლება ასპირანტურაში სწავლისა. 1967 წელს გავხდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი საკანდიდატო მინიმუმის წესით.

1968 წლის დასაწყისში ქართული ენის კათედრაზე გათავისუფლდა ლაბორანტის ადგილი და ისევ ქ-ნი ქეთევანის წყალობით მოვხვდი ინსტიტუტში. ამ წლებში ქეთო მასწავლებელი დოქტორანტურაში იყო და სამსახურში არ დადიოდა, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში სახლში ვენწევოდი ხოლმე. იქ ყოველთვის მხვდებოდა მასპინძელთა სითბო და სიყვარული... ქ-ნი ქეთევანი ხშირად სადილზეც მიმიპატიჟებდა. მე ძალიან მერიდებოდა და მოკრძალებით ვუხდიდი მადლობას, მაგრამ მასთან ყოველთვის როდი ჭრიდა ჩემი უარი...

ამ წლებშიც ქ-ნი ქეთევანი სისტემატურად ადევნებდა თვალყურს ჩემს მუშაობას საგამოცდო საგნებში, მისი ერთადერთი მოთხოვნა იყო – საფუძვლიანი ცოდნა ყველა საგანში, განსაკუთრებით სპეციალობაში.



საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული საგნები რომ წარმატებით (ფრიადი შეფასებით) ჩავაბარე, ქეთო მასწავლებელმა გულით გაიხარა; წიგნიც მაჩუქა სათანადო წარწერით.

უამრავი ტკბილი მოგონება ისევ შემახსენებს თავს, მაგრამ ფურცელზე ყველაფრის გადატანას ახლაც ვერ ვახერხებ. იმჟამინდელი ჩვენი (მასწავლებლისა და მოსწავლის) ურთიერთობა და სიყვარული მოკლედ ასე შეიძლება გადმოვცე: ქ-ნი ქეთევანი გახლდათ ჩემი რწმენა, იმედი, შთაგონების წყარო და ადამიანური კეთილშობილების სიმბოლო (ეტალონი, ნიმუში).

... 1969 წლის 4 სექტემბერს ქეთევან ძონენიძე გარდაიცვალა... ეს ამბავი მთელს ქალაქში მეხის გავარდნას ჰგავდა, დასტიროდა ყველა: ახლობელი თუ შორეული, სტუდენტები, კოლეგები. იმ დღეებში თავზარდაცემული ვიყავი. ძალიან, ძალიან დამაკლდა ჩემი ქეთო მასწავლებელი. გადიოდა დღეები და მანც ძნელი იყო ამ მწარე სინამდვილესთან შეგუება...

მერე საკუთარ თავს შთავაგონე: ცხოვრების ნიმუშად გაიხადე შენი ძვირფასი მასწავლებელი; გიყვარდეს შენი საქმე და სტუდენტი, იყავი მეცნიერების დამფასებელი, სამართლიანი, გამშვენებდეს ადამიანური სითბო... მართალია, ქეთევან ძონენიძის განმეორება შეუძლებელია, მაგრამ მისი კარგი ქალობის მადლი ბევრ სტუდენტს ნამდვილად გაჰყვა ცხოვრების საგზლად.

... დრო ყოველთვის როდი აფერმკრთალებს სულიერ ტკივილს. იმ ხანებში ხშირად ვფიქრობდი წარსულ დღეებზე, ქ-ნი ქეთევანის სხივოსან გამოხედვაზე, ნათელ ღიმილზე, მის სითბო-სიკეთეზე და არ ვიცოდი, როგორ გამოიმეხატა მადლიერება ამ მშვენიერი ქალბატონის მიმართ. თითქოს უფალმა გამოიცნო ჩემი გულისთქმა და მალე მომცა ამის შესაძლებლობაც:

თვეების განმავლობაში ერთგულად, დაუზარებლად და სიამოვნებით ვეხმარებოდი ქ-ნ ლეილა კვანტალიანს ქეთევანის ორივე წიგნის ტექნიკურად გამართვაში, კორექტურაში. ერთობლივმა შრომამ უფრო დამაახლოვა კვანტალიანების ოჯახს. ქეთევანის გარდაცვალებით გამონვეული მათი უდიდესი მწუხარება ჩემი ტკივილიც იყო. ლეილა კვანტალიანის სახით თითქოს ამიერშიც კვლავ გვერდით მყავდა ქეთო მასწავლებელი, კვლავ ვგრძნობდი მის სითბოსა და სიახლოვეს. დიახ, ზეციური საუფლოდანაც მამხნეებდა და ძალას მმატებდა იგი შემდგომშიც, განსაკუთრებით დისერტაციაზე მუშაობის დროს. ამიტომ იყო,

რომ, როცა სამეცნიერო საბჭომ დაცვის დღეს მაღალი შეფასება მისცა ჩემს საკვალიფიკაციო ნაშრომს, პირველ რიგში უსაზღვრო მადლობა გადავუხადე ჩემს ძვირფას მასწავლებელს, რომელიც ახლობელთა შორის ყველაზე მეტად გაიხარებდა ამ წარმატებით. მაშინდელ ჩემს განცდებს ზუსტად ეხმიანებოდა **ოთარ დეისაძის** სიტყვებიც (დაცვის დღეს დეპეშით გამოგზავნილი): „ა მ დ ი ლ ი თ ქ ე თ ე ვ ა ნ ი ს ს ა ფ ლ ა ვ ზ ე ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი მ ი ვ ი ტ ა ნ ე . ს ა ს ი ხ ა რ უ ლ ო ი ქ ნ ე ბ ო დ ა ე ს დ ღ ე მ ი ს თ ვ ი ს , გ ი ლ ო - ც ა ვ გ ა მ ა რ ჯ ე ვ ე ბ ა ს . კ ვ ლ ა ვ წ ი ნ გ ე ვ ლ ო ს (1 9 7 3 წ .) .“

გმადლობთ, დიდად გმადლობთ ყველაფრისათვის, ქალბატონო ქეთევან!

გ ი ო რ გ ი კ უ ქ უ ხ ი ძ ე

სოკრატეს ფილოსოფიის ჰორიზონტი და მისი ასოციაციის ქალა

(ამ ნაწილს ვუძღვნი ქეთევან ქონიძის ნათელ ხსოვნას)

(ამონარიდები)

იმის გამო, რომ დიდი ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე თავისი ბრძენკაცური მოღვაწეობით ერთგვარად ჩამოჰგავს ბერძნული მითების ზოგიერთ გმირს, და აგრეთვე იმიტომაც, რომ წინამდებარე წერილს ვუძღვნი ჩემი ძვირფასი მასწავლებლის, პირდაპირობითა და სამართლიანობით გამორჩეული ლამაზი სულის ქალბატონის, ენათმეცნიერ ქეთევან ძონენიძის ხსოვნას, მეძალება სურვილი, საგანგებოდ მივუთითო, რომ სოკრატეს უპრეცედენტო ცხოვრებისა და მოღვაწეობის ასპარეზი იყო მითოლოგიური გმირის, სიბრძნის ღმერთქალის ათინას ქალაქი ათენი. მითის მიხედვით, ათინამ შეუქმნა ადამიანებს კანონები და დაუნესა არეოპაგი. სამწუხაროდ, არეოპაგისაგან გამოტანილი სასიკვდილო განაჩენით დაისაჯა სოკრატე. სიკვდილმისჯილი სოკრატე უშიშრად ელოდა განაჩენის აღსრულებას.

... სოკრატემ ნათელყო, რომ ადამიანი ... არის ერთადერთი არსება, რომლის მიზანია საკუთარი თავის შემეცნება, ანუ ...

ადამიანმა საკუთარი ძალით უნდა შეძლოს თვითდადგენა, ზნეობრივი სრულყოფა... ადამიანმა საკუთარ თავში უნდა შექმნას ადამიანურობა. ამ ამოცანის განხორციელების მოწოდებად გაისმის „ათენელი ბრძენის“ კატეგორიული დევიზიც: „შეიმეცნე თავი შენი“.

... „ათენელი ბრძენი“ იმასაც ხედავდა, რაოდენ ტრაგიკულია ზნეობისაგან და საჭირო ცოდნისაგან გაუცხოებული ადამიანის ბედი. ასეთ ადამიანს თავისი ყოფნა ნამდვილი ცხოვრება ჰგონია და მოსალოდნელია ისე გალიოს ნუთისოფელი, ვერც კი მიხვდეს, რომ მას ნამდვილი ცხოვრებით არ უცხოვრია.

... სოკრატეს მოწოდების რეალიზაცია გაუცხოების დაძლევის აუცილებელი პირობაა იმიტომ, რომ იგი ნიშნავს იმის შეგნებას, რა შესაძლებლობა აქვს ადამიანს და რა მოვალეობა აკისრია მას... ადამიანს მხოლოდ ის ევალება, რაც შეუძლია შესარულოს მოვალეობის შესაძლებლობის ფარგლებში.

... სოკრატეს თავისი მოღვაწეობა ყველაფერს ერჩია, ყველაფერზე მეტად უღირდა.

სოკრატე მარად დაამშვენებს ადამიანთა იმ დიად ჯგუფს, რომელთა არსებობა შეიძლება კაცობრიობის კეთილშობილების მოწმობად ჩაითვალოს...

*გაზეთი „ქუთაისის უნივერსიტეტი“, 2011,
სექტემბერ-ოქტომბერი*

რ უ ს უ დ ა ნ ზ ე ქ ა ლ ა შ ვ ი ლ ი (შ ა მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი)

„თსროპილი მოწაფეთაგან და მოწაფის მოწაფეთაგან...“

ადამიანის ღირსეული ცხოვრების ერთ-ერთი საზომი დათესილი სიკეთე და მადლია, რომელიც რამდენიმე თაობაზე გადადის. ნამდვილად ასეთი სიკეთითა და მადლით გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი ენათმეცნიერი, შესანიშნავი ლექტორი და კრისტალური პატიოსნების ადამიანი, ქალბატონი **ქეთევან ძონენიძე**. ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში მისი მოღვაწეობა იყო მუხლჩაუხრელი

შრომა და კელაპტარივით წვა ქართული ენის წმინდა ტაძარში. თურმე მასზე ლეგენდები იქმნებოდა და სტუდენტები ერთმანეთს გადასცემდნენ, რომ ქ-ნი ქეთევანი იყო ღრმა ცოდნის, ახლებურად მოაზროვნე, დაუშრეტელი ენერჯის, სტუდენტებზე უანგაროდ გადაგებული, მაგრამ მკაცრი, მოუსყიდველი და უჩვეულოდ პრინციპული. მასთან მალალი ნიშნის მიღება მხოლოდ რეალურ ცოდნასა და შემოქმედებითს აზროვნებას ნიშნავდა...

დიახ, მე შევექმენი ჩემთვის ქეთევან ძონენიძის ეს პორტრეტი ჩემი მშობლების მონათხრობით: ქ-ნი ქეთევანი მე დღესაც წარმომიდგენია ძველ ქართულ ფოლიანტებში თავჩარგულ ასკეტად, თავზე რომ კეთილშობილებისა და ღვთიური მადლის შარავანდედი ადგას... თითქოს უცნაურია, არც მჯერა, რომ არ მასწავლიდა, ჩემს თავს კი მაინც მის მონაფედ მივიჩნევ. იმდენი ცოდნა და ადამიანობა მიიღეს მისგან ჩემმა მშობლებმა, რომ მეც მიწილადეს, მაზიარეს ქართული ენის სიყვარულს და თითქოს ანდერძად დამიტოვეს, გამეგრძელებინა ქეთევან ძონენიძის დაწყებული უანგარო სამსახური ქართული ენის საკურთხეველზე.

...იყო 1946 წელი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მერხებზე უსხდნენ ათას ჭირვარამგამოვლილი, ნაადრევად დასერიოზულეებულ-გაჭალარავებული, მრავალ ფრონტზე სისასტიკისა და კომმარის მნახველი, საკუთარი მხრებით გამარჯვების მომტანი ახალგაზრდები. სწორედ ამ ნაკადში სწავლობდნენ ჩემი მშობლები: **რაფიელ შამელაშვილი** (1972-1994 წლებში — ქუთაისის პედინსტიტუტის პროფესორი) და **ნათელა ნიკოლაიშვილი** (1970 წლიდან — საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, შემდეგ — პერსონალური პენსიონერი) — ორივე დიდი სამამულო ომის მონაწილე. დედა მე-8 კლასის შემდეგ ჩამოვიდა ქუთაისში სამტრედიის რაიონის სოფ. დაფნარიდან და, რადგან უმამო ოჯახს ძალიან უჭირდა, მას შემდეგ დამოუკიდებლად უწევდა ცხოვრების ჭაპანის წევა. ომამდე წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ტექნიკუმი, სახელგანთქმული პედაგოგების — ნიკო მეფისაშვილისა და ელენე ნაზარიშვილის — უსაყვარლესი მოსწავლე იყო, მაგრამ ომში გაუშვეს, ახალგაზრდობის საუკეთესო 4 წელი იქ გაატარა. მამას გეგეჭკორის რაიონის სოფ. ბანძის სკოლა წარჩინებით ჰქონდა დამ-

თავრებული, მას 6 წელიწადზე მეტი ჯარმა და დიდმა სამამულო ომმა წაართვა, ბოლოს კენიგსბერგში იბრძოდა, უამრავი მედალი და ორდენი ჰქონდა მიღებული. ამდენი ხნის შემდეგ ძნელი იყო სტუდენტობა, სკოლის პროგრამის აღდგენა, მაგრამ ქეთევან ძონენიძის საოცარი პედაგოგიური აღლო, ქართული ენის სიყვარული და შრომისმოყვარეობა გადამდებად მოქმედებდა ამ თაობაზე.

ჩემს მშობლებთან ერთად სწავლობდნენ ასევე მომავალი ენათმეცნიერები: ოთარ დეისაძე (შემდგომ — ქუთაისის პედინსტიტუტის დოცენტი და ქართული ენის კათედრის გამგე) და ტიტე სულაბერიძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი).

ეს იყო თაობა, რომელმაც იცოდა, რა იყო ომი და შიმშილი, თანაკურსელის კეთილი გულით მოტეხილი მჭადის ფასი და ნავთის ლამფის მბჟუტავ აღზე კითხვაში გათენებული ლამეები. და აი, მათთან ქართული ენის ლექტორად შევიდა ქ-ნი ქეთევანი, გულანთებული, თავდადებული მსახური დედაენისა. მისი ლექციები იყო ძიების უშრეტი წყარო და შემოქმედებითი იმპულსის მიმცემი. მე ამას მიყვებოდნენ ჩემი მშობლები, რომლებიც უდიდესი სიყვარულით, მონივნებითა და დიდი მონატრებით იგონებდნენ ქეთევან ძონენიძის ლექციებს, პრაქტიკუმებსა და გამოცდებს: თავს არ ზოგავდა, ბოლომდე იხარჯებოდა, საოცრად მომხიბვლელი და არტისტული იყო, ამბობდნენ. დღემდე შენახული მაქვს ქ-ნი ქეთევანის ლექციებზე დედაჩემის ულამაზესი კალიგრაფიით ჩანერილი კონსპექტები ქართული ენის მორფოლოგიასა და სინტაქსში (მაშინ ხომ წიგნის შოვაც კი პრობლემა იყო!). ყოველთვის მიკვირდა, ასე კარგად როგორ ჩაინერე-მეთქი, მაგრამ ამასაც ქ-ნი ქეთევანის დამსახურებას მიანერდა, ისე ხსნიდა, აუცილებლად უნდა ჩაგვენიშნაო, არც ერთი ფრაზა არ იყო დასაკარგი და თითქოს თავში გვიდებდაო... (სხვათა შორის, ჩემი სტუდენტობის დროსაც გამომადგა ეს ჩანანერები. ისეთი კარგი წინადადებები იყო სინტაქსში მაგალითებად, რომ მეც მეხმარებოდა).

დედა სიამაყით მეუბნებოდა, რომ ქუთაისის პედინსტიტუტში მაშინ ასწავლიდნენ ისეთი დიდი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ: აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, ვარლამ თოფურია, სიმონ ყაუხჩიშვილი, შალვა ნუცუბიძე, ანგია ბოჭორიშვილი, ალექსანდრე ბა-

რამიძე, კორნელი კეკელიძე, კოტე ბაქრაძე და სხვები. მეცნიერთა ამ კოჰორტას მხარს ღირსეულად უმშვენებდა ქ-ნი ქეთევან ძონენიძე, რომელიც გამორჩეულად უყვარდათ სტუდენტებს. ჩემი მშობლები ამაყობდნენ, თვით ქეთევანთან გვექონდა ფრიადები მიღებულთა (ორივე ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიატი იყო და გაჭირვებით ირჩენდნენ თავს ამით).

დედა ხშირად იმეორებდა ქ-ნი ქეთევანის საყვარელ სტროფებსაც; მეტყოდა ხოლმე, ყველას ჰგონია, რომ ენათმეცნიერი მხოლოდ გრამატიკის მშრალ წესებსა და ლინგვისტურ ტერმინებს ცნობს, არადა, ქეთევან ძონენიძე ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნეც იყო, მხატვრული სიტყვის სინატიფეს ძალიან აფასებდა და დიდი ლიტერატურული ალლო ჰქონდა, ბევრი ლექსი, მოთხრობა თუ რომანი მისი რჩევით წავიკითხეთ, ლექციებზეც შესანიშნავი მაგალითების დასახელება უყვარდაო. ერთ-ერთს — იოსებ გრიშაშვილის „ყურთბალიშ“ — ხშირად იხსენებდა.

ძალიან სწყდებოდა გული თურმე ქ-ნ ქეთევანს, რომ დედაჩემმა, მისმა ერთ-ერთმა საუკეთესო სტუდენტმა, ვერ გააგრძელა ასპირანტურაში სწავლა, ყოველ შეხვედრაზე შემახსენებდაო... მაგრამ ლუკმაპურისთვის ყოველდღიურმა ბრძოლამ და მძიმე ცხოვრებამ ხელი შეუშალა. მესამე კურსზე შეუღლდნენ ჩემი მშობლები, არც ბინა ჰქონდათ, არც რამე შემოსავალი ან სოფლის ოჯახიდან ხელშეწყობა, ყველას უჭირდა ახალ ნაომარზე. 1950 წლიდან განაწილებით წავიდნენ ვალეში, შემდეგ — ახალციხეში; ასწავლიდნენ სოფლებში, უძძიმეს პირობებს უძლებდნენ, მერე ისევ ქუთაისს დაუბრუნდნენ. დედამ თავი შესწირა მეუღლის სამეცნიერო წინსვლას, ოჯახს, ერთადერთ ქალიშვილს. მე ძალიან მიწყობდა ხელს, თითქოს ამით უნდოდა საკუთარი ვალი გადაეხადა უსაყვარლესი ლექტორისადმი, სიცოცხლის ბოლომდე შეინახა უჩვეულო მოწინება და მადლიერება მის მიმართ. დედა სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას ისე, როგორც ქ-ნმა ქეთევანმა ასწავლა, რომ არ ყოფილიყო მოსაწყენი ქართული ენის გრამატიკა. მეც მშობლებმა შემაყვარეს ჩემი მომავალი პროფესია. ამიტომაც მგონია, რომ ქეთევან ძონენიძე მეც მასწავლიდა, თითქოს მან გამზარდა და დედაენის ურთულეს ლაბირინთებში გზის გაკვლევაც გამიადვილა.

ამ განცდას შეიძლება ისიც მიძლიერებს, რომ თანამედროვე ქართული ენის სინტაქსს მასწავლიდა არაჩვეულებრივი სპეციალისტი ქ-ნი **ლელია კვანტალიანი**, ქეთევანის დისშვილი, მისი ღვანლის ჭემარიტი დამფასებელი და საქმის გამგრძელებელი. ვფიქრობ, რომ ნამდვილად გამიმართლა!

დღესაც მახსოვს ქ-ნი ლელიას პირველი ლექცია ჩვენს ჯგუფში 1975 წელს: ტანმორჩილი, ოდნავ თმაშევერცხლილი ქალი შემოვიდა და დაიწყო... მთელი დაფა რამდენიმე წუთში სავსე იყო, წერდა, სქემებს ხაზავდა, უამრავ წინადადებას ამბობდა ზეპირად, თან ისეთი დახვეწილი გემოვნებით ჰქონდა თითოეული შერჩეული, რომ სამუდამოდ გვამახსოვრდებოდა: ნაწყვეტები გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, ლადო ასათიანის, ანა კალანდაძისა და სხვათა ლექსებიდან. ლექციაზე თითქოს ცეცხლს ანთებდა, მაგალითების ეს ფოიერვერკი ხომ საოცრად გვაოცებდა და გვხიბლავდა, შეეძლო კრიტიკული მიმოხილვაც და სხვა მეცნიერთა აზრის პატივისცემაც, ამასთანავე, საკუთარი ხედვის პრინციპული დაცვაც... მემამყება, რომ ძალიან ვუყვარდი, მაფასებდა, ვმეგობრობდით კიდევ. როცა თბილისში გადავიდა, ყველა სტუდენტს გული დასწყდა, თითქოს ქ-ნი ქეთევანის სულიც წავიდა მშობლიური ინსტიტუტიდან...

მერე უკვე თბილისში ვხვდებოდი ქ-ნ ლელიას. ენათმეცნიერების ინსტიტუტში მისი სადოქტორო დისერტაციის დაცვასაც ვესწრებოდი, ძალიან გაიხარა. ყველგან სიამაყით იმეორებდა, რომ ჩემი გამორჩეული და უნიჭიერესი სტუდენტი იყო. ხშირად შემახსენებდა: მალე დაიცავი სადოქტორო დისერტაცია, ნუ გადადებო. მე ვფიქრობ, რომ ასეთი დამოკიდებულება ლექტორსა და სტუდენტს შორის, უდიდესი პასუხისმგებლობა, ღრმა ცოდნა, საქმის ერთგულება და თავგანწირვის უნარი ქ-ნ ლელიას ქეთევან ძონენიძისგან გადმოეცა მემკვიდრეობით. ყველა ამ თვისებით ისინი ერთმანეთს ჰგავდნენ. მართალია, ორივე უშვილოდ წავიდა მარადიულ სამყოფელში, მაგრამ, ვფიქრობ, ისინი ცოცხლობენ თითოეული ნამონაფარისა და მათი შემდეგი თაობების ხსოვნაში. სანამ ერთ ადამიანს მაინც ემახსოვრება მათი განუმეორებელი და უზადო ლექციები, სა-

ნამ ერთი მაინც იქნება დედაენის გულშემატკივარი, მანამ ისინიც იარსებებენ.

ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ, მომეთხრო ქ-ნ ქეთევანსა და ქ-ნ ლეილაზე, ორ არაჩვეულებრივ ადამიანზე, ქართული ენის ქომაცა და მესაიდუმლეზე, როგორც „ჭეშმარიტად თხრობილი მონაფეთაგან და მონაფის მონაფეთაგან“. სტუდენტებს ყოველთვის ვეტყვი, რომ არსებობდნენ ასეთი ენათმეცნიერები, ჩემი ყოფილი ლექტორები, მივუთითებ მათს ნაშრომებს, თან დავამატებ, რომ თითოეული იყო არა მარტო დიდი ლინგვისტი, არამედ მაღალი სულის ადამიანი და დედაენის სიყვარულში ჩაფერფლილი პიროვნება. ეს სჭირდება ახალ თაობას, მოგონება და არდავინწყება ჩვენვე გვაძლიერებს.

*მოგონება დაინერა სპეციალურად ამ წიგნისათვის.
2013 წ.*

* * *

ასეთი იყო ქეთევან ძონენიძე – პირდაპირი, გულწრფელი, უანგარო, გულისხმიერი აღმზრდელი და ახალგაზრდობის ჭეშმარიტი მოძღვარი.



გამოყენებული ლიტერატურა

ქეთევან ძონენიძის პირადი არქივი

- ალავიძე მ. – შინმოუსვლელი მეომარი პოეტები: „ქუთაისი“, 1965, 25 აპრილი.
- ალავიძე მ. – ორტომეული იმერულ დიალექტზე: „ქუთაისი“, 1970, 19 ნოემბერი.
- ალავიძე მ. – ქეთევან ძონენიძე – ცხოვრება და ღვაწლი: ზემოი-მერული კილოკავი, თბ., 1973.
- ალავიძე მ. – ნიგნი იმერულ დიალექტზე (ედღვნება პ. გაჩეჩილაძის ნიგნს „იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა“ (1976). აქვე საუბარია ქ. ძონენიძის ნიგნებზეც): „ქუთაისი“, 1977, 7 აპრილი.
- ალავიძე მ. – შეხვედრები უხუცეს გრამატიკოსთან (ა. შანიძესთან): „ქუთაისი“, 1977, 2 ივლისი.
- ალავიძე მ. – ხსოვნა სიცოცხლის გაგრძელება: „ქუთაისი“, 1991, 19 დეკემბერი.
- ბეროძე რ. – მხოლოდ სიყვარული: გაზ. „სტალინელი“, 20.V.1960.
- ბრეგაძე დ. – მოგონებები, ნარკვევები, წერილები, ქუთაისი, 1996.
- ბუზიაშვილი ვ. – შუქით რომ გააცისკროვნო (ედღვნება გიორგი ძონენიძის ცხოვრება-მოღვაწეობას): „ქუთაისი“, 2003, 26 მარტი.
- გოშხეთელიანი მ. – ქეთევან ძონენიძე — დაუვინყარი აღ-მზრდელი: „ქუთაისი“, 2000, 11 მაისი.
- დანელია კ. – ნიგნი და მისი ავტორი (რეცენზია ქ. ძონენიძის ნიგნზე „ზემოიმერული კილოკავი“): გაზ. „ახკომი“, 1973, 6 მარტი.
- დურმიშიძე ს. – მოგონების რამდენიმე ფურცელი: ჟურნ. „მნათობი“, 1980, №2.
- ზექალაშვილი რ., შამელაშვილი რ. – ენათმეცნიერის ხსოვნას ეძღვნება: „ქუთაისი“, 1990, 11 ივლისი.

- ზექალაშვილი რ. – „თხრობილი მონაფეთაგან და მონაფის მონაფეთაგან...“ (მოგონება), 2013.
- თეთრუაშვილი ლ. – ქეთევან ძონენიძე – პიროვნება და ინდივიდუალობა: ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1997, 2-9 მაისი.
- თოფურია ვ. — ვარლამ თოფურიასადმი მიძღვნილი ხსოვნის ნიგნი, თბ., 2012.
- თურნავა ს. – ფრანგული ჟურნალის ფურცლებზე: ვაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1975, 18 სექტემბერი (გადაბეჭდილია აგრეთვე: ვაზეთი „ქუთაისი“, 1975, 29 სექტემბერი).
- იმნაიშვილი ვრ. – ქეთევან ძონენიძე და იმერული დიალექტი: XVI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია (თეზისები), თბ., 1996.
- კუჭუხიძე გ. — სოკრატეს ფილოსოფიის ჰორიზონტი და მისი ასოციაციის ძალა (ამ წერილს ვუძღვნი ქეთევან ძონენიძის ნათელ ხსოვნას): ვაზ. „ქუთაისის უნივერსიტეტი“, 2011, №11-12.
- მეძველია კ. – სანიმუშო პედაგოგი და მეცნიერი: „ქუთაისი“, 1969, 9 სექტემბერი.
- მჭედლიძე გ. – უანგაროთა ოჯახი: „ქუთაისი“, 2003, 22 მარტი.
- ნუცუბიძე ლ. – შენ ცოცხლობ მაშინ (ხელნაწერი): 1970, 27.12.
- ნეკროლოგები – 1) ქეთევან ძონენიძე: ვაზ. „კომუნისტი“, 1969, 7.09.
- 2) ქეთევან ძონენიძის ხსოვნას (ქუთ. პედინსტიტუტი, ქართული ენის კათედრა): „ქუთაისი“, 1969, 6 სექტემბერი.
- ფეიქრიშვილი ჟ. – ქეთევან ძონენიძის ენათმეცნიერული ნაშრომები ძველ ქართულში: ქართული ენის მოამაგენი, თბ., 2006.
- ფეიქრიშვილი ჟ. – მოგონებები მასწავლებელზე: ცხოვრების გზა, თბ., 2008.
- ქაცარავა მ. – იშვიათი განსახება სრულღირსებიანი პედაგოგისა: ვაზ. „ქართული“, 2001, ოქტომბერი.
- ღლონტი ალ. – ქართული ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენი (ქეთევან ძონენიძის შრომების გამოცემის გამო): „ქუთაისი“, 1974, 23 აგვისტო.

- შამელაშვილი რ. – დისერტაციის დაცვა არ შედგება: „ქუთაისი“, 1969, 11 ოქტომბერი.
- შამელაშვილი რ. — მოკლე ენციკლოპედიური ცნობარი, 3, 1980 (მანქანაზე გადაბეჭდილი ხელნაწერის უფლებით; დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში).
- შამელაშვილი რ., ზეჯალაშვილი რ. – ენათმეცნიერის ხსოვნას ეძღვნება: „ქუთაისი“, 1990, 11 ივლისი.
- შანიძე ა. – გულმართალი, სათნო და სპეტაკი: „ქუთაისი“, 1969, 9 სექტემბერი.
- ჩიქობავა არნ. – მონოგრაფია იმერულ დიალექტზე: „ქუთაისი“, 1973, 17 თებერვალი.
- ჩიქობავა არნ. – არნოლდ ჩიქობავასადმი მიძღვნილი ხსოვნის წიგნი, თბ., 1998.
- ჩხეიძე შ. – ახალგაზრდობის შესანიშნავი აღმზრდელი: „ქუთაისი“, 1997, 6 თებერვალი.
- ცაგარეიშვილი ნ. – მართალი ქალი: ჟურნ. „საქართველოს ქალი“, 1964, №7.
- ჯაჯანიძე პ. – ადამიანი, პედაგოგი, მეცნიერი: „ქუთაისი“, 1969, 18 ოქტომბერი.

**ფოტოლოკუმენტური
მასალა**

ქეთევანის მშობლები



ფოტინე დევიძე

სამსონ ძონენიძე

სამსონ კონენიძის შვილები



ანტონინა



ელენე



გიორგი



ქეთევანი



ალექსანდრე (ბუჩა)



ქეთევანი მარჯვნიდან
პირველი. 1931 წ.



ქეთევანი მარჯვნიდან
პირველი. 1944 წ.



ქეთევანი მარჯვნიდან
მესამე. 1946 წ.




აკაკი შანიძის 70 წლის იუბილე ქუთაისის პედინსტიტუტში.
ცენტრში აკაკი შანიძე და ქეთევან ძონენიძე. 1957 წ.



ლევან გოთუა (მარცხნიდან მეორე) ქუთაისელ
მასპინძლებთან. ქეთევანი მარჯვნიდან პირველი. 1958 წ.



უქდინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა



სახელმწიფო გამოცდა ქართულ ენაში




სტუმრად არნ. ჩიქობავასთან აგარაკზე, ოქროყანაში.
სურათზე მარცხნიდან : თ. ყიასაშვილი, ქ. ძონენიძე,
არნ. ჩიქობავა, ლ ძონენიძე



დიალექტოლოგიური მასალების ჩასანერად სოფელში



შეხვედრა გიორგი ლეონიძესთან ქუთაისის
პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1963 წ.



ქუთაისის პედინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მონაწილნი. 1964 წ.



სურათში: აკაკი შანიძე, ჟალბატონი ლაფონი, ლევან კიკნაძე, რენე ლაფონი, გიორგი ასულელიანი. დგანან: ივანე იმნაიშვილი, ქეთევან ბოწენიძე, გურამ მეგრელიძე, ილია ტაბალუა, თამაზ გამყრელიძე.

სურათი გადაღებულია 1966 წელს აკაკი შანიძის ბინაში.



ლეილა კვანტალიანი

სარჩევი

წინასიტყვა	3
შესავალი	5
ქეთევან ძონენიძე (მშობლები, და-ძმები).....	5
ქეთევან ძონენიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები.....	11
ქეთევან ძონენიძის შრომების ბიბლიოგრაფია	12
ქეთევან ძონენიძის ცხოვრების ადრეული წლები (1939-1941).....	17
დღიურები.....	17
ქეთევანისადმი მიძღვნილი ლექსები	22
ქეთევან ძონენიძის ცხოვრება და მოღვაწეობა 1941-1969 წლებში	26
სევერიან ისიანის ფრონტული წერილები	27
„ფიქრები და წარმოსახვანი“	31
საკანდიდატო დისერტაცია.....	34
ქეთევანისადმი მიძღვნილი ლექსები და მხატვრული ნარკვევი.....	36
იოსებ გრიშაშვილის იუბილე ქუთაისში და ქეთევან ძონენიძე.....	46
„სიყვარულით გამთბარი“ (სიტყვა გ. ლეონიძეზე).....	50
მოგონებები (დია ჩიანელის გახსენება, ლადო ასათიანი).....	52
მომონერა მასწავლებლებთან, ცნობილ მოღვაწეებთან, ახლოებლებთან.....	55
1969 წელი — ცხოვრების დაისი	99
(ნეკროლოგი, გამოსათხოვარი წერილები)	
ქეთევან ძონენიძის მონოგრაფია ორ წიგნად	114
(რეცენზიები)	
სიცოცხლე გრძელდება	131
(ქეთევანის ხსოვნისადმი მიძღვნილი მასალები)	
გამოყენებული ლიტერატურა.....	165
ფოტოდოკუმენტური მასალა.....	168

